

სისსლის საპატიალი ზოგადი და კეაკო ნანილეუი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე

2019, №1-3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)

2019, №1-3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)

2019, №1-3

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)

2019, №1-3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

რუსუღან ჭანტუშიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

ზოგადი ნაწილი

1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები	
სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში	4
სისხლის სამართლის კანონის უკუქაღალა	10
2. სასჯელის მიზნები და სახეები	
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა	17
ქონების ჩამორთმევა	22; 25
3. სასჯელის დანიშვნა	
სასჯელის შემსუბუქება	35; 40
4. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა	
ამნისტია, შეწყალება	44

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ	
განზრახ მკვლელობა	50
განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში	66
2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	
ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია	81
3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	
თავისუფლების უკანონო აღკვეთა	87
ქმედების გადაკვალიფიცირება ყაჩაღობიდან იძულებაზე	126
4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	
ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ	139
5. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	
ხულიგნობა, ჩადენილი იარაღად სხვა საგნის გამოყენებით	148
6. ნარკოტიკული დანაშაული	
განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობა	155
7. სამოხელეო დანაშაული	
სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით	170

ზოგადი ნაწილი

1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში

განაჩენი საქართველოს სახელით

№299აპ.-18

21 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – გ. ნ-
სა და ფ. ბ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასა-
მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13
აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 აგვისტოს
განაჩენით ფ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და მე-
სამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 18
წლით;

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, მესამე
ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფ-
ლების აღკვეთა 12 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფ-
რო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ
ფ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების
აღკვეთა 18 წლით, რომლის მოხდა აეთვალა 2016 წლის 29 ნოემ-
ბრიდან.

გ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და მე-
სამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 20
წლით;

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მე-სამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 11 წლით;

საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ გ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით, რომლის მოხდა აეთვალა 2016 წლის 29 ნოემბრიდან.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 აპრილის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. სასამართლომ დაადგინა, რომ ჯ. ბ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ანგარებით, ჯგუფურად; ასევე – ყაჩაღობა, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლეთი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის 27 ნოემბერს გ. ნ-მ და ჯ. ბ-მ გადაწყვიტეს 81 წლის ყ. ა-ის ბინის დაყაჩაღება. ამ მიზნით იმავე დღეს, დაახლოებით 21:00 საათზე, გ. ნ-მ და ჯ. ბ-მ დააზიანეს საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთი მიტოვებული ბინის ფანჯრის გისოსი და ამ ბინის გავლით შევიდნენ სადარბაზოში, შემდეგ ძალის გამოყენებით გააღეს ყ. ა-ის საცხოვრებელი ბინის კარი და ფულადი თანხის მოთხოვნით თავს დაესხნენ 81 წლის მოხუცს, რომელმაც თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია. გ. ნ-მ და ჯ. ბ-მ მრავლობითი, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენეს ყ. ა-ს თავისა და ტანის არეში, კერძოდ, სისხლნაყენებები – შუბლის, საფეთქლისა და ორივე თვალბუდის მიდამოში, მარჯვენამხრივი ნეკნების მრავლობითი მოტეხილობები, დაზიანებები პლევრისა და მარჯვენა ფილტვის არეში, მრავლობითი სისხლჩაქცევები თავში, ქალა-ტვინის მიდამოებში.

მიღებული დაზიანებებით ყ. ა-ი ადგილზე გარდაიცვალა. გ. ნ. და ჯ. ბ. დაეუფლნენ 600 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გ. ნ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ანგარებით, ჯგუფურად; ასევე – ყაჩაღობა, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღ-

წევით; ასევე – სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, რაც გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის 27 ნოემბერს გ. ნ-მ და ჯ. ბ-მ გადაწყვიტეს 81 წლის ჟ. ა-ის ბინის დაყარაღება. ამ მიზნით იმავე დღეს, დაახლოებით 21:00 საათზე, გ. ნ-მ და ჯ. ბ-მ დააზიანეს საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთი მიტოვებული ბინის ფანჯრის გისოსი და ამ ბინის გავლით შევიდნენ სადარბაზოში, შემდეგ ძალის გამოყენებით გააღეს ჟ. ა-ის საცხოვრებელი ბინის კარი და ფულის მოთხოვნით თავს დაესხნენ 81 წლის მოხუცს, რომელმაც თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია. გ. ნ-მ და ჯ. ბ-მ მრავლობითი, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენეს ჟ. ა-ს თავისა და ტანის არეში, კერძოდ, სისხლნაჟღენთები – შუბლის, საფეთქლისა და ორივე თვალბუდის მიდამოში, მარჯვენამხრივი ნეკნების მრავლობითი მოტეხილობები, დაზიანებები პლევრისა და მარჯვენა ფილტვის არეში, მრავლობითი სისხლჩაქცევები თავში, ქალა-ტვინის მიდამოებში.

მიღებული დაზიანებებით ჟ. ა-ი ადგილზე გარდაიცვალა. გ. ნ. და ჯ. ბ. დაუფლნენ 600 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სრულწლოვანმა გ. ნ-მ წინასწარი შეცნობით ცოლად შეირთო წოს რაიონის სოფელ ქ-ში მცხოვრები, 1998 წლის 3 მარტს დაბადებული არასრულწლოვანი, 16 წელს მიუღწეველი მ. ტ., რომელთანაც ნებაყოფლობით დაამყარა სქესობრივი კავშირი.

4. კასატორი – მსჯავრდებული ჯ. ბ. ითხოვს მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე და 179-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში გამამართლებელი განაჩენის დადგენას და მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით დაკვალიფიცირებას იმ მოტივით, რომ იგი ბინაში მხოლოდ თანხის მოსაპარად შევიდა და ჟ. ა-ის მკვლელობაში გ. ნ-სთან ერთად მონაწილეობა არ მიუღია; კასატორი – მსჯავრდებული გ. ნ. ითხოვს მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე და 179-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა მისი ბრალის დამადასტურებელი საკმარისი უტყუარი მტკიცებულებები; რაც შეეხება სსკ-ის 140-ე მუხლით მსჯავრდებას, კასატორის მითითებით, სასამართლომ დაარღვია კანონის უკუძალის პრინციპი და მსჯავრი დასდო კანონის უფრო მძიმე რედაქციით, მაშინ, როდესაც ქმედების ჩადენის დროს არსებული რედაქცია უფრო მსუბუქი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ გ. ნ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პირველ ყოვლისა, პალატა მიუთითებს, რომ დასაბუთებული გადანყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას; აღნიშნული უფლება ზედა ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევს, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამოორების გარეშე (*Hirvisaari v. Finland*, §32). მოკლე მსჯელობა საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ – ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება, არ არღვევს დასაბუთებული გადანყვეტილების უფლებას (*Gorou* (No. 2), §§38-42).

3. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად არ მსჯელობს ჯ. ბ-ისა და გ. ნ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 109-ე და 179-ე მუხლებით მსჯავრდების შესახებ, ვინაიდან სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს ამ ნაწილში და მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის: მოწმეების – ტ. ა-ის, დ. ბ-ის, დ. ა-ის, ლ. ჩ-ის, გ. მ-ის, კ. თ-ის, ჯ. ი-ის, ა. ტ-ის ჩვენებები, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 10 მარტის სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნა და ექსპერტ მ. ნ-ის ჩვენება, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 10 მარტის ბიოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნა და ექსპერტების – ქ. ქ-სა და ი. ე-ის ჩვენებები, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 29 აპრილის ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის №... დასკვნა და ექსპერტ თ. მ-ის ჩვენება, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ 2016 წლის 27 ნოემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე, გ. ნ-მ და ჯ. ბ-მ გააღეს ჟ. ა-ის საცხოვრებელი ბინის კარი და ფულადი თანხის მოთხოვნით თავს დაესხნენ 81 წლის მოხუცს, რომელსაც მრავლობითი, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენეს თავისა და ტანის არეში. მიღებული დაზიანებებით ჟ. ა-ი ადგილზევე გარდაიცვალა, გ. ნ. და ჯ. ბ. კი დაეუფლნენ ფულად თანხას – 600 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

4. ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გ. ნ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქციის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

4.1. საქმის მასალებით დგინდება, რომ დაზარალებული მ. ტ.

2012 წელს 14 წლის ასაკში დაქორწინდა გ. ნ-ზე, რომელიც იმ დროისათვის გვარად გ-ი იყო. გ-მ იცოდა, რომ მ. 14 წლის იყო, მასთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი, მათ ჰყავთ საერთო შვილი – მ. გ-ი, რომელიც მას 15 წლისას შეეძინა. დაზარალებულმა ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ როდესაც შვილი შეეძინა, გ-სთან უკვე დაშორებული იყო.

4.2. შპს ქ.ქ-ს №... სამშობიარო სახლის აღმასრულებელი დირექტორის -დ. გ-ის 26.11.2015 წლის №... ცნობით დგინდება, რომ 2013 წლის 2 ივლისს ქ. ქ-ის №... სამშობიარო სახლში იმშობიარა მ. ტ-მ, რომელსაც შეეძინა ცოცხალი მდედრობითი სქესის ბავშვი – მ. გ-ი.

4.3. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მ. ტ-ს შვილი შეეძინა 2013 წლის 2 ივლისს და მისივე განმარტებით, ამ დროისთვის მეუღლესთან უკვე დაშორებული იყო, გ. ნ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქციის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლების დანაწესს, რომელთა თანახმადაც, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს; სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს, ვინაიდან 2013 წლის 31 დეკემბრიდან გამკაცრდა საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სანქცია, კერძოდ: აღნიშნული ქმედებისათვის სასჯელის სახით განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან ცხრა წლამდე ვადით, მაშინ, როდესაც გ. ნ-ს მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას მოქმედი რედაქცია სასჯელის სახით ითვისწინებდა ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

4.4. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ გ. ნ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით (2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქცია), უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლზე (2013 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) და განესაზღვროს სასჯელი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სანქციის ფარგლებში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ჯ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-

დეს.

2. მსჯავრდებულ გ. ნ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. ნ-ს ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით (2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლზე (2013 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

მსჯავრდებულ გ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით (2013 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისთვის მიესაჯოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შთანთქას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეუწყებებით დანიშნულმა ყველაზე მკაცრმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 20 წლით და საბოლოოდ გ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 20 (ოცი) წლით, რომლის მოხდა აეთვალოს 2016 წლის 29 ნოემბრიდან.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის კანონის უკუქალა

განაჩენი საქართველოს სასხლით

№456აპ-18

15 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ქ-ს საკა-
საციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-
მართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბ. ქ-ს
ბრალი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნასა და
შენახვაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სის-
ხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015
წლის 8 ივლისის რედაქცია), რაც გამოიხატა შემდეგში:

ბ. ქ-მ დაუდგენელ დროსა და გარემოებაში უკანონოდ შეიძინა
და შეინახა – 6,441 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი
მარიხუანა“, რომელიც ამოიღეს 2016 წლის 21 მარტს ქ. მდებარე
მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში ჩატარებული ბ. ქ-ს პირადი
ჩხრეკის შედეგად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტა-
დიაზე ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გურ-
ჯან ტაბეშაძემ წარადგინა ბრალის ახალი ფორმულირება, რომლის
თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2017
წლის 26 ივლისის კანონის საფუძველზე შეტანილი ცვლილების გა-
მო, ბ. ქ-ს ბრალდება შეიცვალა უფრო მსუბუქი ბრალდებით და მი-
სი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის
განაჩენით ბ. ქ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევია, – ცნო-
ბილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-
სის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის
ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა –
500 (ხუთასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბ. ქ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 (ხუთი) წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 (ათი) წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

ბ. ქ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი – 6,58 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“, რომელიც ინახება ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, უნდა განადგურდეს.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქუთაისის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა რუსუდან ლაბაძემ და მსჯავრდებულმა ბ. ქ-მ.

- სახელმწიფო ბრალმდებელმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულ ბ. ქ-სთვის კანონის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹-ე მუხლის შენიშვნის მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა არ უნდა იყოს შესაბამისი ქმედებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ჯარიმის ოთხმაგ ოდენობაზე ნაკლები. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილით კი „მარიხუანის“ მცირე ოდენობით უკანონო შექმენა-შენახვისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა – 500 ლარი. ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახით ჯარიმის შერჩევისას სასამართლოს, მითითებული დანაშაულისათვის, მსჯავრდებულისთვის უნდა შეეფარდებინა ჯარიმა, სულ მცირე – 2000 ლარის ოდენობით.

- მსჯავრდებულმა ბ. ქ-მ საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა შემდეგი საფუძვლებით:

იგი დაავადებულია ქრონიკული ეპილევსიით, ასევე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში; ამასთან, ფსიქიკური დაავადების გამო, სრულყოფილად ვერ აღიქვამს მის მიმართ განხორციელებულ სამართლებრივ პროცედურებს, რის შესახებაც ცნობილი იყო გამოძიების ეტაპზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, მას არ დაენიშნა კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო და ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელიც ნათელს მოჰფენდა ბრალდებულის შერაცხადობის საკითხს – დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა თუ არა შერაცხად მდგომარეობაში და ხომ არ იყო გამოკვეთილი ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, რის გამოც განაჩენი ვერ ჩაითვლება კანონიერად და დასაბუთებულად; ამასთანავე, ბრალის დაზუსტებით დაუმძიმდა სამართლებრივი მდგომარეობა, ვინაიდან მის მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მოქმედი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის რედაქცია სასჯელის სახით ითვალისწინებდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას, ხოლო მას სასჯელის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა, რაც უკანონოა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განაჩენით რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ რუსუდან ლაბაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; მსჯავრდებულ ბ. ქ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა შემდეგი ცვლილება:

ბ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 (ორი ათასი) ლარი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. ქ-მ. კასატორი საჩივრით ითხოვს უკანონო განაჩენის გაუქმებასა და სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა მსჯავრდებულ ბ. ქ-ს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მი-აჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასა-ჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოე-ბათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართვე-ლოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის შესაბამისად, კოდექსის 260-ე მუხლის (გარდა შენიშვნის პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოქმე-დება არ ვრცელდება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტრო-პული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახ-მარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის – „ნარკოტიკული საშუალებე-ბის“ 73-ე და 92-ე გრაფებით განსაზღვრულ ნარკოტიკულ საშუა-ლებებზე – მცენარე კანაფსა და მარიხუანაზე, რასაც, ნორმატიუ-ლი თვალსაზრისით, აწესრიგებს ამავე ცვლილებით, ამავე კოდექ-სში დამატებული 273¹-ე მუხლი.

3. საკასაციო პალატა, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქ-ტომბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების – „ისჯება თა-ვისუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან თოთხმეტ წლამდე“ – ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამარ-თლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენე-ბის შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტრო-პული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახ-მარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰო-რიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადა-ვოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალე-ბა – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო.

4. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადან-ყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსის 260-ე მუხლით – 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შეძენისა და შენახვისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

5. ამავე დროს საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია (იხ. გადწყვეტილება 102აგ.-17), რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-40 მუხლით, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს (2016 წლის 21 მარტი) მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არ გააჩნდა არცერთი სხვა ალტერნატიული სასჯელი.

6. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა, ხოლო სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

7. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონმა სისხლის სამართლის კოდექსში 273¹-ე მუხლის დამატებით შეამსუბუქა ამავე კოდექსის 260-ე მუხლით – მცენარე კანაფსა და მარიხუანასთან მიმართებით დადგენილი პასუხისმგებლობა, რაც ბ. ქ-ს ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში სწორად გავრცელდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განაჩენით, მაგრამ აღნიშნული გარემოების მიუხედავად, საკასაციო პალატა მიუთითებს: ამ ცვლილების მიღებამდე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის მსჯავრდებულ ბ. ქ-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უფრო ამსუბუქებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადწყვეტილება, რომელიც კრძალავს 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმენისა და შენახვისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.

8. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბ. ქ-ს დანაშაული ჩადენილი აქვს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის მიღებამდე, როდესაც მოქმე-

დი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არ გააჩნდა არცერთი სხვა ალტერნატიული სასჯელი. მითითებული ცვლილების შემდეგ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია კი ითვალისწინებს ჯარიმას ან 160-დან 200 საათამდე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. შესაბამისად, ვინაიდან შეიცვალა დანაშაულის კატეგორია, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განეკუთვნებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ხოლო ბ. ქ-ს ქმედების ამჟამინდელი კვალიფიკაცია მიეკუთვნება მსუბუქ კატეგორიას, მსჯავრდებულ ბ. ქ-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ამავე კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილზე სწორად გადაკვალიფიცირდა, მაგრამ სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, მისთვის განესაზღვრა სასჯელი (საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე), რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბ. ქ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის რედაქციის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას. ამდენად, ბ. ქ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით – სასჯელის დაუნიშნავად.

9. რაც შეეხება მსჯავრდებულ ბ. ქ-ს მოსაზრებას მის შერაცხადობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ წარმოდგენილ საქმის მასალებში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი შეურაცხაობის ფაქტს, როგორც დანაშაულის ჩადენის მომენტში, ისე – მოცემულ ეტაპზე.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. ქ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. ქ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს

ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული ბ. ქ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში სასჯელის დაუნიშნავად.

4. ბ. ქ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შეახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 (ხუთი) წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 (ათი) წლით – საქმიანობის და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ბ. ქ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

6. საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი – 6,58 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“, რომელიც ინახება ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, განადგურდეს.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სასჯელის მიზნები და სახეები

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

ბანაჩენი საქართველოს სახელით

№50აპ-18

6 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან მურვანიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განაჩენით მ. ჯ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 100 საათით, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა სრულად შთანთქა მეორე სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით მ. ჯ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ჯ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა.

თ. ს., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 100 საათით. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა.

2. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჯ-მ ჩაიდინა: ოჯახში ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართვე-

ლოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი; ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

თ. ს-მ ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი.

მ. ჯ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- 2017 წლის 12 მაისს, დღის საათებში, ქ. ბ-ში, ა-ს მე... ჩიხის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში, მ. ჯ-მ ჯოხის რამდენიმე დარტყმით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა თავის დედამთილს – ჰ. ს-ს, რამაც მისი ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი.

- 2017 წლის 12 მაისს, დღის საათებში, ქ. ბ-ში, ა-ს მე... ჩიხის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში, მ. ჯ-მ თმის მოქაჩვით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა ა. ს-ს, რამაც მისი ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

თ. ს-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- 2017 წლის 12 მაისს, დღის საათებში, ქ. ბ-ში, ა-ს მე... ჩიხის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში, თ. ს-მ ჯოხის რამდენიმე დარტყმით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა თავის დედას – ჰ. ს-ს, რამაც მისი ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლევან მურვანიძემ. აპელანტმა საჩივრით ითხოვა, გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მსჯავრდებულების თ. ს-სა და მ. ჯ-ს მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება, ვინაიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელები არის ზედმეტად მსუბუქი.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ნოემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი ლევან მურ-

ვანიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულების – თ. ს-სა და მ. ჯ-ს მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას, ვინაიდან მათ მიმართ შეფარდებული სასჯელები არის ზედმეტად მსუბუქი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან მურვანიძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მ. ჯ-ს, სასჯელის სახით, საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 100 საათით, ხოლო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, მ. ჯ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი, რაც უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელები დალაგებულია სასჯელთა სიმძიმის ზრდადობის მიხედვით, რომლის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს უფრო მძიმე სახის სასჯელს, ვიდრე ჯარიმა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას, ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს“. ამდენად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მ. ჯ-სათვის საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულ სასჯელს – ჯარიმას შთანთქა 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

3. ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს. მ. ჯ-ს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განაჩენით (უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის

2017 წლის 17 ნოემბრის განაჩენით) საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახით განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 100 საათით. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, მ. ჯ-ს ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი – ლ. ს. და ბადე-ბული 2005 წლის 2 მარტს და ნ. ს., დაბადებული 2010 წლის 17 დეკემბერს. შესაბამისად, დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განაჩენის გამოტანის მომენტისათვის მ. ჯ-ს ჰყავდა შვიდ წლამდე შვილი (ნ. ს.) და მას სასჯელის სახით არ უნდა შეფარდებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

4. ამდენად, ვინაიდან მ. ჯ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ჰყავდა 7 წლამდე შვილი, მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით გამოყენებული ვერ იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და მსჯავრდების ამ ნაწილში მას ასევე უნდა შეეფარდოს ჯარიმა – 1000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. აღნიშნულისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სრულად შეაფასეს სასჯელის დანიშვნის როგორც ზოგადსაგებლებული გარემოებები და მსჯავრდებულების – თ. ს-სა და მ. ჯ-ს ინდივიდუალური მახასიათებლები, ისე – საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი, საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ არ არსებობს მათ მიმართ შეფარდებული სასჯელების დამძიმების საფუძველი.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მ. ჯ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი, ხოლო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებულმა სასჯელმა სრულად უნდა შთანთქოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, მ. ჯ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განაჩენი დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან მურვანიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მ. ჯ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი, ხოლო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებულმა სასჯელმა სრულად შთანთქმას სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, მ. ჯ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდოს ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ნოემბრის განაჩენი თ. ს-ს მსჯავრდებისა და ასევე დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქონების ჩამორთმევა

განაჩენი საქართველოს სასახლით

№167აპ-18

16 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განაჩენით, შ. ბ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

• საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ავტომატურად „ზილ-131“ და ავტომატურად დარა უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

• საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა მოხდეს ბენზოხერხისა და ცხრამეტი ერთეული ნიფლის ჯიშის მორის საპროცესო კონფისკაცია.

2. აღნიშნული განაჩენით შ. ბ-ს მსჯავრი დაედო ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლით ნასამართლევა შ. ბ-მა, 2017 წლის 30 აგვისტოს, დღის საათებში, ა-ს რაიონის ე.წ. „ი. გ-ს“ ტერიტორიაზე, ბენზოხერხის გამოყენებით, უკანონოდ გაჩეხა 5 ძირი ნიფლის ჯიშის ხე, რის შედეგადაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალურ სამმართველოს მიაღდა 1633,25 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შოთა სარიამ. აპელანტმა საჩივრით ითხოვა ძირითადი სასჯელის სახით უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით – დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ქონების „ზილ-131“ მარკის ავტომანქანის ჩამორთმევა იმ საფუძვლით, რომ საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედების ჩასადენად აუცილებელია სპეციალურად აღჭურვილი ავტომანქანის გამოყენება, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში ამოღებული „ზილ-131“ მარკის ავტომანქანა უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ქონებად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განაჩენით, თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ შოთა სარიამს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განაჩენში შ. ბ-ს მიმართ შევიდა შემდეგი ცვლილება:

შ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 (ორი) წელი.

საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლების საფუძველზე, მსჯავრდებულს დაეკისრა მოვალეობა – პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, ხოლო კონტროლი მის ყოფაქცევაზე დაევალა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს – პრობაციის ბიუროს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, ავტომანქანა „ზილ-131“ და ძარა უნდა ჩამოერთვას და უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა მოხდეს ბენზოხერხისა და ცხრაშეტი ერთეული წიფლის ჯიშის მორის საპროცესო კონფისკაცია.

5. მსჯავრდებულ შ. ბ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი პ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას დამატებითი სასჯელის ნაწილში, კერძოდ: ავტო-

მანქანა „ზილ-131-სა“ და ავტომანქანის ძარის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ შ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. მ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ შ. ბ-სათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რასაც სადავოდ არც დაცვის მხარე ხდის.

3. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ შ. ბ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი საფუძვლებით: საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამოიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამოიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, დადგენილია, რომ ჩამორთმეული „ზილ-131“ მარკის ავტომობილი, წარმოადგენს არა შ. ბ-ს, არამედ ბ. ბ-ს საკუთრებას, რომელიც მის კანონიერ მფლობელობაში იყო შემთხვევის დღეს. გარდა ამისა, ასევე დადგენილია, რომ ბ. ბ-მ არ იცოდა, რომ მისი ავტომანქანა გამოიყენებოდა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის. ამდენად, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლში გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც შეიძლება გამხდარიყო ავტომობილის ჩამორთმევის საფუძველი.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ავტომანქანა „ზილ-131“ და ავტომანქანის ძარა უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს. განაჩენი დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ შ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:
3. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ავტომატურად „ზილ-131“ და ავტომატურად დარა უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქმნების ჩამორთმევა

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№492აპ-18 15 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- ბ. ალავიძე,
- პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ მაია სილაგაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ნოემბრის განაჩენით:

თ. ფ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 2 (ორი) წლით (ამ ვადით აეკრძალა ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში).

თ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი ძირითადი სასჯელი და თ. ფ.-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 (ორი) წლით აეკრძალა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ თ. ფ.-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2015 წლის 19 თებერვლიდან.

ზ. ნ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლვეი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 2 (ორი) წლით (ამ ვადით აეკრძალა ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში).

ზ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრმა ძირითადმა

თადმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი ძირითადი სასჯელი და ზ. ნ-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 (ორი) წლით აკრძალა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ ზ. ნ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2015 წლის 13 თებერვლიდან.

გაუქმდა სასამართლოს განჩინებები ყადაღის დადებისა და გადაუდებელი აუცილებლობით დაყადაღებული ქონებების კანონიერად ცნობის შესახებ შემდეგ უძრავ-მოძრავ ქონებებსა და საბანკო ანგარიშებზე: 1. ე.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთიერი მტკიცებულებები:

CD დისკები – შენახულ უნდა იქნეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, საქმის შენახვის ვადით; ზ. ნ-ს მობილური ტელეფონი – უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს; ს. კ-ს კომპიუტერი – უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს; შპს „ს-დან“ ამოღებული კომპიუტერული ტექნიკა – უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ კომპანიას; დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, ავტომანქანები – „...“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა გადაეცეს დაზარალებულ კომპანიას და მოხმარდეს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;

მსჯავრდებულების – ზ. ნ-ს და თ. ფ-ს არასრულწლოვანი შვილები – ნ. ნ. (...) გ. ნ. (...) მამა – ზ. ნ., პირადი №..., დედა – თ. ფ., პირადი №..., მსჯავრდებულების მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის პერიოდში, ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე დარჩენის შემთხვევაში – სამეურვეოდ უნდა გადაეცეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ნოემბრის განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ფ-მ ჩაიდინა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; მანვე ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზ-

ნით, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ზ. ნ-მ ჩაიდინა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში, ჩადენილი დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; მანვე ჩაიდინა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 21 დეკემბერიდან 2015 წლის 1 იანვრამდე თ. ფ. შპს „ს-ში“ მუშაობდა ფინანსური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს უფროსის მოადგილის, ფინანსური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს უფროსისა და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობებზე. ამავე კომპანიის დებულებების თანახმად, სხვა უფლება-მოვალეობებთან ერთად, თ. ფ-ს ფუნქციაში შედიოდა კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ფულადი სახსრების ანგარიშსწორებებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა, კომპანიის მიერ განხორციელებული ხარჯების დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაციის მიღება და ანგარიშსწორება. თ. ფ-ს, როგორც მთავარ ბუღალტერს, ასევე ჰქონდა ორგანიზაციის სს „ლ.“ გახსნილ ყველა ანგარიშზე ინტერნეტ ბანკით სარგებლობის სრული უფლება, მათ შორის, №... ანგარიშზე, რომელზეც პერიოდულად ირიცხებოდა სხვადასხვა თანხა.

2013 წლის დასაწყისში თ. ფ-მ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განიზრახა შპს „ს-ს“ კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მითვისება. მან დანაშაულებრივი განზრახვა გაანდო მეუღლეს – ზ. ნ-ს და ამავე კომპანიის ფულადი სახსრებისა და საკრედიტო რესურსების სამმართველოს უფროსს – ნ. ნ-ს, რომელთან ერთადაც ჩამოაყალიბა ორგანიზებული ჯგუფი. დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუ-

ფის წევრები შეთანხმდნენ, რომ თანხის მისათვისებლად სხვადასხვა პერიოდში გამოიყენებდნენ როგორც თ. ფ-ს სახელზე გახსნილ პირად ანგარიშს, ასევე ზ. ნ-ს მიერ ფორმალურად მესამე პირებზე დარეგისტრირებული ორგანიზაციებისა და მისსავე სახელზე დარეგისტრირებული ფირმის ანგარიშებს. ამავე გეგმის მიხედვით, შპს „ს-ს“ სს „ლ.“ გახსნილი №... ანგარიშიდან უკანონოდ გადაირიცხებოდა დიდი ოდენობით თანხები, რასაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მიითვისებდნენ. ამასთან, ნ. ნ-ს, სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა ეკონტროლებინა, რომ უკანონოდ გადაირიცხული თანხების ამსახველი საბანკო ამონაწერები არ მოხვედრილიყო სხვა ბუღალტრების ხელში და ჯგუფის დანაშაულებრივი გეგმა არ გამჟღავნებულიყო კომპანიაში.

გეგმის შესაბამისად, 2013 წლის 22 აპრილს ზ. ნ-მ თავის მეგობარ რ. ს-ს დაარეგისტრირებინა შპს „ა.“, ხოლო 2014 წლის 10 აპრილს – ს. კ-ს – შპს „ბ.“, რომლებსაც საბანკო ანგარიშები გაახსნევინა სს „ლ“. ზ. ნ-მ რ. ს-ს და ს. კ-ს გამოართვა ორგანიზაციების იურიდიული და საბანკო დოკუმენტაცია, რითაც უზრუნველყო მისი და თ. ფ-ს სრული წვდომა ხსენებული კომპანიების საბანკო ანგარიშებზე.

თ. ფ-მ, ნ. ნ-მ და ზ. ნ-მ, განზრახვის შესაბამისად, 2013 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, შპს „ს-ს“ №... ანგარიშიდან შპს „ქ-ს“, შპს „ა-ს“, შპს „ბ-ს“ და თ. ფ-ს პირად საბანკო ანგარიშებზე ჯამურად უკანონოდ გადაირიცხეს 2 289 752 ლარი და დანაშაულებრივი ქმედების შენიღბვისა და კვალის დაფარვის მიზნით, ანგარიშსწორების დანიშნულებაში მიუთითეს არარსებული ხელშეკრულებების ნომრები, რომ თითქოსდა, ეს თანხები გადაირიცხა გარკვეული მომსახურების სანაცვლოდ. ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა ამ გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯამურად ეტაპობრივად მიითვისეს შპს „ს-ს“ კუთვნილი 2 289 752 ლარი.

ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა – თ. ფ-მ, ზ. ნ-მ და ნ. ნ-მ შეიმუშავეს მითვისებული თანხისათვის კანონიერი სახის მიცემის სქემა, რომლის მიხედვითაც, მას შემდგომ, რაც ისინი შპს „ს-ს“ თანხებს მითვისებდნენ, შპს „ქ-ს“, შპს „ა-ს“ და შპს „ბ-ს“ საბანკო ანგარიშებზე გადაირიცხვის გზით, მისი უკანონო წარმომავლობის დაფარვის მიზნით, მითვისებულ თანხას გადაირიცხავდნენ სხვადასხვა პირისა და ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე, რის შემდეგმაც თანხა ისევ მათ დაუბრუნდებოდათ. სქემის თანახმად, ჯგუფის წევრები შეუთანხმდნენ კ. დ-ს და ზ. ნ-ს დას – ნ. ნ-ს, რომელსაც, უკანონო შემოსავლის ლეგალიზების მიზნით, დაარეგისტრირებინეს შპს „კ.“, რომ მითვისებული თანხის ნაწილი ჩაირიც-

ხებოდა კ. დ-ს პირად საბანკო ანგარიშსა და შპს „კ-ს“ საბანკო ანგარიშზე, ხოლო თანხის ნაწილი სხვადასხვა დანიშნულებით პირდაპირ გადაირიცხებოდა ორგანიზებული ჯგუფის წევრების პირად საბანკო ანგარიშებზე.

დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, 2013 წლის იანვრიდან 2015 წლის თებერვლამდე პერიოდში უკანონოდ მიღებული შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემისა და მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა – თ. ფ-მ, ნ. ნ-მ და ზ. ნ-მ შპს „ა-ს“ და შპს „ბ-ს“ საბანკო ანგარიშებიდან შპს „ს-დან“ მითვისებული თანხის ნაწილი, ვითომდა, სხვადასხვა დანიშნულებით (ავანსი, სამეურნეო ხარჯები, მომსახურება) გადარიცხეს თავიანთ პირად საბანკო ანგარიშებზე, კერძოდ, თ. ფ-ს პირად საბანკო ანგარიშებზე გადაირიცხა 1 404 202 ლარი, ზ. ნ-ს პირად საბანკო ანგარიშებზე – 199 866 ლარი, ნ. ნ-ს პირად საბანკო ანგარიშებზე – 62 920 ლარი, ხოლო თანხის ნაწილი, შეთანხმებისამებრ, სხვადასხვა დანიშნულებით გადაირიცხა კ. დ-ს და შპს „კ-ს“ საბანკო ანგარიშებზე, კერძოდ: 100 085 ლარი გადაირიცხა კ. დ-ს საბანკო ანგარიშზე (სამეურნეო ხარჯები, სასტუმროს მომსახურება), ხოლო 373 220 ლარი – შპს „კ-ს“ საბანკო ანგარიშზე (მომსახურება). აღნიშნულის შემდგომ, კ. დ-მ და ნ. ნ-მ საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხა დაუბრუნეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებს. გარდა ამისა, მითვისებული თანხის უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, ვითომდა ავანსის სახით, შპს „ბ-დან“ 25 070 ლარი გადაირიცხა მ. მ-ს და გ. მ-ს პირად საბანკო ანგარიშებზე, ხოლო 35 330 ლარი – შპს „ა.“ საბანკო ანგარიშზე – ტურისტული მომსახურების განვითარების, ამასთან, შპს „ს-დან“ შპს „ქ-ს“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხული თანხა – 70 615 ლარი, ვითომდა სამეურნეო ხარჯებისათვის, მთლიანად გაიტანა ზ. ნ-მ. მითითებული საბანკო ოპერაციების განხორციელების გზით ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა მოახერხეს შპს „ს-დან“ მითვისებული თანხის ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა და შენიღბვა, რის შედეგადაც მოახდინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონოდ მიღებული შემოსავლის – 2 271 308 ლარის ლეგალიზაცია.

ასევე, თ. ფ-მ და ზ. ნ-მ, უკანონოდ მიღებული შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის შემდეგ, მითვისებული თანხით შეიძინეს და ფლობდნენ სხვადასხვა უძრავ-მოძრავ ქონებას, კერძოდ: 2, რომელიც 2015 წლის 9 თებერვალს, ქონების გადამალვის მიზნით, გადაუფორმა ე. ქ-ს. მანვე 2014 წლის 10 ივლისს შეიძინა ავტომანქანა „...“ რომელიც ასევე გადამალვის მიზნით, 2015 წლის 18

იანვარს გადაუფორმა მის შვილს – თ. კ-ს, ხოლო 2014 წლის 22 ივლისს ზ. ნ-მ შეიძინა ავტომანქანა „...“, რომელიც გააფორმა თავისი მეგობრის – მ. მ-ს სახელზე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ნოემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა მაია სილაგაძემ, მსჯავრდებულმა ზ. ნ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა-მ, მსჯავრდებულ თ. ნ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – მ. ჩ-მ და გ. მ-მ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ნოემბრის განაჩენში, მსჯავრდებულ თ. ფ-სათვის განსაზღვრული სასჯელის ნაწილში, ცვლილების შეტანა, კერძოდ: თ. ფ-სათვის ძირითად სასჯელთან ერთად, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების – ქ. ჩამორთმევა.

მსჯავრდებულმა ზ. ნ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს ზ. ნ-ს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

მსჯავრდებულ თ. ფ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – გ. მ-მ და მ. ჩ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და თ. ფ-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ნოემბრის განაჩენი თ. ფ-ს და ზ. ნ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა მაია სილაგაძემ. კასატორი საჩივრით ითხოვეს თ. ფ-სათვის ძირითად სასჯელთან ერთად, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის გამოყენებით, მისი კუთვნილი ქონების – ქ. მდებარე საცხოვრებელი ბინის ჩამორთმევას, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ მითითებული ქონება თ. ფ-ს შეძენილი აქვს დანაშაულებრივი გზით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ მაია სილაგაძის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ არ მსჯელობს მსჯავრდებულების – თ. ფ-ს და ზ. ნ-ს ბრალეულობის საკითხზე, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენი გასაჩივრებული აქვს მხოლოდ ბრალდების მხარეს – თ. ფ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით ქონების ჩამორთმევის გამოყენების მოთხოვნით, რის შესაბამისადაც, საკასაციო პალატამ იმსჯელა მხოლოდ საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებში.

3. სახელმწიფო ბრალმდებელი საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს თ. ფ-ს კუთვნილი ქონების – ქ. ჩამორთმევას და განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაცია, რომელსაც დაეთანხმა სააპელაციო პალატაც, ამ ნაწილში უკანონო და დაუსაბუთებელია, კერძოდ: პირველი ინსტანციის სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ქონება გადაეცემა სახელმწიფოს და არა დაზარალებულს, ხოლო ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მატერიალური ზიანი მიაღწა შპს „ს-ს“, ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა არამართლზომიერია.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ: მონწე – ე. ქ-ს ჩვენებით, რომლითაც დადგენილია, რომ 2015 წლის თებერვალში თ. ფ-ს დედის – ნ. ფ-ს თხოვნით, თავის სახელზე გადაიფორმა თ. ფ-ს კუთვნილი, ქ. მდებარე ბინა. სინამდვილეში მას არ შეუწყვიდია ეს ბინა და მოგვიანებით ნ. ფ-საგან გაიგო, რომ თ. ფ-ს ჰქონდა პრობლემები, რის გამოც ბინის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად იგი მის სახელზე გადააფორმეს; კ. კ-ს ჩვენებით, რომლითაც დადგენილია, რომ 2014 წლის აგვისტოში თ. ფ-ს და ზ. ნ-ს 136 000 აშშ დოლარად მიჰყიდა ქ. მდებარე ბინა, რაც ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მოპოვებული დოკუმენტებით; მ. მ-ს ჩვენებით, რომლითაც დადგენილია, რომ 2015 წლის დასაწყისში თ. ფ-მ მის სახელზე გააფორმა მინდობილობა, რომლის საფუძველზეც თ. ფ-ს კუთვნილი ბინა (მ.) გადაუფორმა ე. ქ-ს; საბანკო ამონაწერებით; რევიზიის დასკვნებითა და სხვა მასალებით დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა თ. ფ-მ დანაშაულებრივი გზით უკანონოდ მიღებული შემოსავლებით, კერ-

ძოდ – შპს „ს-დან“ მითვისებული თანხით შეიძინა უძრავი ქონება – ქ., რომელიც გადამალვის მიზნით, გააფორმა ე. ქ-ს სახელზე, რა-საც არ უარყოფენ არც თავად მსჯავრდებული თ. ფ. და არც მონმე – ე. ქ.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ამავ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას სასამართლო დააკისრებს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

6. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ თ. ფ-მ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხით შეიძინა ხსენებული ბინა. ასევე დადგენილია ისიც, რომ თ. ფ-მ ეს ქონება ფორმალურად გადააფორმა მესამე პირს – ე. ქ-ს სახელზე, მაგრამ მის რეალურ მესაკუთრეს წარმოადგენდა თვითონ, თ. ფ. ამასთანავე, თ. ფ-ს ჩადენილი აქვს განზრახი დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, პირს დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაეკისროს ქონების ჩამორთმევა და, შესაბამისად, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ, მართალია, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია შპს „ს.“, მაგრამ მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ კონკრეტულად ვინ არის ცნობილი დაზარალებულად.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენში თ. ფ-ს მიმართ დამატებითი სასჯელის ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდე-

ბულ თ. ფ-ს დამატებითი სასჯელის სახით საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაეკისროს ქონების ჩამორთმევა და მას სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას ე. ქ-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონება – ს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ მაია სილაგაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. მსჯავრდებულ თ. ფ-ს დამატებითი სასჯელის სახით საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე დაეკისროს ქონების ჩამორთმევა. თ. ფ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვას ე. ქ-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონება – ს.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის შემსუბუქება

განაჩენი

საქართველოს სახელმწიფო

№59აპ-18

6 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. გვენეტაძე (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. თ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ივნისის განაჩენით მ. გ-ი, – დაბადებული 1... ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.)

2. მ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისთვის და რაც გამოიხატა შემდეგში:

3. 2016 წლის 20 სექტემბერს, დაახლოებით 13:20 საათზე, მეტროს სადგურ „ს-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გამწვანების ზოლში, მ. გ-მა ზ. ლ-ს რამდენჯერმე მიაყენა ძლიერი დარტყმა სახის არეში და ძალადობის გამოყენებით, აშკარად გასტაცა „ჭუავეის“ ფირმის მობილური ტელეფონი და საფულე, რომელშიც მოთავსებული იყო ორი სამგზავრო ბარათი, რაც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა. აღნიშნული ქმედებით ზ. ლ-ს მიაღდა ფიზიკური და 100 ლარის ქონებრივი ზიანი.

4. აღნიშნული ქმედებისათვის მ. გ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის გლდანინაძალადევის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა თამარ ზარქუამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მ. გ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და, ამასთან ერთად, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითაც. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გამო მისთვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

6. განაჩენი სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. გ-მა და მისი ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ნ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულმა და ადვოკატმა ნ. თ-მ საკასაციო საჩივრებით მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად მ. გ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. ამასთან, მსჯავრდებულმა მ. გ-მა მოითხოვა მისთვის დანიშნული სასჯელის შემცირება.

9. კასატორი – მსჯავრდებულ მ. გ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. თ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდებოდა მ. გ-ის ბრალეულობა. სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მოწმეების ირიბი ჩვენებებისა და დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა ზ. ლ-მა თავის ჩვენებაში აღნიშნა: მას ჰქონდა მ. გ-ის ვალი – 125 ლარი. ისინი შეთანხმდნენ, რომ ვალის დაბრუნებამდე ბრალდებულს თავის მობილურ ტელეფონს ნებაყოფლობით გადასცემდა. შესაბამისად, მ. გ-ი ამკარად და ძალადობით არ დაუფლებია მობილურ ტელეფონს. დაცვის მხარის განმარტებით, დაზარალებულმა სათანადოდ არ იცის წერა-კითხვა, ამდენად, მისთვის უცნობია გამოძიების ეტაპზე რა ჩვენებას მოაწერა ხელი. კასატორი თავის პოზიცი-

ას ასევე ასაბუთებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებებით: სასამართლო სხდომაზე მობილური ტელეფონის, როგორც ნივთმტკიცების, გამოკვლევა არ მომხდარა. დაზარალებულმა პროკურორის თხოვნით ჯიბიდან ამოიღო მობილური ტელეფონი და სასამართლოს განუმარტა, რომ ბრალდებულმა სწორედ ეს ტელეფონი წაართვა; ბრალდების მხარეს გამოძიების ეტაპზე დაქტილოსკოპიური ან ბიოლოგიური ექსპერტიზა არ ჩატარებია, რითაც დადასტურდებოდა ბრალდებულის კავშირი ზ. ლ-ის ტელეფონთან; ბრალდების მხარის ვერსია, რომ თითქოს, ტელეფონის დაუფლებისას დაზარალებულს სცემა ბრალდებულმა, საქმის მასალებით არ დასტურდება; ზ. ლ-ის მიერ წარდგენილი შარვლის მტკიცებულებად მიღება კანონის დარღვევით მოხდა, კერძოდ, დაზარალებულმა შარვალი საგამოძიებო ორგანოს გადასცა, თუმცა დაუდგენელია საგამოძიებო ორგანოში მისი შარვალი იყო თუ არა წარდგენილი; შარვალზე აღმოჩენილი სისხლი ნამდვილად დაზარალებულს ეკუთვნის თუ არა, ეს გარემოება ექსპერტ-ბიოლოგმა სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას ვერ დაადასტურა; მართალია, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული, მაგრამ ცხვირის არეში დაზიანების კვალი არ არის აღმოჩენილი, ხოლო თავში ვინ მიაყენა დაზიანება, სხვა უტყუარი მტკიცებულებებით დადგენილი არ არის. ამასთან, საკასაციო საჩივრის ავტორი – მსჯავრდებული მ. გ-ი დამატებით ითხოვს სწორი და სამართლიანი განაჩენის გამოტანას და მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა მ. გ-ის მსჯავრდების საქმის მასალები, შეამონმა დაცვის მხარის საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. თ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოში მ. გ-ის საქმის განხილვისას მას ბრალი ედებოდა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ძარცვის ჩადენაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ძარცვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ისეთი ძალადობით, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის). სასამართლოს განაჩენით გ. ბ-ი, რომელსაც ბრალი ედებოდა მ. გ-თან ერთად დაზარალებულ ზ. ლ-ის მიმართ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში, გამარ-

თლდა, რის გამოც მ. გ-ს მოეხსნა ბრალი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძარცვის ჩადენაში და სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო ძალადობით ძარცვის ჩადენაში (საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).

2. საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორების მოთხოვნას მ. გ-ის მთლიანად გამართლების თაობაზე, რადგან საქმეში მოიპოვება კანონიერი გზით მოპოვებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ისეთი ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს გონივრული ეჭვის გარეშე დაარწმუნებს მის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა აღნიშნულ ერთობლიობაში იგულისხმება არა მარტო დაზარალებულ ზ. ლ-ის პირდაპირი ჩვენება, არამედ სხვა პირდაპირი მტკიცებულებაც, კერძოდ, ბრალდებულ მ. გ-ის პირადი ჩხრეკის ოქმი და ამ ჩხრეკისას მისგან ამოღებული ნივთმტკიცება – დაზარალებულ ზ. ლ-ის კუთვნილი „ჭუავევის“ ფირმის მობილური ტელეფონი. ამასთან, აღნიშნული პირდაპირი მტკიცებულებების უტყუარობა დასტურდება საქმეში არსებული სხვა არაერთი არაპირდაპირი მტკიცებულებით (დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დაზარალებულ ზ. ლ-ისათვის მიყენებული დაზიანებების შესახებ; ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით).

3. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილავს რა „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“ განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ელმასრი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ“, (El-Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia) [დიდი პალატა], №39630/09, § 151, 13.12.2012, „ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Hassan v The UK) [დიდი პალატა], №29750/09, §48, 16.09.2014). სასამართლოს აღნიშნული მიდგომით, როგორც წესი, მტკიცებულება, მისი რელევანტურობა ფასდება ეროვნული სასამართლოების დონეზე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „ბარბერა, მესეგუე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ“ (Barberà, Messegué, Jabardo v. Spain) №10590/83, §68, 06.12.1988).

4. საკასაციო პალატა არ ეთანხმება აგრეთვე დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილ მოტივს იმის თაობაზე, რომ დაზარალებულმა საკუთარი ნებით გადასცა თავისი მობილუ-

რი ტელეფონი მსჯავრდებულს, რასაც აბათილებს ზ. ლ-ისათვის მიყენებული სხეულებრივი დაზიანებები, რომელთა არსებობა შეუძლებელი იქნებოდა ხსენებული ნივთის მისგან მსჯავრდებულისათვის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში. გარდა ამისა, კასატორის მიერ საჩივარში წარმოდგენილი პოზიციები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, კერძოდ, ერთ შემთხვევაში დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ დაზარალებულმა თავისი მობილური ტელეფონი ნებაყოფლობით გადასცა მ. გ-ს, ხოლო შემდეგ კი ის ავითარებს მსჯელობას, რომლის მიხედვით თითქოს საეჭვოა რეალურად მართლა ამოუღეს თუ არა მას აღნიშნული მობილური ტელეფონი პირადი ჩხრეკისას და რომ სინამდვილეში მისგან არავითარი მობილური ტელეფონი არ ამოუღიათ პირადი ჩხრეკისას.

5. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენი მ. გ-ის დამნაშავედ ცნობისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში არის კანონიერი და დასაბუთებული, რომლის გაუქმების საფუძველი არ არსებობს. ამავე დროს, საკასაციო პალატა იზიარებს მსჯავრდებულ მ. გ-ის მოთხოვნას დანიშნული სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულ მ. გ-ი პირველად არის სამართალში და მის მიერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი და ამასთან აღნიშნული ნივთი (მობილური ტელეფონი) დაზარალებულს დაუბრუნდა, შესაძლებლად მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენით მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ზომამდე, რის გამოც მითითებულ განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებულ მ. გ-ის მიმართ განსაზღვრული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით – უნდა შემცირდეს 1 წლით და მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ადვოკატ ნ. თ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

4. მსჯავრდებულ მ. გ-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს 1 წლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. მ. გ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

6. მ. გ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2016 წლის 20 სექტემბრიდან.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემსუბუქება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№ 116აპ-18

16 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. კ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 ოქტომბრის

განაჩენით, მ. კ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევნი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა მ. კ-ს მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი სასჯელი – 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

გაუქმდა მ. კ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მ. კ-ს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალა სასჯელის ვადაში და მისი მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 20 იანვრიდან.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთმტკიცებად ცნობილი: მოზილური ტელეფონი, რომელიც ინახება ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მესაკუთრეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

2. აღნიშნული განაჩენით მ. კ-ს მსჯავრი დაედო ქურდობის მცდელობაში, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით, არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2017 წლის 20 იანვარს, დაახლოებით 2000 საათზე ქურდობისათვის ნასამართლევნი მ. კ. შეეცადა უკანონო შეღწევის გზით, ქ. ქ-ში, ჭ-ს გამზირზე №-ში მდებარე სავაჭრო ცენტრიდან ფარულად დაუფლებოდა შპს „ა-ის“ ნივთებს, რა დროსაც დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. კ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – მ. ი-მ. აპელანტებმა საჩივრით ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მ. კ-ს გამართლება, ვინაიდან არ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლე-

ბიჯ დაადასტურებდა მ. კ-ს ბრალეულობას.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული მ. კ. საკასაციო საჩივრით ითხოვს შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას, მისი ოჯახური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ მ. კ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მ. კ-სათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. კ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: მ. კ-ს მსჯავრი დაედო მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის. მართალია, იგი წარსულში ნასამართლევი და აღნიშნული დანაშაულის ჩადენის დროს იყო პირობით მსჯავრდებული, მაგრამ მის მიერ როგორც წარსულში, ისე ამჟამად ჩადენილი ქმედებები (ქურდობა, ქურდობის მცდელობა) არ არის ძალადობრივი ხასიათის. ჩადენილი ქმედების ხასიათისა და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ა-ს“ ზიანი არ მისდგომია, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია მ. კ-სათვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად უნდა შთანთქმას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და მას საბოლოო სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:
 3. მ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯოს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
 4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს მ. კ-ს მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი სასჯელი – 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
 5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქმას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით მ. კ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 20 იანვრიდან. მასვე, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალოს სასჯელის ვადაში.
 6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.
 7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

ამნისტია, შეწყალება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№12¹-18

20 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. გვენეტაძე (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ჯ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით ჯ. კ, – დ., ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აპრილის განაჩენით წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი უცვლელად დარჩა ძალაში, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 თებერვლის განჩინებით ჯ. კ-ს ¼-ით შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელი – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც დაემატა სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით

დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მას მოსახდელად დარჩა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

4. 2017 წლის 27 დეკემბრის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში მსჯავრდებული ჯ. კ. შეწყალბულ იქნა და მას უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის საბოლოო ვადად განესაზღვრა 2023 წლის 12 აპრილი.

5. 2018 წლის 15 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გადაიგზავნა პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის – ჯ. კ-ის განცხადება, რომლითაც მან მოითხოვა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გავრცელება, კერძოდ, მსჯავრდებულის მითითებით, მას ერთი მეოთხედით უნდა შემცირებოდა სასჯელის ის კონკრეტული ვადა, რომელიც განესაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე.

6. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ჯ. კ-ის მიმართ არ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. კ-მ, რომელიც ითხოვს ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმებასა და მისთვის დანიშნული სასჯელის შემცირებას ერთი მეოთხედით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად. მსჯავრდებული აღნიშნულ მოთხოვნას აყენებს იმ საფუძველით, რომ ამჟამად მას დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა პრეზიდენტის 2017 წლის 27 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს მისთვის ბრალად შერაცხულ თითოეულ დანაშაულთან და სასჯელთან მიმართებით. ამასთან, იგი ითხოვს საკასაციო საჩივრის განხილვას ზეპირი მოსმენით და საქმის განსახილველად დიდი პალატისთვის გადაცემას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მოთხოვნის ძირითადი არგუმენტია ის, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე მას უვადო თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, ფაქტობრივად, განესაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ამდე-

ნად, იმის გათვალისწინებით, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე მას ერთი მეოთხედით აქვს შემცირებული სასჯელი, რაც რეალურად ვერ აისახა უვადო თავისუფლების აღკვეთაზე, იგი უნდა აისახოს დღეის მდგომარეობით მისთვის განსაზღვრულ ვადიან სასჯელზე, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო პალატა განმარტავს:

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი. ამავ ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

4. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად, ეს ღონისძიება არის ერთჯერადი აქტი. კერძოდ, ამ კანონის შესავალში აღნიშნულია, რომ ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, საქართველოს პარლამენტი ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით აცხადებს ამნისტიას.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სამართლომ კანონიერად არ გაავრცელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი მსჯავრდებულ ჯ. კ-ის მიმართ, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-16 მუხლი მსჯავრდებულზე უკვე გავრცელებულია და ხელახლა ველარ გავრცელდება. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 27 დეკემბრის განკარგულებით, რომლითაც განისაზღვრა ჯ. კ-ის საპატიმრო სასჯელისაგან შემდგომი გათავისუფლების თარიღი, მის მიმართ გამოტანილ განაჩენზე არავითარ სამართლებრივ გავლენას არ ახდენს, რის გამოც ის უცვლელად რჩება.

6. ამავ ე დროს საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრეზიდენტის განკარგულებით სასამართლოს მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი არ შეცვლილა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით ან უფრო მსუბუქი სასჯელით, არამედ განისაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთისაგან მისი გათავისუფლების თარიღი – 2023 წლის 12 აპრილი. აღნიშნული არ ნიშნავს მისთვის ახალი სასჯელის განსაზღვრას. ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულებით ჯ. კ-ს არ შეცვლია სასჯელის სახე და ზომა, შესა-

ბამისად, მის მიმართ ხელახლა ვერ იქნება გამოყენებული ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

7. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 და მე-17 მუხლების საფუძველზე, აღნიშნული კანონის მოქმედება მის მიმართ უნდა გავრცელდეს თითოეული დანაშაულისათვის და სასჯელისათვის ცალ-ცალკე, ამ საკითხში საკასაციო პალატა ეთანხმება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განმარტებას, რომლის მიხედვით, ჯ. კ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი გავრცელდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელზე, რასაც დამატება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, რადგან მას მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, შესაბამისად, საბოლოო სასჯელის სახით დარჩა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

8. ასევე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ვენეციის კომისიის 2013 წლის დასკვნაზე, რომელიც ეხება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონს, სადაც აღნიშნულია, რომ სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან ამნისტიის, შეწყალებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელება კანონიერად მიიჩნევა ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში და პირდაპირ აღნიშნულია ზოგიერთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში. კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში ნევრ სახელმწიფოთა მიმართ (2010)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ განსაზღვრულია, რომ ამნისტიის, შეწყალების ან მსგავსი ღონისძიებების გარდა, აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებებმა არ უნდა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალას უკარგავს სასამართლო გადაწყვეტილებებს. წინამდებარე რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა შესაძლებელია მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის მიერ ან ახლად გამოვლენილი გარემოებების დროს საქმის ხელახლა განხილვის პროცესში. სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა, აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, დაუშვებელია. თუმცა, ეს დანაწესი არ ართმევს კანონმდებელს უფლებამოსილებას – შეცვალოს არსებული კანონმდებლობა ან მიიღოს ახა-

ლი ნორმატიული აქტები, რომლებიც შემდეგ სასამართლომ უნდა გამოიყენოს. აღმასრულებელმა ან საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებმა არ უნდა გააუქმონ სასამართლო გადაწყვეტილებები კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმეებზე. თუმცა, არსებობს გარკვეული გამონაკლისი შემთხვევები, მაგალითად, ამნისტიისა და შეწყალების აქტები, კომპენსაციის გადახდა პასუხისმგებლობის აღიარების გარეშე ან სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელება. ასეთი გამონაკლისი შემთხვევები ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს და მისი გამართლება მაღალ ჰუმანურ პრინციპებში გამოიხატება.

9. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ითვალისწინებს გაეროს 1985 წლის ძირითად პრინციპებს სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ. პირველი პრინციპის მიხედვით, სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დანესებულებათა მოვალეობაა, პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას. ამასთან, მეოთხე პრინციპი ადგენს, რომ არ უნდა ხდებოდეს შეუსაბამო ან უკანონო ჩარევა სასამართლო პროცესში, ასევე სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არ უნდა დაექვემდებაროს გადასინჯვას. ეს პრინციპი არ ზღუდავს სასამართლო ზედამხედველობას ან სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელების კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, კანონის შესაბამისად, შემსუბუქებას ან შეცვლას. აღნიშნულ პრინციპებთან დაკავშირებით, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა განმარტა, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველთვის სიფრთხილით უნდა განხორციელონ ასეთი ღონისძიებები, რათა ამგვარმა ზომებმა (შეწყალება, ამნისტია და სხვა მსგავსი ღონისძიებები) არ დააკნინონ მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, რომელმაც, თავის მხრივ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების ქეშმარიტ პატივისცემაზე.

10. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 26-ე მუხლის თანახმად, სასამართლო საჩივარს განიხილავს დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის გარეშე, მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზედმინევით დაიცვა კანონის ეს მოთხოვნა და საქმე ზეპირი მოსმენითა და მხარეთა მონაწილეობით

განიხილა სასამართლო სხდომაზე.

11. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის შესახებ, ვინაიდან განსახილველი საკითხი არ წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს ანალოგიურ შემთხვევებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (საქმე №10აგ-14; საქმე №67აგ-16; საქმე №41-18; საქმე №51-18), რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

12. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ფ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობა

განაჩენი

საქართველოს სასჯელსახლით

№83აპ-18

26 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. გვენეტაძე (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ე. მ-ს, ტ. კ-ა და ი. ჩ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენით გ. შ-ე, – დაბადებული – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2005 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, თ-ი, კ. გ-ს გამზირის (ყოფილი პ-ს გამზირი) №... საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, გ. შ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ყელის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა ი. გ-ს. დანაშაულებრივი გაზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ გ. შ-ე შემთხვევის ადგილიდან მიიძალა, ხოლო ი. გ-ე, მიუხედავად განეული სამედიცინო დახმარებისა, გარდაიცვალა.

3. აღნიშნული ქმედებისათვის გ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად, (2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია), გ. შ-ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/3-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვა-

დით. მასვე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით.

4. გ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2016 წლის 1 აპრილიდან.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ჯ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. ადვოკატებმა – ე. მ-ა, ტ. კ-მ და ი. ჩ-ა საკასაციო საჩივრებით მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გ. შ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

8. კასატორები – მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – ე. მ-ი, ტ. კ-ე, ი. ჩ-ი საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდებოდა გ. შ-ს ბრალეულობა. მოწმეთა მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებები არათანმიმდევრული, ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია, ვერ აკმაყოფილებენ სანდოობისა და სარწმუნოების კრიტერიუმებს. კერძოდ, სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე გ. მ-ე თავდაპირველად დარწმუნებით აცხადებს, რომ ცეცხლსასროლ იარაღს ისროდა მხოლოდ გ. შ-ე, ხოლო დ. ჩ-ს იარაღი არ გაუსვრია. თუმცა შემდგომ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სხვა პირების მიერ იარაღის გამოყენების ფაქტს არ გამორიცხავს. წინააღმდეგობრივია მოწმის პასუხები იარაღის ფერთან დაკავშირებითაც. თავდაპირველად იგი იარაღს აღწერს როგორც ვერცხლისფერს, მოგვიანებით – შავს, მომდევნო კითხვებზე კი პასუხობს, რომ მისთვის იარაღის ფერი უცნობია. გ. მ-ს ჩვენებაში მორიგი წინააღმდეგობა გამოიკვეთა დაზარალებულისთვის ქრილობის მიყენების ნაწილში. მოწმე ჯერ ამბობს, რომ დაინახა ი. გ-ს ტყვიის ყელში მოხვედრის ფაქტი, შემდგომ ადვოკატის შეკითხვაზე აცხადებს, რომ კი არ დაინახა, არამედ აღნიშნული ფაქტის შე-

სახებ მან ასეთი აზრი გამოიტანა. გ. მ-ს განმარტებით, შემთხვევის ადგილზე ბნელოდა. შესაბამისად, დაცვის მხარისთვის გაურკვეველია, ამ უკანასკნელმა როგორ დაინახა – ვის რა იარაღი ჰქონდა, ვის სად მოხვდა ტყვია, რა ფერის იყო იარაღი ან რა ეცვა გარდაცვლილს. რაც შეეხება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ, პირდაპირი მონმის – შ. შ-ს ჩვენებას, დაცვის მხარის განმარტებით, იგი არასანდო და არადადამაჯერებელია შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მონმემ მიუთითა, რომ ადვოკატის რჩევით, საგამოძიებო ორგანოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია და განაცხადა, რომ ი. გ-ს მკვლელის ვინაობა მისთვის უცნობი იყო. ამასთან, იგი არაერთხელაა წასამართლვეი ძალადობრივ დანაშაულთა ჩადენისთვის. შ. შ-ა და გ. მ-ს ჩვენებების არადადამაჯერებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ ჩვენება გამოძიებას შემთხვევიდან 10 წლის შემდეგ მისცეს. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მონმეების – გ. შ-ს, გ. ჯ-ს, ა. ნ-ა და ნ. ჭ-ს ჩვენებები, რომლებიც გ. შ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის ფაქტს უარყოფენ. დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზები, გაცემული დასკვნები, მათ საფუძველზე დაკითხული ექსპერტთა ჩვენებები, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილისგან განსხვავებით, არ არის კატეგორიული შინაარსის – სადავოა სროლის მანძილი და ტრაექტორია. მიუხედავად აღნიშნულისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინტერპრეტაციებით და სუბიექტური მოსაზრების გამო, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი კატეგორიული ექსპერტიზის დასკვნები არ გაიზიარა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ სატელეფონო ჩანაწერთან მიმართებით დაცვის მხარე აღნიშნავს: გ. შ-ე სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულა, ხოლო დისკი, რომელზედაც გ. შ-ა და შ. შ-ს საუბარია ჩანერილი, არ იყო დალუქული. საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულან საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელი გამოძიებლები, შესაბამისად, დაუდგენელია ხსენებული საგამოძიებო ოქმების წარმომავლობა და ავთენტიკურობა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა გ. შ-ს მსჯავრდების საქმის მასალები, შეამოწმა დაცვის მხარის საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. განსახილველ შემთხვევაში გ. შ-ე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23

დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით: მან 2005 წლის 3 დეკემბერს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩაიდინა ი. გ-ს განზრახ მკვლელობა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ გ. შ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას გაითვალისწინა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველ საქმეზე ობიექტური და სამართლიანი განაჩენის დადგენას. ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას გ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ გ. შ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, კერძოდ:

4. მოწმე შ. შ-ს ჩვენებით ირკვევა, რომ განაწყენებული იყო ნ. ჭ-ე, მისი მისამართით გამოთქმულ შეურაცხყოფელ სიტყვებზე „ჭკუას ვასწავლიო“. აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, მეგობარ ი. გ-ნ ერთად, 2005 წლის 3 დეკემბერს მივიდა ნ. ჭ-ს ბინაში, სადაც ნ. ჭ-ნ ერთად იმყოფებოდნენ ამ უკანასკნელის მეგობრები – გ. შ-ე, დ. ჩ-ი, რომელსაც საქამრეში ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი, ა. წ-ე და იმ დროისთვის მისთვის უცნობი პირი – გ. ჯ-ი. გ. შ-ე გ. შ-ნ ერთად იცდიდა კორპუსის ეზოში. ბინაში მის მხარეს მყოფ ი. გ-ა და ნ. ჭ-ს მეგობრებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ი. გ-ნ კონფლიქტში ყველაზე მეტად აქტიურობდა გ. შ-ე. სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ, ურთიერთობის გარკვევის მიზნით, ეზოში ჩავიდნენ. ჩიხში ის და დ. ჩ-ი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. დ. ჩ-ა ჯერ გ. შ-ს გახედა, მისგან მინიშნების მიღების შემდეგ კი მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც მოწმემ მას ხელი დაარტყა. დარტყმის შედეგად დ. ჩ-ი ძირს დაეცა. ჩხუბი რამდენიმე წამს გრძელდებოდა, რა დროსაც მისი ყურადღება მიიქცია გ. შ-ს მოძრაობამ. გ. შ-მ ორი ნაბიჯი უკან გადადგა და იარაღი დაუმიზნა. ამ დროს მოწმე ი. გ-ნ ერთად იდგა, დაიყვირა „ბიჭებო, ისვრიანო“ და გაიქცნენ, რა დროსაც მათი მისამართით გ. შ-მ დაიწყო სროლა. გაქცევისას მიიხედა და დაინახა გ. შ-ე, რომელიც ცეცხლსასროლ იარაღს ისროდა. აღნიშნული სროლის შედეგად ი. გ-ე გარდაიცვალა.

5. 2005 წლის 3 დეკემბერს თ-ი, კ. გ-ს გამზირის (ყოფილი პ-ს გამზირი) №... საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს ანალოგიურად აღწერს მონმე გ. მ-ე. კერძოდ, მონმის განმარტებით, 2005 წლის 3 დეკემბერს ი. გ-ე, შ. შ-ნ ერთად, მივიდა ნ. ჭ-ს ბინაში, ხოლო თვითონ გ. შ-ნ ერთად იცდიდა კორპუსის ეზოში. დაახლოებით 15-20 წუთში, მას შემდეგ, რაც ი. გ-ე, შ. შ-ე, გ. შ-ე და ამ უკანასკნელის მეგობრები ეზოში ჩამოვიდნენ, ყველანი გაემართნენ იქვე მდებარე ჩიხისკენ. ნ. ჭ-ს მხარდამჭერი პირებიდან დ. ჩ-ს ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი და ახდენდა მის დემონსტრირებას. ჩიხში შესვლის შემდეგ დ. ჩ-ი და შ. შ-ე იდგნენ ერთად, იქვე იყო ი. გ-ე, ხოლო მათგან მოშორებით, ჩიხში შეწეული იდგა გ. შ-ე. შ. შ-ა და დ. ჩ-ს შორის სიტყვიერი დაპირისპირების შემდეგ შ. შ-მ დაარტყა ამ უკანასკნელს, რომელიც დარტყმის შედეგად მიწაზე დაეცა. ამ დროს გ. შ-მ ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, 2 ნაბიჯი გადადგა უკან და დაიწყო სროლა. იარაღის გასროლისას ყველა გაიქცა, გ. შ-მ დაახლოებით 5-ჯერ გაისროლა. პირველივე გასროლისას ი. გ-ს, რომელიც სხვებთან ერთად გარბოდა, ტყვია მოხვდა ყელის არეში. მიღებული დაზიანების შედეგად ი. გ-ე გარდაიცვალა.

6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარდა ზემოხსენებული მონმეების პირდაპირი ჩვენებებისა, საქმეში მოიპოვება კანონიერი გზით მოპოვებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ისეთი ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს გონივრული ეჭვის გარეშე დაარწმუნებს გ. შ-ს ბრალეულობაში. მტკიცებულებათა აღნიშნულ ერთობლიობაში იგულისხმება არა მარტო დანაშაულის თვითმხილველი მონმეების – შ. შ-ა და გ. მ-ს პირდაპირი ჩვენებები, არამედ სხვა მტკიცებულებებიც, კერძოდ: ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა და შ. შ-ა და გ. შ-ს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, სადაც ეს უკანასკნელი ადასტურებს გ. შ-ს მიერ ი. გ-ს განზრახ მკვლელობის ფაქტს, ხოლო საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დასტურდება აღნიშნული ინციდენტის დროს გ. შ-ს ყოფნა შემთხვევის ადგილზე; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადასტურებულია მიზეზობრივი კავშირი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლასა და ი. გ-ს გარდაცვალებას შორის, ასევე ბალისტიკური, ფიზიკო-ტექნიკური და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები.

7. აღნიშნულის საპირისპიროდ დაცვის მხარე საკასაციო საჩივრებში უთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდებოდა გ. შ-ს ბრალეულობა. სხვა საფუძვლებთან ერთად, გასაჩივრებული განა-

ჩენის გაუქმების საფუძვლად უთითებენ მონმეების – შ. შ-ა და გ. მ-ს ჩვენებებს, რომლებიც, ადვოკატების აზრით, არათანმიმდევრული, ურთიერთსანინალმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია, ვერ აკმაყოფილებს სანდოობისა და სარწმუნოობის კრიტერიუმებს.

8. ვინაიდან საკასაციო საჩივრებში მითითებული არგუმენტები ძირითადად ეხება მტკიცებულებებისა და მონმეეთა ჩვენებების შეფასების საკითხს, საკასაციო პალატას, პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, განაჩენი დასაბუთებულია, როდესაც განაჩენში წარმოდგენილი დასკვნები, როგორც მტკიცებების ცალკეულ საგანთან მიმართებით, ასევე მთლიანად პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე გამომდინარეობს საქმის რეალური ფაქტობრივი გარემოებებიდან და შეესაბამება ამ გარემოებებთან დაკავშირებით საქმეში არსებულ სარწმუნო მტკიცებულებებს.

9. თავის მხრივ, ცალკეული მტკიცებულების შეფასებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი კრიტერიუმებით: მტკიცებულებას მოცემულ საქმეში აქვს თუ არა კავშირი მტკიცების საგანთან; მასში სწორად არის თუ არა ასახული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება; სანდოა თუ არა ის წყარო, საიდანაც მიღებულია მტკიცებულება და, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენად რელევანტურია მტკიცებულება მისი უტყუარობის თვალსაზრისით.

10. პირის მსჯავრდებისას იმ პრინციპის დაცვა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით (მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი) და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (82-ე მუხლის პირველი ნაწილი). თავის მხრივ, მტკიცებულების უტყუარობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე №397აპ-14) შემდეგი: საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინა-არსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები – ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამასთან, თითოეული მტკიცებულება, აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, უნდა შემოწმდეს საქმეში არსებულ სხვა პირდაპირ, ასევე ირიბ მტკიცებულებებთან ერთობლივად, მათი ურთიერთთავსებადობის განსაზღვრის მიზნით, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისა და საერთოდ, ნებისმიერი – გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენის დასაბუთებისათვის.

11. საკასაციო პალატის აზრით, საქმეში არსებული მტკიცებულებები, მოწმეების – გ. მ-ა და შ. შ-ს პირდაპირი ჩვენებები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, ნამდვილად ეხება 2005 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, თ-ი, კ. გ-ს გამზირის (ყოფილი პ-ს გამზირი) №... საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღით ყელის არეში დაჭრეს ი. გ-ე, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. აღნიშნული მტკიცებულებები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ, სრულიად ნათლად წარმოაჩენს ხსენებულ კონფლიქტში მოწმის პირების ვინაობასა და ამ კონფლიქტის მიმდინარეობას მისი დასაწყისიდან დასასრულამდე.

12. განვიხილოთ საკასაციო საჩივრებში მითითებული თითოეული არგუმენტის საფუძვლიანობა ცალ-ცალკე.

13. დაცვის მხარის განმარტებით, გ. მ-ს ჩვენებაში არსებობს შემდეგი წინააღმდეგობა: მოწმე გ. მ-ე თავდაპირველად დარწმუნებით აცხადებს, რომ დ. ჩ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან არ უსვრია. ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდა მხოლოდ გ. შ-ე. თუმცა შემდგომ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სხვა პირების მიერ იარაღის გამოყენების ფაქტს არ გამოორიცხავს. გ. მ-ს ჩვენებაში

მორიგი წინააღმდეგობა გამოიკვეთა დაზარალებულისთვის ჭრილობის მიყენების ნაწილში. მონმე ჯერ ამბობს, რომ დაინახა ი. გ-ს ტყვიის ყელში მოხვედრის ფაქტი, შემდეგ, ადვოკატის შეკითხვაზე აცხადებს, რომ კი არ დაინახა, არამედ ასეთი აზრი გამოიტანა.

14. სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას მონმე გ. მ-ს ჩვენებების არასანდოობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მონმის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებები კონკრეტულად ასახავს 2005 წლის 3 დეკემბერს თ-ი, კ. გ-ს გამზირის (ყოფილი პ-ს გამზირი) №... საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ, მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ იცნობდა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, თავადაც კონფლიქტის მონაწილეა, ჩიხში მომხდარ ინციდენტში ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა გ. შ-მ, რის შედეგადაც ი. გ-ე გარდაიცვალა. ციტატა მონმის ჩვენებიდან: „გასროლები რომ დაინყო, ი. გ-ე გაიქცა და გაქცევისას დაეცა, შესაბამისად პირდაპირ მოხვდა ტყვია...“, „გ. შ-მ ამოიღო იარაღი და მან დაინყო სროლა, არ იყო შანსი რომ ჩ-ს ამოეღო იარაღი, რადგან მას შ-მ დაარტყა და დაგდებული იყო“. ამასთან, მონმის მიერ საქმის გარემოებათა შესახებ სასამართლოსათვის მიცემული ინფორმაცია იძლევა სხვა მტკიცებულებებით გადამონმების საშუალებას, კერძოდ, მონმე შ. შ-ს ჩვენებით, რომელმაც დარწმუნებით განაცხადა, რომ ცეცხლსასროლ იარაღს ისროდა მხოლოდ გ. შ-ე, აგრეთვე 2016 წლის 28 მარტის ფონოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნით. აღნიშნული დასკვნის დანართში ასახულია შ. შ-ა და გ. შ-ს სატელეფონო კომუნიკაცია, საიდანაც დგინდება რომ 2005 წლის 3 დეკემბერს გ. შ-ე იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, როგორც შ. შ-ა და ი. გ-ს მხარეს მყოფი ერთ-ერთი პირი. კითხვაზე, ვინ ისროლა – გ. შ-მ თუ დ. ჩ-ა, გ. შ-ე აცხადებს, რომ გ. შ-ე ისროდა და მან საერთოდ არ იცის, ვინ არის დ. ჩ-ი. რაც შეეხება ი. გ-ს დაჭრის ფაქტს, მონმის ჩვენებით გ. შ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლების დაწყებისას კონფლიქტში მონაწილე პირები გაიქცნენ, რა დროსაც ი. გ-ე დაეცა. უშუალოდ ტყვია არ დაუნახავს, თუმცა გასროლების შედეგად ი. გ-ს ტყვია მოხვდა ყელში, რის შედეგადაც გარდაიცვალა. ასე რომ, მონმე ამ ნაწილში ჩვენებას არ ცვლის, ადვოკატის შეკითხვებზე აკონკრეტებს, თუ რა დაინახა, რა ინფორმაცია მიიღო და რა დასკვნა გამოიტანა.

15. დაცვის მხარის განმარტებით, გ. მ-ს ჩვენების არასანდოობაზე მეტყველებს მონმე გ. მ-ს პასუხები იარაღის ფერთან დაკავშირებით. კერძოდ, მონმის ჩვენებით, გ. შ-ს 2005 წლის 3 დეკემბერს, კონფლიქტისას, თან ჰქონდა ვერცხლისფერი იარაღი, შემდგომ ადვოკატის ანალოგიურ შეკითხვაზე უპასუხა, რომ იარაღი

შავი ფერის იყო, ხოლო მომდევნო კითხვაზე იარაღის ფერი არ ახსოვდა. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული საფუძვლით მონმის ჩვენების სანდოობაში ეჭვის შეტანა უმართებულოა, ვინაიდან შეუძლებელია და არაგონივრულიც, მოვთხოვოთ მონმეს არამც თუ 11 წლის, არამედ თუნდაც ერთი წლის შემდეგ მთელი სიზუსტით აღიდგინოს და გადმოსცეს იმ შემთხვევის ყველა დეტალი, რომლის შემსწრე ან უშუალო მონაწილეც ის იყო. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მონმე გ. მ-ს ჩვენებაში არსებობს მცირეოდენი განსხვავებანი ცალკეულ დეტალებში, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან გასათვალისწინებელია მისი ასაკი, შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენები, რა პირობებშიც მონმეს უწევდა აღექვა და დამახსოვრებინა კონკრეტული დეტალები.

16. აღნიშნული მონმის ჩვენების სანდოობასთან მიმართებით დაცვის მხარე ასევე აპელირებს შემთხვევის ადგილას და მის მიმდებარედ განათების არარსებობაზე. დაცვის მხარისთვის გაურკვეველია, სიბნელეში მონმემ როგორ დაინახა – ვის რა იარაღი ჰქონდა, ვის სად მოხვდა ტყვია, რა ფერის იყო იარაღი ან რა ეცვა გარდაცვლილს. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით, თავად მსჯავრდებულისა და მონმეთა ჩვენებებით დადგენილია ის ფაქტი, რომ შემთხვევის ადგილს ანათებდა კორპუსის ფანჯრებიდან გამომავალი სინათლე, რაც იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მონმეს შეემჩნია და ადეკვატურად აღექვა ხსენებული ფაქტობრივი გარემოებები.

17. დაცვის მხარემ საეჭვოდ მიიჩნია პირდაპირი მონმეების – შ. შ-ა და გ. მ-ს ჩვენებები, ვინაიდან ისინი წარსულში ნასამართლეები არიან განზრახი დანაშაულების ჩადენისთვის. ამასთან, შ. შ-ს ჩვენება არასანდო და არადამაჯერებელია შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მონმემ მიუთითა, რომ ადვოკატის რჩევით, საგამოძიებო ორგანოს მიანოდა არასწორი ინფორმაცია და განაცხადა, რომ ი. გ-ს მკვლელის ვინაობა მისთვის უცნობი იყო.

18. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეზე მტკიცებულებითი ძალა მონმის მიერ მხოლოდ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას აქვს და სწორედ იგი უნდა შემონმდეს და შეფასდეს ობიექტურად. ამასთან, პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის თანახმადაც, მონმის ჩვენების სანდოობის შემომწმებისას სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მონმის ჩვენების თანმიმდევრულობაზე, კატეგორიულობაზე, თანხვედრაზე სხვა მტკიცებულებებსა და ფაქტობრივ გარემოებებთან, ასევე ამონმებს მონმის მახსოვრო-

ბის უნარს, შეუძლია თუ არა აღიდგინოს არსებითი ფაქტები, რომელთა თვითმხილველიც გახდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება, რომ შ. შ-ა და გ. მ-ს ჩვენებები არის სანდო, სარწმუნო და თანხვედრაშია ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილ გარემოებებსა და მიზეზობრივ კავშირთან. ის ფაქტი, რომ პირდაპირმა მონაწილემ, ყოველგვარი იმუნიტეტისა და შეღავათის მიღების გარეშე, 10 წლის შემდეგ ითანამშრომლეს გამოძიებასთან, არ შეიძლება მათი იმპიჩმენტის საფუძველი გახდეს. გარდა ამისა, კანონმდებლობით არ არის დადგენილი მოქალაქის (მონმის) მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობის ხანდაზმულობის ვადა. ასევე, მონმის ჩვენების სანდოობის შეფასებისას, არ შეიძლება მოხდეს აპელირება მის წარსულზე, მხოლოდ იმ კონტექსტში, რომ მონმე უეჭველად ცრუობს, ვინაიდან იგი არაერთხელაა ნასამართლვე. მონმის ნასამართლობას ჩვენების სანდოობის კონტექსტში სასამართლო იმ შემთხვევაში იღებს მხედველობაში, თუკი იგი წარსულში ნასამართლვეა მართლმსაჯულების განხორციელების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის, როგორცაა: დანაშაულის დაფარვა, შეუტყობინებლობა, ცრუ ჩვენების მიცემა.

19. რაც შეეხება დაცვის მხარის მითითებას იმის თაობაზე, რომ შ. შ-მ ი. გ-ს მკვლელობის საქმეზე გამოძიებას განზრახ არასწორი ჩვენება მიანოდა, მაშინვე არ განაცხადა, ვინ იყო მკვლელობის ჩამდენი და არ მისცა ჩვენებები, უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია, მასზე მრავალ ფაქტორს მოეხდინა ზეგავლენა, რაც შ. შ-მ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას დეტალურად განმარტა. მონმის განმარტებით, 2005 წელს მისმა ასაკმა განაპირობა საგამოძიებო ორგანოსთვის არასწორი ჩვენების მიცემა, ვინაიდან შეშინებული იყო. აქ მნიშვნელოვანია არა ის გარემოება, თუ რამდენად რეალური საფუძველი გააჩნდა მის შიშს, არამედ მისი ასაკი – მომხდარი შემთხვევისას, იგი არასრულწლოვანი იყო და ძნელია, ამ ასაკში ადამიანს მოსთხოვო მოქალაქეობრივი გაბედულებისა და მართლშეგნების მაღალი დონე.

20. დაცვის მხარის შემდეგი არგუმენტის თანახმად, ი. გ-ს მკვლელობა ჩადენილია 2005 წლის 3 დეკემბერს, ხოლო აღნიშნულმა მონაწილემ გამოძიებასთან ითანამშრომლეს 11 წლის შემდეგ, რაც კიდევ უფრო ამყარებს პოზიციას, რომ მონაწილის ჩვენებები არასანდო და არადაზავებელია.

21. მოცემულ პოზიციასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს შემდეგს: გაუმართლებელია მონმის ჩვენების სანდოობისა და რელევანტურობის შემოწმებისას განმსაზღვრელი მნიშვნელობა მივანიჭოთ იმ გარემოებას, თუ რამდენი წელია გასული

მომხდარი დანაშაულის ფაქტიდან ჩვენების მიცემამდე. მთავარია, რამდენად სრულად წარმოგვიდგენს მოწმე თავის ჩვენებაში ფაქტობრივ გარემოებებს, სრულფასოვნად ახდენს თუ არა ამ გარემოებების რეპროდუცირებას ჩვენების მიცემისას, როგორია მისი უნარი – სწორად აღიქვას და დაიმახსოვროს იმ შემთხვევის მთავარი, საქმისათვის არსებული მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა შემსწრეც ის გახდა და ხომ არ არსებობს რაიმე საფუძველი მის ამგვარ უნარში გონივრული ეჭვის შესატანად და ა.შ.

22. ამრიგად, საკასაციო პალატის დასკვნით, არავითარი საფუძველი არ არსებობს რაიმე ეჭვის შეტანისათვის ბრალდების მხარის ძირითადი მოწმეების – შ. შ-ა და გ. მ-ს პირდაპირი ჩვენებების სისწორესა და სარწმუნოებაში, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარე ამ მიმართულებით გარკვეულ ეჭვებსა და ვარაუდებს გამოთქვამს.

23. რაც შეეხება დაცვის მხარის მოწმეების: გ. ჯ-ს, ა. ნ-ა და ნ. ჭ-ს ჩვენებებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოწმეებმა – გ. ჯ-ა, ა. ნ-მ და ნ. ჭ-მ დაადასტურეს ამ უკანასკნელის ბინაში ი. გ-ს მხარესთან გარკვეული უთანხმოება და დაძაბული საუბარი. ამავე დროს, მსგავსად გ. შ-ა, მათ უარყვეს ამ უკანასკნელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის ფაქტი და სასამართლოს არ მიანოდეს ინფორმაცია ჩიხში განვითარებულ მოვლენებზე, უარყვეს მათი ყოფნა შემთხვევის ადგილზე. შესაბამისად, ხსენებული მოწმეები არ ფლობენ ინფორმაციას მკვლელობის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ამდენად, მათი ჩვენებები ამ ნაწილში არის არაარსებითი. აგრეთვე გასათვალისწინებელია გ. ჯ-ს ჩვენება, რომლის თანახმადაც, კონფლიქტის დროს ძალიან ეშინოდა, შიშის გამო ფეხს ითრევდა და სადარბაზოდან არ გასულა. მისივე განმარტებით, ჩიხში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით იცის გ. შ-ს მონაყოლით.

24. ამდენად, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია ადვოკატების არგუმენტაცია დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებების არგაზიარებასთან დაკავშირებით, ვინაიდან არცერთი მათგანი არ აღწერს 2005 წლის 3 დეკემბერს თ-ი, კ. გ-ს გამზირის (ყოფილი პ-ს გამზირი) №... საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს.

25. დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზები, გაცემული დასკვნები, მათ საფუძველზე დაკითხული ექსპერტები და მიღებული ჩვენებები, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილისგან განსხვავებით, არ არის კატეგორიული შინაარსის – სადავოა სროლის მანძილი და ტრაექტორია.

26. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) არ არის განწერილი რაიმე წესები მტკიცებულებების დასაშვებობაზე ან იმაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს ის. თუმცაღა, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პროცედურული გარანტიები: თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასევე პირის შესაძლებლობა, სადავოდ გახადოს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ექსპერტთა მოსაზრებების საფუძვლიანობა და დამაჯერებლობა.

27. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს, რომ დაცვისა და ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ექსპერტის დასკვნები განიხილებოდა თანაბარი ღირებულების მქონე მტკიცებულებად. მაგალითად, საქმეზე – ხადარკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, (Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, N11082/06, N13772/05; ECtHR, 25.07.2013) რუსეთის სასამართლოებმა ერთმანეთისგან ცალსახად განასხვავეს პროკურატურის მიერ გამოძახებული „ექსპერტები“ და, მეორე მხრივ, დაცვის მხარის მიერ საქმეში ჩართული „სპეციალისტები“. მსგავსმა დიფერენციაციამ და საქმის მონაწილე მხარეებისთვის სხვადასხვა პროცედურული წესების მიკუთვნებამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის შექმნილმა ძალაუფლების დისბალანსმა განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის დარღვევა.

28. ამდენად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: ექსპერტმა კვლევისას რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩატარა და რა მეთოდები გამოიყენა; ამასთან, რამდენად დასაბუთებული და კატეგორიული პასუხები გასცა დასმულ შეკითხვებზე.

29. განსახილველ შემთხვევაში, დაცვის მხარის პოზიციით, სასამართლოს უნდა გაეზიარებინა ადვოკატ ლ. ჯ-ს ინიციატივით დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის მიერ ჩატარებული კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზა და მის საფუძველზე გაცემული დასკვნა, იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზებისგან განსხვავებით, ეს დასკვნა კატეგორიულობისა და კომპეტენტურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

30. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის თანახმადაც, სასამართლო განმარტავს, რომ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული იმ ექსპერტიზის დასკვნების საპირწონედ, რომლის დროსაც მოხდა უშუალოდ გვამისა და ასევე, გარდაცვლილის ტანსაცმლის გამოკვლევა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც პასუხს გასცემს მხოლოდ თეორიულ კითხვებზე, გაცემულია სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და მასში წარმოდგენილი მტკიცებულებების სრული შესწავლის გარეშე და ემყარება მხოლოდ ვარაუდებს (სავარაუდო წინაღობა, მსროლელისა და მსხვერპლის სავარაუდო მდგომარეობა). მათ სანინააღმდეგოდ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ა. ზ-ი, რომელმაც უშუალოდ დაათვალიერა გვამი, აცხადებს, რომ გასროლა ნაწარმოებია არაახლო მანძილიდან, ხოლო ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის ავტორმა, რომელმაც უშუალოდ დაათვალიერა ი. გ-ს ტანსაცმელი, კატეგორიულად გამორიცხა ახლო მანძილიდან გასროლა.

31. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ სატელეფონო ჩანაწერთან მიმართებით დაცვის მხარე აღნიშნავს: გ. შ-ე სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულა, ხოლო დისკი, რომელზეზედაც გ. შ-ა და შ. შ-ს საუბარია ჩანერილი, არ არის დალუქული.

32. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს: 2016 წლის 4 მარტს დაინიშნა ფონოსკოპიური ექსპერტიზა გ. შ-ა და შ. შ-ს შორის არსებული სატელეფონო საუბრების სტენოგრაფირების, ასევე, ავთენტიკურობის დადგენის მიზნით. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა ა. მ-მ გასცა №... დასკვნა, რომლის თანახმადაც, „გამოსაკვლევი მასალა წარმოდგენილია ერთ ფუთად, თეთრი ფერის სტანდარტული კონვერტის სახით, რომელიც ორივე მხარეს დალუქულია საქართველოს პროკურატურის №0006138 ლუქით“. დალუქულ მდგომარეობაში დისკების მიღება სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა ა. მ-მ. ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ ორი დისკი დაილუქა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნივთმტკიცებისთვის განკუთვნილი შესაფუთი პარკებით.

33. დაცვის მხარე ასევე აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში არ დაკითხულან საგამომიებო მოქმედებების ჩამტარებული გამომძიებლები. შესაბამისად, საეჭვოა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოპოვებული, შექმნილი და შენახულია მათ მიერ.

34. საქართველოს სსსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. ამდენად, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა ენიჭება კუმულაციურად სამი სპეციალური წინაპირობის არსებობისას: 1. ცნობილია მისი წარმომავლობა; 2. ავთენტიკურია; 3. შესაძლებელია დაკითხოს პირი, რომელმაც შექმნა/მოიპოვა ან ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ პროცესის შეჯიბრებითობიდან გამომდინარე, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელ მტკიცებულებას წარადგენენ სასამართლოში და რომელს არა და ამ მხრივ მათ კანონმდებლობა რაიმე შეზღუდვას არ უწესებს. საქართველოს სსსკ-ის 78-ე მუხლის ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, აუცილებელია იდენტიფიცირებული იყოს დოკუმენტის მომპოვებელი, შემქმნელი ან შემნახველი პირი და მის შესახებ ინფორმაცია ჰქონდეს სასამართლოს და მეორე მხარეს, რომელსაც უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში დაცვის მხარის ნუსხაში მიუთითოს ხსენებული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებული პირები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დაცვის მხარე აპელირებს იმ საგამოძიებო ოქმებზე, რომლებიც წინასასამართლო სხდომაზე, როგორც მტკიცებულებები, დაუშვეს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. დაცვის მხარემ ამ ნაწილში თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის №332აპ-15 განჩინებაზე, რომელშიც საუბარია ექსპერტიზის დასკვნასა და არა – გამომძიებლების მიერ შედგენილ საგამოძიებო მოქმედებების ამსახველ ოქმებზე.

35. საკასაციო პალატა ი. გ-ს განზრახ მკვლელობის საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისას ითვალისწინებს და საეხებით იზიარებს ამ საკითხისადმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომასა და პრაქტიკას, რომელიც თავის ერთ-ერთ გადანყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: სასამართლო მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი იყო სასამართლოწარმოება მთლიანობაში და რამდენად იყო დაცული დაცვის უფლებები. კერძოდ, უნდა შეფასდეს – მიეცა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, ედავა მტკიცებულებების ავთენტურობაზე და შეინააღმდეგებოდა ამ მტკიცებულებების გამოყენებას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მტკიცებულებათა ხარისხი, ის გა-

რემოვები, რომლებშიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული და რამდენად ბადებს ეჭვს ეს გარემოებები მტკიცებულებების ნამდვილობასა და სარწმუნოობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, სამართლიანობაში ეჭვის შეპარვის საფუძველი წარმოიქმნას, თუ მოპოვებული მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა მასალებით. ხაზგასასმელია – იმ შემთხვევებში, როდესაც მტკიცებულება საკმაოდ წონიანი და არ არსებობს იმის რისკი, რომ იგი შეიძლება არასარწმუნოდ იქნეს მიჩნეული, დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის მით უფრო ნაკლები აუცილებლობა არსებობს (იხილეთ, ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Bykov v. Russia), №4378/02; (დიდი პალატა), §89, 90; ECtHR; 10.03.2009; ჯალო გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), №54810/00; (დიდი პალატა), §95, 96; ECtHR; 11.07.2011). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განხილულ საქმეზე არსებული ყველა მტკიცებულება მოპოვებულია და ამ საქმეზე სამართალწარმოების განხორციელებისას შემონმებულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში, რა დროსაც როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ თავიანთი მტკიცებულებები, მონაწილეობა მიეღოთ მონინაღმდეგე მხარის მტკიცებულებების გამოკვლევაში და ჯეროვნად დაეცვათ თავიანთი პოზიციები. ამ მხრივ, მოცემული საქმის წარმოებისას ყველა სასამართლო ინსტანციაში დაცვის მხარისათვის სრულად იყო უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული – სამართლიანი სასამართლოს უფლება. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი საფუძველი ეჭვისათვის იმ მტკიცებულებების ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, რომლებზეც საკასაციო პალატა აფუძნებს თავის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ამ მტკიცებულებათა უტყუარობასა და საკმარისობას გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის, ზემოთ წარმოდგენილი და გაანალიზებული გარემოებების გათვალისწინებით, ამ მხრივაც ვერ იქნება აღნიშნული მტკიცებულებები საეჭვოდ მიჩნეული, რადგან ასეთი ეჭვისათვის არ მოიპოვება დასაბუთებული და რელევანტური საფუძველი.

36. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოტივაციას გ. შ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნის ნაწილშიც, რომლის თანახმადაც, გ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლისა (2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) და „ამნისტიის შესახებ“

საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით.

37. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პოზიციების საფუძვლიანობა, რომლებიც დაცვის მხარემ თავის საჩივრებში დაასახელა, არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. შ-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ე. მ-ს, ტ. კ-ა და ი. ჩ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. შ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ბანზრახ მკვლელოჯის მცდელოჯა დამამიქიქიქელ
ბარემოქიქაში**

**ბანაჩენი
საქართველოს სანხელით**

379აბ-18

10 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. ქათამაძე**

მონაწილეობით განიხილა თბილისის პროკურატურის პროკუ-
რორ იმედა გუგუშვილისა და მსჯავრდებულ ლ. შ-ს საკასაციო სა-
ჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ლ. შ-ს ბრალი დაედო სიცოცხლის მოსპობაში გაუფრთხილებლობით და დამამძიმებელ გარემოებებში დამნაშავეისთვის წინასწარი შეცნო-
ბით არასრულწლოვნისა და ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობაში.

ლ. შ-ს დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის 29 სექტემბერს, დაახლოებით 19:30 საათზე, ქ. მიმ-
დებარე ტერიტორიაზე, ლ. შ-ს, რომელიც იმყოფებოდა მეგობრებ-
თან – მ. ი-სთან, რ. მ-სთან, გ. მ-სთან, ნ. ბ-სთან, ბ. ჭ-სთან, ზ. მ-სა
და ა. ბ-თან ერთად, შელაპარაკება მოუხდა ო. ყ-სთან, შ. მ-სთან, ტ.
პ-სა და მათ მეგობრებთან, რაც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპი-
რებაში.

ლ. შ-ს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ კონფლიქტის მონაწი-
ლეები იყვნენ არასრულწლოვნები, მან დანით, განზრახ მოკვლის
მიზნით, არასრულწლოვან ო. ყ-ს ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მი-
აყენა სახის არეში, ასევე არასრულწლოვან ტ. პ-ს – გულმკერდის
არეში, ხოლო შ. მ-ს – გულმკერდისა და მხრის არეში.

ამავე ჩხუბში ლ. შ-მ დანით გულმკერდის არეში შემთხვევით
მიაყენა შემავალი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა თავის მეგობარ,
არასრულწლოვან ა. ბ-ს, რომელიც შეცდომით ეგონა მონაწილემდე-
გე მხარის წარმომადგენელი. ა. ბ. მიყენებული ჭრილობის შედეგად
საავადმყოფოში გარდაიცვალა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 აგვისტოს განაჩენით:

ლ. შ., – დაბადებული 2... წლის 21 სექტემბერს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ამავე კოდექსის 69-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა – 1 (ერთი) წლით შინაპატიმრობა.

ლ. შ-ს – 23:00 საათიდან 08:00 საათამდე პერიოდში დაეკისრა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულება.

ლ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 (ექვსი) წლითა და 9 (ცხრა) თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეფარდებულ სასჯელთაგან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმავდა მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ლ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 (ექვსი) წლითა და 9 (ცხრა) თვით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 30 სექტემბრიდან იმავე წლის 17 ნოემბრის ჩათვლით და სასჯელის მოხდა დაენციო სასამართლო სხდომის დარბაზში თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან – 2017 წლის 30 აგვისტოდან.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარეებმა. ლ. შ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – კ. მ-მ და დ. მ-მ მოითხოვეს განაჩენში ცვლილებების შეტანა, კერძოდ: მსჯავრდებულის გამართლება საქართველოს სსკ-ის 19,117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ვინაიდან ლ. შ. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. თბილისის პროკურატურის პროკურორებმა – იმედა გუგუშვილმა და გიორგი ქობულაძემ მოითხოვეს ლ. შ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ ლ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. მ-სა და კ. მ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის პროკურატურის პროკურორების – გიორგი ქობულაძისა და იმედა გუგუშვილის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 აგვისტოს განაჩენში, კერძოდ:

ლ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 (ერთი) წლით შინაპატიმრობა.

ლ. შ-ს 23:00 საათიდან 08:00 საათამდე პერიოდში დაეკისრა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულება.

ლ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 16 (თექვსმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებულმა მკაცრმა სასჯელმა შთანთქა საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებული ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ლ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. შ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2017 წლის 30 აგვისტოდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 30 სექტემბრიდან იმავე წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.

მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ლ. შ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს უზრუნველსაყოფად დადებული ყადაღა მოეხსნა თ. შ-ს საკუთრებაში რიცხული ქონების (მდებარე ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალა 3-ში, კორპუსი 11, ბინა 88, საკადასტრო კოდი №01.18.13.023.007.01.088) 8 000 (რვა ათასი) ლარის ეკვივალენტურ წილს.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის პროკურატურის პროკურორმა იმედა გუგუშვილმა და მსჯავრდებულმა ლ. შ-მ.

სახელმწიფო ბრალმდებელი ითხოვს ლ. შ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და შესაბამისი სასჯელის შეფარდებას, ხოლო მსჯავრდებული ლ. შ. – საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებაში გამართლებას, სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილში კი – განაჩენის უცვლელად დატოვებას.

6. საკასაციო პალატის სხდომაზე ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივრებს და მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მათი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაზარალებულ ტ. პ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2016 წლის 29 სექტემბერს, საღამოს, ის და მისი მამიდაშვილი შ. მ. იმყოფებოდნენ სახლთან მდებარე სტადიონთან ახლოს, სადაც კონცერტი მიმდინარეობდა. ამ დროს ჩამოიარა რამდენიმე ბიჭმა. ყველაზე წინ ლ. შ. მოდიოდა, რომელიც აგდებულად მიესალმა მათ. ამის შემდეგ ლ. შ-მ ჰკითხა შ. მ-ს, როგორ მიყურებ, ხომ არ გეცნობიო და გვერდზე გასვლა შესთავაზა, რაზეც დათანხმდნენ. ლ. შ. და შ. მ. წინ მიდიოდნენ, ის კი მათ მიჰყვებოდა. ირგვლივ ხალხი იყო და ნაწილი მათ გაჰყვა უკან. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მივიდნენ საბანკეტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. იქ ლ. შ. და შ. მ. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ტ. პ. კი მათ წინ გაჩერდა. ლ. შ-ს მეგობრები და ისინი, ვინც მათ გაჰყვა, წრიულად იდგნენ ტ. პ-სთან ერთად. შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე შ. მ-მ, ისე რომ მათ შორის საუბარიც არ დაწყებულა, ლ. შ-ს ხელი დაარტყა. ლ. შ-მ დანა ამოიღო და დაიწყო უმისამართოდ ქნევა. მოწმის განმარტებით, მან დაინახა, რომ ლ. შ-ს დანა ეჭირა, თვითონ კი დაჭრილი იყო. შეეშინდა და გაიქცა. ლ. შ. მას გაეკიდა. დაახლოებით 5-10 მეტრი სდია, შეურაცხყოფას აყენებდა და ეძახდა, ხომ მაინც დაგჭერიო, რომ ვერ დაენია, უკან მიბრუნდა.

ტ. პ-მ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მან ლ. შ-ს იმიტომ დაარტყა, რომ ლ. დანას იღებდა ჯიბიდან.

3. დაზარალებულ შ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2016 წლის 29 სექტემბერს ის, მისი ბიძაშვილი – ტ. პ. და ო. ყ. უყურებდნენ კონცერტს, რა დროსაც ჩამოიარა მისთვის უცნობმა რამდენიმე ბიჭმა და მიესალმა იქ მყოფებს. ამის შემდეგ მასთან მივიდა ლ. შ. და ჰკითხა, ხომ არ ეცნობოდა. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ლ. შ-მ შესთავაზა გვერდზე გასულიყვნენ, რაზეც დათანხმდა და წავიდნენ დაახლოებით 100-200 მეტრის მოშორებით. ის და მსჯავრდებული წინ მიდიოდნენ, ლ. შ-ს თანმხლები ბიჭები კი უკან მისდევდნენ. როდესაც შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, ტ. პ. და ო. ყ. მის გვერდით, ხოლო ლ. შ-ს თანმხლები ბიჭები – იქვე, ახლოს. შემთხვევის ადგილზე სიბნელე იყო, მაგრამ საბანკეტო დარბაზის პირველ სართულზე მდებარე მოტოციკლეტების სახელოსნოდან შუეი გამოდიოდა და იმ ზოლზე კარგად ჩანდა ყველაფერი. ტ. პ. ამ სახელოსნოსკენ იდგა. მან და ლ. შ-მ საუბარი დაიწყეს, რა დროსაც ლ. შ-მ კიდევ ერთხელ ჰკითხა, ხომ არ ეცნობოდა, რაზეც კვლავ უარყოფითად უპასუხა. მსჯავრდებულმა ჯიბისკენ წაიღო ხელი. დაზარალებულმა დაინახა, როგორ იღებდა იგი დანას და ხელი დაარტყა სახეში, ლ. შ. წაბარბაცდა, რის შემდეგაც მისკენ წამოვიდა ხელის ქნევით. შ. მ-მ უკან დაიხია და ლ. შ-ს ტ. პ. შეეჩეხა. მას შემდეგ, რაც მან მსჯავრდებულს ხელი დაარტყა, შემთხვევის ადგილზე ჩხუბი ატყდა. ხელი ერთი ორჯერ მანაც მოიქნია და დაინახა, რომ მისი მეგობარი ო. ყ. სახის არეში იყო დაჭრილი. თვითონ როგორ დაჭრა, არ დაუნახავს, ამის შესახებ მას შემდეგ გაიგო, რაც ო. ყ-სთან მივიდა. მეგობრისკენ წასულმა დაინახა, რომ მსჯავრდებული კვლავ იქნევდა დანას, ყვიროდა, იგინებოდა და ამბობდა, ხომ მაინც დაგჭერთო. ხან ყვიროდა, დანა მაქვსო, თუმცა არ მომეკაროთო, არ უთქვამს. შ. მ-მ შემთხვევის ადგილი დატოვა ო. ყ-სთან ერთად. მას ტ. პ-ს დაჭრა არ დაუნახავს.

4. დაზარალებულ ო. ყ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2016 წლის 29 სექტემბერს, საღამოს, წავიდა კონცერტზე, რომელიც მისი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმართებოდა. როდესაც მივიდა, დაინახა, რომ შ. მ. და ტ. პ. უცნობებთან ერთად მიდიოდნენ. ირგვლივ ბევრი ხალხი იყო, ამ დროს გაიგონა დაძახილი, წამოდიოთ და ისიც გაჰყვა. წინ მიმავლებიდან კონკერტულად ვინ იყვნენ, ვერ გაარჩია, რადგან საკმაოდ ბნელოდა და მისგან შორს იყვნენ, ამასთან, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. მივიდნენ საბანკეტო დარბაზთან. ის იყო შემთხვევის ადგილზე უნდა მისულიყო, რომ ჩოჩქოლი ატყდა, ხელისკვრა და მსგავსი მოქმედებები იყო. ამას მოჰკრა თვალი თუ არა, დანა მოხვდა სახის არეში. მისი განმარტებით, როდესაც დანა მოხვდა, იმან, ვინც დაზიანება მია-

ყენა, დაიყვირა დავეჭერიო. როდესაც სახეზე მოიკიდა ხელი, ნახა, რომ სისხლი სდიოდა, სხვა აღარაფრისთვის მიუქცევია ყურადღება, გამოტრიალდა და სახლისკენ გამოიქცა.

5. მონმე მ. ი-ს განმარტებით, 2016 წლის 29 სექტემბერს ის, ლ. შ. , რ. მ., ბ. ჭ. და ა. ბ. წავიდნენ კონცერტის საყურებლად. გზაში შეხვდათ ზ. მ., ნ. ბ. და გ. მ., იქ იყვნენ ქვემო ფონიჭალელი ბიჭები, რომლებსაც არ იცნობდა. ისინი უყურებდნენ ლ. შ-ს. ლ. მივიდა ერთ-ერთთან და ჰკითხა, ხომ არ ეცნობოდა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. შემდეგ ლ. შ-მ ჰკითხა თუ საიდან იცნობდა, ბიჭმა უპასუხა, რა შენი საქმეაო და ხელით ძიძგილაობა დაიწყო. იმ ბიჭმა ლ. შ-ს შესთავაზა გვერდით გასულიყვენ. შემთხვევის ადგილზე მისვლამდე ხალხი ემატებოდათ. როდესაც მივიდნენ, მსჯავრდებულმა ქვემო ფონიჭალელს უთხრა ხელი ასე რატომ დამადეო. იმ ბიჭს არ ესიამოვნა და უთხრა, მეორეჯერ ხელი ასე აღარ დამადოო, მაგრამ ლ. შ. კვლავ შეეხო მხარზე. ქვემო ფონიჭალელმა ბიჭმა ლ. შ-ს სახეში ხელი დაარტყა, რაზეც მან ამოიღო დანა და ჯერ ამ ბიჭს დაარტყა და შემდეგ – მის მომდევნო ქვემო ფონიჭალელ ბიჭსაც, ლოყაზე. მონმის განმარტებით, ის ამ დროს მსჯავრდებულის გვერდით იდგა. ამის შემდეგ ჩხუბი დაიწყო, თავად ძირს ეგდო და ურტყამდნენ. ირგვლივ სიბნელე იყო, მაგრამ შუქი ურტყამდა და ჩანდა იქაურობა. როცა ქვემო ფონიჭალელმა ბიჭებმა გაიგეს, რომ მათთან დაჭრილები იყვნენ, უკან დაიხიეს და მ. ი-მ წამოდგომა მოახერხა, რა დროსაც ა. ბ-ს გვერდით აღმოჩნდა. მსჯავრდებული მათ წინ იდგა. ა. ბ-მ ხელი დაადო მხარზე ლ. შ-ს და უთხრა, წამო, გეყოო, მსჯავრდებული შემოტრიალდა და ისე, რომ სხვა რაიმე რეაქცია არ ჰქონია, ა. ბ-ს დანა დაარტყა გულის არეში. ა. ბ-მ მსჯავრდებულს უთხრა, რა ქენი, ბიჭო, დამჭერიო. მსჯავრდებულმა დანა სხულიდან ამოუღო ა. ბ-ს და ბოდიში მოუხადა. მონმის განმარტებით, ამის შემდეგ გაიგონა, როგორ თქვა ლ. შ-მ, დანა მაქვს, არ მომეკაროთო, მანამდე მსგავსი რამ არ გაუგონია.

6. მონმე ბ. ჭ-მ კონცერტზე მისვლის, შ. მ-სა და ლ. შ-ს შორის შელაპარაკების და შემთხვევის ადგილზე მისვლის გარემოებები ისე აღწერა, როგორც მონმე მ. ი-მ. ასევე განმარტა, რომ მონინა-აღმდეგე მხარის წარმომადგენლები მათზე დიდები იყვნენ. მას შემდეგ, რაც შ. მ-მ ლ. შ-ს დაარტყა, აღარაფერი დაუნახავს, რადგან ურტყამდნენ, რის შემდეგაც ძირს დანვა, თუმცა მის ცემას განაგრძობდნენ. მსჯავრდებულის მოქმედება არ დაუნახავს სიბნელის გამო, არც თავისი მეგობრების მოქმედება და არც ის, თუ კონკრეტულად მათგან რომელი იყო შემთხვევის ადგილას. როცა ჩხუბი დამთავრდა და იმ ადგილს მოშორდნენ, მხოლოდ მას შემდეგ დაინახა თავისი მეგობრები, ისინი, ვინც თავდაპირველად იყ-

ვინ მასთან ერთად. როცა თავი დაანებეს და ფეხზე წამოდგა, გაიგონა ა. ბ-მ როგორ თქვა, დაჭრილი ვარო, ამ დაძახილზე მიხვდა, რომ ისიც იქ ყოფილა. როცა მასთან მივიდა, დაინახა, რომ სისხლი სდიოდა. ლ. შ-მ და ნ. ბ-მ ხელში აიყვანეს ა. ბ. და წაიყვანეს.

7. მოწმე გ. მ-ს ჩვენებით დგინდება, რომ მან სალამოს გაუარა თავის მეგობარ ზ. მ-ს და ერთად წავიდნენ კონცერტზე. გზაში შეხვდნენ: ლ. შ., ა. ბ., ნ. ბ., ბ. ჭ., რ. მ. და მ. ი., კონცერტი არ მოეწონათ და გასეირნება გადაწყვიტეს. სანამ წავიდოდნენ, ა. ბ-მ უთხრა, ნახე, ჩვენები სადღაც მიდიანო და თავად მათკენ გაემართა. როცა ის და ზ. მ. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ჩხუბი უკვე დაწყებული იყო. ირგვლივ სიბნელე იყო, მას კი მხედველობის პრობლემა აქვს, შორს ხედვა უჭირს, მხოლოდ ლანდებს არჩევდა. ჩხუბში არ ჩართულა და ცოტა მოშორებით დადგა. ჩხუბი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მერე იქ მყოფთაგან ზოგიერთი წავიდა, რასაც მხოლოდ შავ ლანდებად ხედავდა. მერე მასთან მივიდნენ ზ. მ. და რ. მ-მ. ამის შემდეგ გაიგონა ა. ბ-ს ხმა, ბიჭებო, დავიჭერიო და მასთან მივიდნენ.

8. მოწმე ზ. მ-მ დაადასტურა გ. მ-ს მიერ აღწერილი გარემოებები. დამატებით განმარტა, რომ კონცერტზე ბოლოს დარჩნენ ის და გ. მ., რომ გაიხედა, ა. ბ-ც აღარ იდგა მათთან ერთად. მოშორებით ხედავდა, როგორ მიჰყავდათ მისთვის უცნობ, დიდ ბიჭებს ლ. შ. და უკან გაჰყვა. შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდეგ მოულოდნელად მოხვდა მუშტი. შემდეგ რ. მ. მივიდა მასთან, ხელი დაადო და უთხრა, რომ წასულიყვნენ და სწრაფი ნაბიჯებით გაბრუნდნენ უკან. მას შემთხვევის ადგილზე არაფერი დაუნახავს სიბნელის გამო.

9. მოწმე ნ. ბ-ს ჩვენებით დგინდება, რომ ის, რ. მ., ბ. ჭ., ა. ბ., მ. ი. და ლ. შ. იყვნენ ერთად. გადწყვიტეს წასულიყვნენ კონცერტზე. გზაში ზ. მ. და გ. მ. შეხვდათ. კონცერტი არ მოეწონათ და გადწყვიტეს სხვაგან წასულიყვნენ. მან გაიკეთა ყურსასმენი და მიდიოდა წინ. ამ დროს დაენია თავისი მეგობარი, დაადო ხელი და შემოაბრუნა, რა დროსაც დაინახა, რომ მის წინ ხალხის მასა მოძრაობდა. ის უკან გაჰყვა ამ მასას. როდესაც შემთხვევის ადგილზე მივიდა, დაინახა, რომ ბიჭები ერთმანეთზე „ინევდნენ“, იყო ჩოჩქოლი და გაიგონა ხმა, დაჭრილი ვარო, გაჰყვა ამ ხმას, რომელიც ა. ბ-ს ეკუთვნოდა. უშუალოდ ჩხუბში მას მონაწილეობა არ მიუღია. დაჭრილი ა. ბ.ი ხელში აიყვანა და შეეცადა იმ ადგილიდან გამოეყვანა. ა. ბ-მ უთხრა, რომ პატარა ნაკანრი ჰქონდა, ნუ ნერვიულობდა და სთხოვა ძირს დაესვა. მან დასვა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და აღმოაჩინა, რომ სისხლით იყო დასვრილი, მოტრიალდა და ნახა, რომ ა. ბ. მის ფეხებთან ეგდო, დაიწყო ყვირილი, რაზეც მისი ყველა მეგობარ-

რი მოცვივდა, მათ შორის ლ. შ-ც. მონმის განმარტებით, როცა დაჭრილი შემთხვევის ადგილიდან გამოიყვანა, სხვებიც მას გამოჰყვინენ და ჩხუბი შეჩერდა. ამის შემდეგ ა. ბ. ამოიყვანეს სტადიონთან და უცხო პირის მანქანით წაიყვანეს საავადმყოფოში.

10. მსჯავრდებულ ლ. შ-ს ჩვენებით დგინდება, რომ ის, ნ. ბ., რ. მ., ბ. ჭ., მ. ი. და ა. ბ. 2016 წლის 29 სექტემბერს, სალამოს, წავიდნენ კონცერტის საყურებლად, გზაში შეხვდათ ზ. მ. და გ. მ. კონცერტზე ყოფნისას შეამჩნია, რომ შ. მ. აგრესიულად უყურებდა. ლ. შ-მ მეგობრები დატოვა და მასთან მივიდა იმის გასარკვევად, ეცნობოდა თუ არა მას. შ. მ-მ გვერდზე გასვლა შესთავაზა, რაზეც მსჯავრდებული დათანხმდა. შ. მ-მ კისერზე მოხვია ხელი და ისე მიჰყავდა, რომ უკან მოხედვას და სხვების დანახვას ვეღარ ახერხებდა, თუმცა ფეხის ხმითა და შეძახილებით ხვდებოდა, რომ ხალხი ემატებოდათ. შემთხვევის ადგილზე რომ მივიდნენ, შ. მ-მ კედელთან დააყენა, იქ მყოფები წრეზე იყვნენ განლაგებულნი კედელთან და გარშემო რამდენიმე ადამიანი ედგა. მონინალმდევე მხარის წარმომადგენლები მასზე დიდები, მალლები და ტანადები იყვნენ. შ. მ-მ უთხრა, რამდენს ბლატაობ ბიჭო შენო, რაზეც მან უპასუხა, რომ მხოლოდ შეეკითხა, თუ საიდან ეცნობოდა, ამაზე შ. მ-მ ხელი დაარტყა სახის არეში, მას თვალთ დაუბნელდა, ამას მოჰყვა ნიხლებიც და თითზე იგრძნო წვა. მან ხელი წაიღო ჯიბისკენ, გახსნა დანა და დაიყვირა, დანა მაქვს, არ მომეკაროთო და დაიწყო დანის ქნევა. ხმით ხვდებოდა, რომ ჩხუბი ატყდა. ირგვლივ ისე ბნელოდა, რომ ვინმეს დანახვა შეუძლებელი იყო, გარდა სილუეტებისა. წინიდან გაიგონა ხმა, დაჭრილი ვარო, რაზეც უპასუხა, რომ ხომ მაინც დაგჭერიო. ჩხუბი დიდხანს არ გაგრძელებულა. დანა მოხვდა მის მეგობარ ა. ბ-ს და გაიგონა მისი ხმა, დაჭრილი ვარო. მსჯავრდებულის განმარტებით, ა. ბ-ს დაჭრისთანავე შეწყვიტა დანის ქნევა.

11. მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ნ. ჯ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული №... ექსპერტიზის დასკვნა და განმარტა, რომ პირადი შემონმებისას, 2017 წლის 7 მარტს, ო. ყ-ს სახეზე, მარჯვნივ, აღენიშნებოდა თვალბუდის ქვედა კიდის პროექციიდან ლოყაზე გარდამავალი, შედარებით სწორნაპირებიანი ნაწიბური, რომელიც წარმოადგენს ამავე მიდამოში არსებული ნაკვეთი ჭრილობის შეხორცების შემდგომ კვალს, განვითარებულია რაიმე მჭრელი თვისების მქონე საგნის მოქმედებით და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ ტრავმის მიღების თარიღს – 2016 წლის 29 სექტემბერს. პირადი გასინჯვისას ო. ყ-ს აღენიშნებოდა სახის მცირე ასიმეტრია და მიმიკის მოშლა. გამოვლინდა, სახის მარჯვენა ნერვის ნეიროპათია, ქვედა ტოტის დაზიანებით. ო. ყ-ს სახეზე, მარჯვნივ არსებული ნაწიბური წარუხოცვლია

და დროთა განმავლობაში თავისით არ გამოსწორდება.

12. ანალოგიური დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ქ. ბ-მ.

13. მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ზ. გ-მ დაადასტურა მის მიერ 2016 წლის 24 ოქტომბერს გაცემული №... დასკვნა, რომლის თანახმად, ა. ბ-ს სიკვდილის მიზეზია გულმკერდის მარცხენა ნახევრის, გულმკერდის ღრუში შემავალი ნაკვეთ-ნაჩვლეტი ჭრილობით დაზიანებული მარცხენა ლაინქვეშა არტერიიდან და ვენიდან და ასევე მარცხენა ფილტვიდან სისხლდენის შედეგად განვითარებული ზოგადი სისხლნაკლებობა. ზ. გ-მ განმარტა, რომ მის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით, ჭრილობის არხის მიმართულებას: ზემოდან ქვემოთ, წინიდან უკან, არხის სიგრძეა 6.5-8.5 სმ (ჭრილობის არხის სიგრძის უფრო ზუსტად აღება შეუძლებელია, ვინაიდან იგი შემავალია პლევრის ღრუში).

14. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების ნაწილი მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით სადავოდ არ მიიჩნიეს, რის გამოც ისინი პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო მტკიცებულებად გამოკვლევის გარეშე. კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი (29.09.2016), ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი (30.09.2016), ამოღების ოქმი (30.09.2016), დათვალიერების ოქმები (03.10.2016), სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის №... დასკვნა (18.10.2016), №... დასკვნა (18.10.2016), №... დასკვნა (02.12.2016), №... დასკვნა (07.12.2016), №... დასკვნა (10.03.2017), №... დასკვნა (31.03.2017).

15. №... სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ო. ყ-ს დიაგნოზია: ლოყის ღია ჭრილობა, პირის ღრუს ღია ჭრილობა, ჭრილობა არის ნაკვეთი ტიპის. დაზიანება განვითარებულია რაიმე მჭრელი თვისების მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს.

16. №... სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შ. მ-ს დიაგნოზია: გულმკერდის მარცხენა ნახევრის ნაკვეთ-ნაჩვლეტი ჭრილობა, არაშემავალი გულმკერდის ღრუში, ანტიტეტანური იმუნოზაცია. აღნიშნული დაზიანება განვითარებულია რაიმე მჩხვლეტა-მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს.

17. №... სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ტ. პ-ს

დიაგნოზია: ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ქლილობა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, არაშემავალი გულმკერდის ღრუში, ანტიტეტანური იმუნიზაცია. აღნიშნული დაზიანება განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა, ხანდაზმულობით არ ენიანალმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს.

18. საკასაციო პალატა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ იზიარებს დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნასა და სასამართლო სხდომაზე მითითებულ არგუმენტებს, ვინაიდან ისინი არ გამომდინარეობს წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, კერძოდ:

19. დაცვის მხარის პოზიციით, მსჯავრდებული ლ. შ. მოქმედება და აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მას არ გააჩნდა დაზარალებულების – ი. ყ-ს, ტ. პ-სა და შ. მ-ს მოკვლის განზრახვა, იგი მხოლოდ თავს იცავდა, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება შემდეგ გარემოებათა გამო:

20. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, რომ ხელყოფა არის მართლსაწინააღმდეგო, რაც იმავდროულად საფრთხეს უნდა უქმნიდეს სამართლით დაცულ სიკეთეს, ხელყოფა უნდა იყოს იმნუთიერი და თავდაცვა უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმას (ხელყოფას).

21. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომ ლ. შ. არ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ვინაიდან ყველა მოწმის ჩვენებით, მათ შორის თვითონ მსჯავრდებულ ლ. შ-ს ჩვენებითაც დადგენილია, რომ მონინაალმდეგე მხარეს მყოფ ახალგაზრდებს დანა, ან სხვა იარაღი, რომლითაც შესაძლოა, ლ. შ-ს სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე დამუქრებოდა, არ ჰქონდათ და მათ მის მიმართ არ ჩაუდენიათ ისეთი ფიზიკური ძალადობა, რომელიც მას ჩააყენებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ლ. შ-ს მეგობრის, მ. ი-ს ჩვენებით ირკვევა, რომ შ. მ-მ ლ. შ-ს სახეში ხელი დაარტყა, ლ-მ კი ამოიღო დანა და ჯერ ამ ბიჭს, ხოლო შემდეგ მის გვერდით მდგომ ქვემო ფონიჭალელ ბიჭს დაარტყა ლოყაში, რის შემდეგაც დაიწყო

ჩხუბი, თვითონ კი ძირს ეგდო და ურტყამდნენ.

22. მ. ი-ს ჩვენებით ასევე დადგენილია, რომ ლ. შ-მ მხოლოდ სახეში გარტყმის გამო ამოიღო დანა და დაჭრა შ. მ., ო. ყ. და ტ. პ., რაც თავისთავად გამორიცხავს მის აუცილებელ მოგერიებაში ყოფნის ფაქტს. თავის მხრივ, დაზარალებულმა შ. მ-მ საქმის არსებითი განხილვისას განმარტა, რომ მან დაინახა, ლ. შ. დანას იღებდა და სწორედ ამიტომ გაარტყა ხელი.

23. მონმეთა ჩვენებებით ასევე დადგენილია, რომ ლ. შ-ს და შ. მ-ს შორის სიტყვიერი დაპირისპირება გადაიზარდა ფიზიკურში, რაშიც ჩაერთვნენ მათი მომხრეებიც. ლ. შ-მ მონინაალმდევე მხარის წარმომადგენელთა განზრახ მოკვლის მიზნით ამოიღო დანა და ურტყამდა მათ.

24. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომ მოცემულ შემთხვევაში შ. მ-ს მხრიდან სახეში ხელის გარტყმა და დაცვის მხარის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე აპელირება, რომ მათ შორის მოხდა ჩხუბი, რა დროსაც დაზიანებები მიიღო ლ. შ-მაც, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლ. შ. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში იმყოფებოდა. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულის მიერ მხოლოდ ხელის გარტყმა და მსჯავრდებულის საპასუხო ქმედება – დანის დარტყმა, ერთი მხრივ, არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ძალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, რომელიც ლ. შ-ს ჩააყენებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ხოლო მეორე მხრივ, მსჯავრდებულის ქმედება არ არის დაზარალებულის ქმედების შესაბამისი და პროპორციული.

25. რაც შეეხება დაცვის მხარის კიდევ ერთ მოსაზრებას, რომ სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ როდის და რა მოტივით წარმოეშვა ლ. შ-ს მკვლელობის განზრახვა, მითუფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მას შელაპარაკება მოუხდა მხოლოდ დაზარალებულ შ. მ-სთან, ხოლო დაზარალებულებს – ო. ყ-ს და ტ. პ-ს იგი საერთოდ არ იცნობდა, არანაირი კონფლიქტი წარსულში მათთან არ ჰქონია და ამასთანავე, სამივე დაზარალებული დაბეჯითებით აცხადებს, რომ მსჯავრდებულს არ ჰქონდა მათი მოკვლის განზრახვა, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგს:

26. საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ

ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის განაჩენი, №527აპ-17).

27. საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ლ. შ-მ განიზრახა დაზარალებულების მკვლელობა და მისი ქმედება უშუალოდ მიმართული იყო სწორედ ამ დანაშაულის ჩასადენად, რაზეც მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

- ლ. შ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი – 3 პირის დაჭრა ცივი იარაღით და მათთვის მიყენებული სხეულის დაზიანებების სახე და ლოკალიზაცია – სიცოცხლისათვის საშიშრო მიდამოებში, სახელდობრ: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების თანახმად, შ. მ-ს აღენიშნება გულმკერდის მარცხენა ნახევრის ნაკვეთ-ნაჩვლეტი ჭრილობა, არაშემავალი გულმკერდის ღრუში, ო. ყ-ს – ლოყისა და პირის ღრუს ღია ჭრილობა, ტ. პ-ს – ნაკვეთ-ნაჩვლეტი ჭრილობა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, არაშემავალი გულმკერდის ღრუში.

- ასევე დადგენილია, რომ ლ. შ-მ შეგნებულად, სიცოცხლისათვის საშიშრო ადგილას, გულის არეში, დაზიანება მიაყენა საკუთარ მეგობარს – ა. ბ-ს, რომელიც შეცდომით ეგონა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი, რაც დამატებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლ. შ-ს ამოძრავებდა სწორედ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთა მოკვლის განზრახვა.

- მოკვლის განზრახვაზე ასევე მეტყველებს ტ. პ-ს ჩვენება, რომ მას ლ. შ., ხელში დანამომარჯვებული, გაეკიდა 5-10 მეტრის მანძილზე, რომ ვერ დაენია, მიაძახა – „ხომ მაინც დაგჭერიო“ და უკან მიბრუნდა.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მკვლელობის განზრახვა შესაძლებელია წარმოიშვას დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული იმწუთიერი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, უშუალოდ კონფლიქტის დროს და დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელი არ არის, რომ განზრახვა დროის ხანგრძლივი ინტერვალით უსწრებდეს წინ ქმედებას. მოცემულ შემთხვევაში პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მკვლელობის განზრახვა ლ. შ-ს წარმოეშვა ურთიერთშელაპარაკების დროს და მის ნიადაგზე, შუარისძიების მოტივით. ხოლო ის ფაქტი, ჰქონდა თუ არა ლ. შ-ს დაზარალებულების მოკვლის განზრახვა, არ არის დამოკიდებული დაზარალებულთა აღქმაზე, ეს წარმოადგენს სასამართლოს შეფასე-

ბის საგანს. მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულების – ტ. პ-ს და ო. ყ-ს ჩვენებებზე. ტ. პ. განმარტავს: რომ არ განეულიყო, ლ. შ. მეორედ დაარტყამდა და-ნას და მოკლავდა, ხოლო ო. ყ.: ვინაიდან მისი ქრილობის მიმართუ-ლება იყო ზემოდან ქვემოთ, ეს არ იყო შემთხვევითი დაჭრა.

29. გარდა ამისა, დაცვის მხარე აპელირებს კიდევ რამდენიმე გარემოებაზე, კერძოდ: ლ. შ. შ. მ-მ იძულებით გაიყვანა მოფარე-ბულ ადგილას, სადაც მას, ისევე როგორც მის ყველა მეგობარს, უმონყალოდ სცემეს, ხოლო მონმე მ. ი. არის დაინტერესებული პი-რი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმის მასალებით დადგენილად და უდავოდ მიაჩნია, რომ მსჯავრდებულს ხელი პირველად შ. მ-მ დაარტყა, რის შემდეგაც მხარეებს შორის დაიწყო ჩხუბი, თუმცა კონფლიქტის ინიციატო-რი, მათი თავდაპირველი შეხების მომენტიდან და შემდეგ მოფა-რებულ ადგილას გასვლის დროის ჩათვლით, არის სწორედ ლ. შ. დაზარალებულები – ტ. პ. და შ. მ. თავიანთ ჩვენებებში, ისევე რო-გორც მონმეები – ბ. ჭ. და მ. ი. განმარტავენ, რომ ლ. შ. მივიდა მ-სთან სასაუბროდ, რასაც მსჯავრდებულებიც ადასტურებს. ხოლო მონმეები – ბ. ჭ. და მ. ი. უთითებენ, რომ როდესაც ისინი მოფარე-ბულ ადგილას გავიდნენ, ლ-მ ხელი დაადო შ-ს და ჰკითხა, თუ რა-ტომ დაადო მან ასე ხელი თავდაპირველი საუბრისას. შ. მ-მ გააფ-რთხილა, რომ ხელი აღარ დაედო მისთვის, თუმცა იგი არ დაემორ-ჩილა, კვლავ დაადო ხელი, რასაც მოჰყვა ფიზიკური დაპირისპირე-ბა. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მო-საზრებას, რომ მონმე მ. ი. არის დაინტერესებული პირი, ვინაიდან მისი ჩვენება სრულად შეესაბამება როგორც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ისე მონმეთა ჩვენებებს, ამასთან, იგი არის მსჯავ-რდებულ ლ. შ-ს მეგობარი და გაუგებარია, რა დაინტერესება უნდა გააჩნდეს მის მიმართ.

30. რაც შეეხება ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთ-ხოვნას, ლ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწი-ლის „ბ“ ქვეპუნქტით (დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არას-რულწლოვნის მიმართ) დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით, სა-კასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიუთითებს, რომ საქმეში არ მოაპოვება სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლი-ობა დასკვნისათვის, რომ მან იცოდა შ. მ-ს და ო. ყ-ს ასაკი, რომლე-ბიც დანაშაულის ჩადენის დროს იყვნენ, შესაბამისად – 17 და 16 წლისები. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ო. ყ. იყო 16 წლის და მას საკმაო პერიოდი ამორებდა სრულწლოვანებას, არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას და არც სხვა რაიმე გარემოება დადგენილა, რო-მელიც მიუთითებდა იმაზე, რომ ქმედების ჩადენისას ლ. შ-მ და-

ნამდვილებით იცოდა ან შეიძლება სცოდნოდა დაზარალებულე-ბის ასაკი.

31. მსჯავრდებულ ლ. შ-სათვის შეფარდებულ სასჯელთან მი-მართებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: სააპელაციო სასამართლომ სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ასევე შეაფასა და დაადგინა ბავ-შვის საუკეთესო ინტერესი, მართებულად იხელმძღვანელა რო-გორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგე-ნილი, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად და ინდივიდუალური შეფასების ანგა-რიშით, მხედველობაში მიიღო: ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ არასრულ-წლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ნებისმი-ერი გადაწყვეტილება მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის ჭეშმარი-ტი და საუკეთესო ინტერესის დაცვას. ამავე კონვენციის 32-ე მუხ-ლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთ-ხოვნები, რომელთა თანახმად, სახელმწიფოს აკისრია ვალდებუ-ლება, სასჯელის შესაბამისი სახის გათვალისწინებისას მხედვე-ლობაში მიიღოს ბავშვის ჯანმრთელობა, განათლება, ეკონომიკუ-რი ექსპლუატაცია, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების ფაქტორები; გაერთიანებული ერე-ბის ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები, არასრულ-წლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკი-ნური წესები“) მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ზემოქმედების ზომის შერჩევასა და ზემოქმედების ზომები უნდა იყოს თანაზომა-დი არა მარტო ჩადენილი ქმედების გარემოებებთან, არამედ არას-რულწლოვნის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან; არასრულ-წლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ისეთი სა-ხის ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორებიც არის: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პი-რობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვი-თარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხა-სიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭი-როებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ზემოაღნიშნუ-ლი ინდივიდუალური მახასიათებლების დადგენა, 27-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის თანახმად, შესაძლებელია ინდივიდუალური შეფა-სების ანგარიშის საფუძველზე, რომლის მომზადება ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სავალდებულოა სას-ჯელის განსაზღვრის დროს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვა-

ლისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. შ-სათვის შეფარდებული სასჯელი სამართლიანია და სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის პროკურორ იმედა გუგუშვილისა და მსჯავრდებულ ლ. შ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულ ლ. შ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტიმატური ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია

განაჩენი საქართველოს სახელით

№355აპ-18

13 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ მინდია დავითაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, რ. გ-ს, ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან; ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტიმატურ ცემაში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი; ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტიმატურ შეურაცხყოფაში და დამცირებაში, რამაც ამ უკანასკნელის ტანჯვა გამოიწვია, კერძოდ:

2013 წელს რ. გ-ი რუსეთის ფედერაციიდან დაბრუნდა საქართველოში, რის შემდეგაც ცხოვრობდა დედასთან – მ. დ-თან ერთად, ქ. თ-ი, გ-ის ქუჩა, კორპუსი №..., ბინა №... . თანაცხოვრების პერიოდში, დაახლოებით 2017 წლის მარტიდან – 2017 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით, მას შემდეგ, რაც რ. გ-მა დაიწყო ალკოჰოლური სასმლის ხშირად მიღება, დედის მიმართ გახდა აგრესიული. სხვადასხვა მიზეზით, ხშირ შემთხვევაში კი საყოფაცხოვრებო საკით-

ხებზე წარმოშობილი უთანხმოების ნიადაგზე, დედაზე – მ. დ-ზე ძალადობდა – სისტემატურად სცემდა მას, კერძოდ, ხელებისა და ფეხების გამოყენებით სხეულის სხვადასხვა ადგილას დარტყმებით აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, რა დროსაც დაზარალებული იღებდა სხვადასხვა სახის დაზიანებას, ჩალურჯებებისა და სისხლნაჟღენთების სახით. რ. გ-ი მ. დ-ს მუდმივად ამყოფებდა სტრესისა და შიშის მდგომარეობაში, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდიდა ფიზიკურ ტკივილსა და ფსიქიკურ ტანჯვას.

თანაცხოვრების პერიოდში, დაახლოებით 2017 წლის მარტიდან – 2017 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით, სხვადასხვა მიზეზით, ხშირ შემთხვევაში კი საყოფაცხოვრებო საკითხებზე წარმოშობილი უთანხმოების ნიადაგზე, დედას – მ. დ-ს ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად სისტემატურად ამცირებდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, კერძოდ, უნმანური სიტყვებით აგინებდა და ლანძღავდა მას, რითაც დაზარალებული მუდმივად იმყოფებოდა სტრესისა და შიშის მდგომარეობაში და განიცდიდა ტანჯვას.

2017 წლის 4 ოქტომბერს, სალამოს საათებში, რ. გ-ი დედასთან – მ. დ-თან ერთად იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც საყოფაცხოვრებო საკითხებზე წარმოშობილი უთანხმოების ნიადაგზე, იძალადა დედაზე, კერძოდ, ხელებისა და ფეხების სახისა და სხეულის სხვადასხვა ადგილას მრავალჯერადი დარტყმებით მიაყენა მრავლობითი დაზიანებები, მათ შორის ზედა ყბის ძვლისა და მარჯვენა იდაყვის ძვლის მოტეხილობები, რითაც დაზარალებულ მ. დ-ს მიადგა ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის განაჩენით რ. გ-ს წარდგენილი ბრალდება დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით, როგორც ზედმეტად წარდგენილი, ამოერიცხა.

რ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით.

რ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2017 წლის 4 ოქტომბრიდან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. გ-მა ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან და ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – პროკურორი მინდია დავითაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანას და რ. გ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (მსჯავრდებულ რ. გ-ის აღიარებითი ჩვენება, დაზარალებულ მ. დ-სა და მოწმეების: ვ. ჭ-ის, თ. ნ-ის, ლ. ზ-ის, ნ. ლ-ის, ბ. წ-ის, მ. ტ-ის დაკითხვის ოქმები, მ. დ-ის სხეულის დათვალეიერების ოქმი, ბრალდებულ რ. გ-ის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნა და სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნა (უდავო მტკიცებულებები), რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ რ. გ-მა ნამდვილად ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან; ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი; ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სის-

ტიმატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც ამ უკანასკნელის ტანჯვა გამოიწვია.

3. მოცემულ შემთხვევაში პროკურორი განაჩენს ასაჩივრებს სასამართლოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ნაწილში და აღნიშნავს, რომ რ. გ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია ოჯახის წევრის მიმართ სისტემატური ცემისა და შეურაცხყოფის შემთხვევები, გამოკვეთილია დანაშაულთა ერთობლიობა და, შესაბამისად, სისტემატური შეურაცხყოფის ნაწილში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო სისტემატური ცემის ნაწილში – საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით (სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა), რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება შემდეგ გარემოებათა გამო:

4. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2012 წლის 12 ივნისის საქართველოს კანონის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მე-11¹ მუხლი (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) და 126¹-ე მუხლი (ოჯახში ძალადობა). კანონის პროექტზე თანდართულ განმარტებითი ბარათის მიხედვით კანონპროექტის მიზანი ეხმიანება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მიზანს – დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნული სულისკვეთებიდან გამომდინარე, ოჯახური დანაშაულის ცალკე ნორმებად არსებობის მიზანიც ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად კვალიფიკაცია და ადეკვატური სანქციის დაწესებაა.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლით დასჯადია ოჯახში ძალადობა, ე.ი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მსუბუქი, ნაკლებად მძიმე ან მძიმე ხარისხის დაზიანება. ამ შემთხვევაში ტერმინი „სისტემატურობა“ მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობის (შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება) მახასიათებელია და კანონი არ უნდა იქნეს იმგვარად განმარტებული, რომ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძალადობა მოიცავს როგორც ერთჯერადად განხორციელებულ ძალადობას, ისე სისტემატურ ძალადობასაც.

6. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-

11¹ მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹-ე, 133²-ე, 137-141-ე, 143-ე, 144-144³-ე, 149-151¹-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-255¹-ე, 381¹-ე და 381²-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამდენად, ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება არა მხოლოდ სსკ-ის 126¹ მუხლით, არამედ მე-11¹ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, მე-11¹ მუხლზე მითითებით. შესაბამისად, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სასამართლოობის მსჯელობას, რომლის თანახმად, რ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, როგორც ზედმეტად წარდგენილი, ამოერიცხა ბრალდებიდან, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ რ. გ-ი 2017 წლის მარტიდან – 2017 წლის 8 სექტემბრამდე პერიოდში სისტემატურად სცემდა დედას (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგებლობა) და მისი ქმედება ამ ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 12 ნაწილით.

7. საკითხის შეფასებისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თავისი ხასიათისა და საშიშროების (საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან განხვავებით, სსკ-ის 126-ე მუხლის 1²-ე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება დასჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ სისტემატურმა ცემამ ან ძალადობამ გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება) გათვალისწინებით, უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ძალადობა არ მოიცავს სისტემატურ ძალადობასაც.

8. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და რ. გ-ის ქმედება სისტემატური ცემის ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით, რაც შეეხება სასჯელს, პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სსკ-ის 53-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნებს, კერძოდ, მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, მის წარსულ ცხოვრებას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და მიაჩნია, რომ რ. გ-ს საქართველოს სსკ-ის

11¹,126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სამართლიანია და სრულად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ მინდია დავითაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. რ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 11¹,126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

საქართველოს სსკ-ის 11¹,118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით;

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელები და რ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით.

5. მსჯავრდებულ რ. გ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2017 წლის 4 ოქტომბრიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

ბანაჩანი

საქართველოს სახელმწიფო

№58აპ-18

31 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, ანტიკორუფციულ სააგენტოსა და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორის – გიორგი კავსაძის, მსჯავრდებულ კ. თ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ს, მსჯავრდებულ პ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ო-ს, მსჯავრდებულების – გ. ბ-ს, გ. ჭ-ს, ი. ა-ს, დ. ჩ-სა და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. გ-სა და მ. ვ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად:

რ. შ-ს ბრალი დაედო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქართა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ჯგუფურად, ჩადენილი დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; ასევე თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქართ, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; წამებაში, ე.ი. პირისთვის ისეთი პირობების შექმნაში, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზი-

კურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, მოხელის მიერ, თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი).

ი. ა-ს ბრალი დაედო თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც დაზარალებულისთვის სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი).

გ. ჭ-ს ბრალი დაედო თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც დაზარალებულისთვის სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში საქართველოს შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ქ-მ, დროის სხვადასხვა პერიოდში მოქმედების მიზნით, მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების – კ. კ-სა და დ. ჩ-ს, ასევე შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს კუდ-ის უფროსის – რ. შ-ს, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის – კ. თ-სა და გამოძიების ამ ეტაპზე დაუდგენელი სხვა პირებისაგან შექმნა სტრუქტურული ფორმის მქონე მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის უმთავრესი მიზანი იყო კანონიერი მართლმსაჯულების გვერდის ავლით, პირადი მოსაზრებით, დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჯგუფურად წამებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების გზით დაშინება და სასურველი ჩვენების მიღება.

ჯგუფს ხელმძღვანელობდა უშუალოდ მ. ქ., რომელიც ორგანიზებას უწევდა დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობას და წევრებს შორის ანაწილებდა როლებს.

დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, მ. ქ-მ და ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, 2011 წლის დასაწყისიდან, ზ-ს რაიონის დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით მდებარე ტყის მასივში, საქართველოს შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს სამხარეო შს მთავარი სამმართველოს მუშაკთა ძალისხმევით უზრუნველყვეს ფიცრული კოტეჯებისა და მიწურების აშენება და შენიღბვა.

2011 წლის 2 აგვისტოს, წ-ს რაიონის სოფელ მ-ში მცხოვრებ ზ. ა-ს, სოფელ ო-ში ფეხით გადაადგილებისას, დაახლოებით ათმა დაუდგენელმა ნიღბიანმა და შეიარაღებულმა პირმა, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით უკანონოდ აღუკ-

ვეთა თავისუფლება, ნაჭრით აუხვიეს თვალები და მანქანით მიიყვანეს ზ-ს რაიონის სოფელ გ-სთან, ტყეში მოწყობილ კონსპირაციულ მინურში, სადაც მ. ქ-მ, კ. თ-მ, რ. შ-მ, კ. კ-მ და დ. ჩ-მ, ზ. ა-ს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, შეუკრეს ხელფეხი და თვალებახვეული დაანვინეს იატაკზე. ნამების გზით საჭირო ჩვენების მისაღებად, ჯგუფურად, დაუწყეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, მათ შორის, მ. ქ-მ „ელექტროშოკის“ საშუალებით და მოითხოვდნენ ელიარებინა დანაშაული. მას შემდეგ რაც კვლავ ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება, გააშიშვლეს და ძალადობის გამოყენებით, კ. კ-მ უკანა ტანში შეუყვანა პოლიეთილენის ბოთლი, რაშიც ეხმარებოდა კ. თ. დ. ჩ. სცემდა ხის ფიცრით და მოითხოვდნენ ელიარებინა დანაშაული. დ. ჩ-მ უკანონოდ თავისუფლებადკვეთილ ზ. ა-ს სადარაჯოდ დაიბარა შს სამინისტროს ს.-ზ. ს-ის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკები – მ. ხ., ხოლო მისი საშუალებით – გ. ბ., გ. შ., გ. ჭ, ი. ა., რომელთაც ადგილზე მისვლის შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელებმა დაავალეს ედარაჯათ მინურში დამწყვედელი პირისათვის და არ მიეცათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება. მ. ხ., გ. ჭ, გ. შ., ი. ა. სამი დღის განმავლობაში, მონაცვლეობით ზ. ა-ს ჯგუფურად დარაჯობდნენ და არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას.

მეორე დღეს, ზემომითითებულ ადგილზე კვლავ მივიდნენ ორგანიზებული ჯგუფის წევრები – მ. ქ., კ. კ. და დ. ჩ., რომლებიც უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი ზ. ა-საგან მოითხოვდნენ აფხაზ თ. ა-სთან დანაშაულებრივი კავშირების და მასთან ერთად ტერორისტული განზრახვით აფეთქების მოწყობის აღიარებას, რაც ზ. ა-მ უარყო. ამით განანწყენებულმა მ. ქ-მ, კ. კ-მ, დ. ჩ-მ ჯგუფურად, ნამების გზით, საჭირო ჩვენების მისაღებად კვლავ დაემუქრნენ, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, მათ შორის ელექტროშოკის საშუალებით, დაემუქრნენ გაუპატიურებით, რამაც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით, ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა გამოიწვია. ნამების გამო ზ. ა-მ ნაწილობრივ დაიბრალა მოძალადეების მიერ მითითებული დანაშაულებრივ ქმედებასთან კავშირი, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

მესამე დღეს, ზ. ა-სათვის უფრო მეტი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტკივილის მიყენების მიზნით, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების ჩასადენად, მ. ქ-მ, კ. კ-მ და დ. ჩ-მ იგი გადაიყვანეს სოფ. ო-სთან მდებარე ე.წ. კონსპირაციულ კოტეჯში. მ. ქ-მ, დ. ჩ-მ და კ. კ-მ ძალადობის გამოყენებით, ნებოვანი ლენტით, ე.წ. „სკოჩით“, დააბეს კოტეჯის გარეთ არსებულ მაგიდაზე, შეუზ-

ლუდეს მოძრაობის საშუალება და გააშიშვლეს. მ. ქ-ს დავალებით დ. ჩ-მ მანქანით მოიყვანა თ. უ., რის შემდეგაც ამ უკანასკნელს მისცეს საშუალება განსაკუთრებული სისასტიკით ზ. ა-სთან არაერთხელ დაემყარებინა სქესობრივი კონტაქტი უკანა ტანში, სწორი ნაწლავის საშუალებით, რაც გადაიღეს ვიდეოკამერით.

პ. ქ-ს ბრალი დაედო თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც დაზარალებულისთვის სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში საქართველოს შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ქ-მ, დროის სხვადასხვა პერიოდში მოქმედების მიზნით, მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების – კ. კ-სა და დ. ჩ-ს, ასევე – შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს კუდ-ის უფროსის – რ. შ-ს, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსის – კ. თ-სა და გამოძიების ამ ეტაპზე დაუდგენელი სხვა პირებისაგან შექმნა სტრუქტურულად ფორმირებული, მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის უმთავრესი მიზანი იყო კანონიერი მართლმსაჯულების გვერდის ავლით, პირადი მოსაზრებით, დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჯგუფურად წამებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების გზით დაშინება და სასურველი ჩვენების მიღება.

ჯგუფს ხელმძღვანელობდა უშუალოდ მ. ქ., რომელიც ორგანიზებას უწევდა დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობას და წევრებს შორის ანაწილებდა როლებს.

დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, მ. ქ-მ და ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, 2011 წლის დასაწყისიდან, ზ-ს რაიონის დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით მდებარე ტყის მასივში, საქართველოს შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს სამხარეო შს მთავარი სამმართველოს მუშაკთა ძალისხმევით უზრუნველყვეს ფიცრული კოტეჯებისა და მიწურების აშენება და შენიღბვა.

2011 წლის 28 მაისს, გვიან ღამით, მ. ქ-ს დავალებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის დაუდგენელმა სამმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა წევრმა, გ-ს რაიონის სოფელ „ბ-ში“ მცხოვრებ დ. ძ-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, შეუკრეს ხელები და დაუხშეს პირის ღრუ, რის შემდეგაც გადმოიყვანეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და 29 მაისს, გამთენიისას, მიიყვანეს ზ-ს რაიონის სოფელ გ-სთან წინასწარ მოწყობილ კონსპირაციულ მიწურში. დ. ძ-ს მიყვა-

ნიდან მცირე ხანში მასთან ასევე მივიდნენ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი მ. ქ. ამავე ჯგუფის წევრები – კ. თ., დ. ჩ. და კ. კ., რომლებმაც თავისუფლება აღკვეთილი დ. ძ-ს სადარაჯოდ დაიბარეს და კონსპირაციულ მინურში მიიყვანეს შსს ს.-ზ. ს-ის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს მუშაკები – მ. ხ., გ. ბ., პ. ქ., რომლებსაც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაავალეს, ედარაჯათ მინურში მოთავსებული დაკავებულისთვის და მისთვის არ მიეცათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება. მ. ხ., გ. ბ., პ. ქ. მითითების შესრულებას დათანხმდნენ და ორი დღის მანძილზე, მონაცვლეობით, დ. ძ-ს ჯგუფურად დარაჯობდნენ და არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას.

კონსპირაციულ მინურში, უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილ დ. ძ-საგან ორგანიზებული ჯგუფის წევრები მ. ქ., კ. თ., დ. ჩ. და კ. კ. მოითხოვდნენ ელიარებინა ტერორისტული აქტების ჩადენაში მონაწილეობა, რასაც დ. ძ. უარყოფდა. ამით განაწყენებულმა მ. ქ-მ, კ. თ-მ, დ. ჩ-მ და კ. კ-მ ჯგუფურად, წამების გზით საჭირო ჩვენების მისაღებად, დ. ძ-ს დაუწყეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, კერძოდ, კ. თ. პისტოლეტის ტარს ურტყავდა ტანის არეში, აფურთხებდა და ემუქრებოდა მოკვლით. დ. ჩ. ხელკეტით სცემდა, მ. ქ. ელექტროშოკით ანამებდა და ურტყამდა ფეხებს, ხოლო კ. კ. პლასტმასის ბოთლი ადებდა უკანა ტანში და ემუქრებოდა გაუპატიურებით, რამაც დაზარალებულის ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც კვლავ ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება და ინფორმაცია დ. ძ-სათვის უფრო მეტი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტკივილის მიყენების მიზნით, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების ჩასადენად, ორგანიზებული ჯგუფის წევრების – მ. ქ-ს, კ. თ-სა და კ. კ-ს დავალებით, დ. ჩ-მ მინურში მოიყვანა ქ. ზ-ში, ჩ-ს ქ. ...-ში მცხოვრები თ. უ, რომელსაც დაავალეს თავისუფლება აღკვეთილი დ. ძ-ს გაუპატიურება, რის შემდეგაც მ. ქ-მ, კ. თ-მ და დ. ჩ-მ იგი გააშიშვლეს, მოძრაობის საშუალების შეზღუდვის მიზნით, დააბეს მინურში მდგარ მაგიდაზე და თ. უ-ს მისცეს საშუალება, განსაკუთრებული სისასტიკით, დ. ძ-სათვის უკანა ტანში, სწორი ნაწლავიდან და პირის ღრუში გაუკუღმართებული ფორმით დაემყარებინა სქესობრივი კონტაქტი. ყოველივე ამას კი, კ. კ. და დ. ჩ., მონაცვლეობით, იღებდნენ ვიდეოკამერით.

გ. ბ-ს ბრალი დაედო თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც დაზარალებულისთვის სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია (ორი ეპიზოდი).

თ. უ-ს ბრალი დაედო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართე-

ბული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქართა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ჯგუფურად, ჩადენილი დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით (ორი ეპიზოდი).

მ. ქ-ს ბრალი დაედო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქართა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ჯგუფურად, ჩადენილი დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; ასევე – თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქართ, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; წამებაში, ე.ი. პირისთვის ისეთი პირობების შექმნაში, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით ინვესტს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, მოხელის მიერ, თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (ორი ეპიზოდი).

კ. კ-ს ბრალი დაედო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქართა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ჯგუფურად – დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; ასევე თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქართ, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; წამებაში, ე.ი. პირისთვის ისეთი პირობების შექმნაში, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით ინვესტს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, მოხელის მიერ, თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ორგანიზებული ჯგუფის მიერ (ორი ეპიზოდი).

დ. ჩ-ს ბრალი დაედო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქართა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ჯგუფურად, დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; ასევე – თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, სიცოცხლისათვის და ჯანმრთე-

ლობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; წამებაში, ე.ი. პირისთვის ისეთი პირობების შექმნაში, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, მოხელის მიერ, თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ორგანიზებული ჯგუფის მიერ (ორი ეპიზოდი).

კ. თ-ს ბრალი დაედო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარითა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ჯგუფურად, ჩადენილი დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; ასევე – თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; წამებაში, ე.ი. პირისთვის ისეთი პირობების შექმნაში, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, მოხელის მიერ, თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ორგანიზებული ჯგუფის მიერ (ორი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში საქართველოს შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ქ-მ, დროის სხვადასხვა პერიოდში მოქმედების მიზნით, მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების – კ. კ-სა და დ. ჩ-ს, ასევე – შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს კუდ-ის უფროსის – რ. შ-ს, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსის – კ. თ-სა და გამოძიების ამ ეტაპზე დაუდგენელი სხვა პირებისაგან შექმნა სტრუქტურულად ფორმირებული, მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის უმთავრესი მიზანი იყო კანონიერი მართლმსაჯულების გვერდის ავლით, პირადი მოსაზრებით, დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჯგუფურად წამებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების გზით დაშინება და სასურველი ჩვენების მიღება.

ჯგუფს ხელმძღვანელობდა უშუალოდ მ. ქ., რომელიც ორგანიზებას უწევდა დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობას და წევრებს შორის ანაწილებდა როლებს.

დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, მ. ქ-მ და ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, 2011 წლის დასაწყისიდან, ზ-ს რაიონის დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით მდებარე ტყის მასივში, საქართველოს შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს სამხარეო შს მთავარი სამმართველოს მუშაკთა ძალისხმევით, უზრუნველყვეს ფიცრული კოტეჯებისა და მიწურების აშენება და შენიღბვა.

2011 წლის 28 მაისს, გვიან ღამით, მ. ქ-ს დავალებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის დაუდგენელმა სამმა შეიარაღებულმა, ნილბიანმა წევრმა, გ-ს რაიონის სოფელ ბ-ში მცხოვრებ დ. ძ-ს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, შეუკრეს ხელები და დაუხშეს პირის ღრუ, რის შემდეგაც გადმოიყვანეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და 29 მაისს, გამთენიისას, მიიყვანეს ზ-ს რაიონის სოფელ გ-სთან წინასწარ მოწყობილ კონსპირაციულ მიწურში. დ. ძ-ს მიყვანიდან მცირე ხანში მასთან ასევე მივიდნენ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი მ. ქ., ამავე ჯგუფის წევრები: კ. თ., დ. რ. და კ. კ., რომლებმაც თავისუფლება აღკვეთილი დ. ძ-ს სადარაჯოდ დაიბარეს და კონსპირაციულ მიწურში მიიყვანეს შსს ს.-ზ. ს-ს სამხარეო შს მთავარი სამმართველოს მუშაკები – მ. ხ., გ. ბ., პ. ქ., რომლებსაც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაავალეს, ედარაჯათ მიწურში მოთავსებული დაკავებულისთვის და მისთვის არ მიეცათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება. მ. ხ., გ. ბ., პ. ქ-ს მითითების შესრულებას დათანხმდნენ და ორი დღის მანძილზე, მონაცვლეობით, დ. ძ-ს ჯგუფურად დარაჯობდნენ და არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას.

კონსპირაციულ მიწურში, უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილ დ. ძ-საგან ორგანიზებული ჯგუფის წევრები – მ. ქ., კ. თ., დ. რ. და კ. კ. მოითხოვდნენ, ელიარებინა ტერორისტული აქტების ჩადენაში მონაწილეობა, რასაც დ. ძ. უარყოფდა. ამით განაწყენებულმა მ. ქ-მ, კ. თ-მ, დ. რ-მ და კ. კ-მ ჯგუფურად, წამების გზით საჭირო ჩვენების მისაღებად, დ. ძ-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, კერძოდ, კ. თ. პისტოლეტის ტარს ურტყამდა ტანის არეში, აფურთხებდა და ემუქრებოდა მოკვლით. დ. რ. ხელკეტით სცემდა, მ. ქ. ელექტროშოკით აწამებდა და ურტყამდა ფეხებს, ხოლო კ. კ. პლასტმასის ბოთლს ადებდა უკანა ტანში და ემუქრებოდა გაუპატიურებით, რამაც დაზარალებულის ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც ცვლავ ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება და

ინფორმაცია, დ. ძ-სათვის უფრო მეტი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტკივილის მიყენების მიზნით, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების ჩასადენად, ორგანიზებული ჯგუფის წევრების – მ. ქ-ს, კ. თ-სა და კ. კ-ს დავალებით, დ. ჩ-მ მინურში მოიყვანა ქ. ზ-ში, ჩ-ს ქ. ...-ში მცხოვრები თ. უ., რომელსაც დაავალეს თავისუფლებაღკვეთილი დ. ძ-ს გაუპატიურება, რის შემდეგაც მ. ქ-მ, კ. თ-მ და დ. ჩ-მ იგი გააშიშვლეს, მოძრაობის საშუალების შეზღუდვის მიზნით, დააბეს მინურში მდგარ მაგიდაზე და თ. უ-ს მისცეს საშუალება, განსაკუთრებული სისასტიკით, დ. ძ-სათვის უკანა ტანში, სწორი ნაწლავიდან და პირის ღრუში გაუკუღმართებული ფორმით დაემყარებინა სქესობრივი კონტაქტი. ყოველივე ამას კი, კ. კ. და დ. ჩ. მონაცვლეობით იღებდნენ ვიდეოკამერით.

2011 წლის 2 აგვისტოს ნ-ს რაიონის სოფელ მ-ში მცხოვრებ ზ. ა-ს, სოფელ ო-ში ფეხით გადაადგილებისას, დაახლოებით ათმა დაუდგენელმა ნიღბიანმა და შეიარაღებულმა პირმა სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ნაჭრით აუხვიეს თვალები და მანქანით მოიყვანეს ზ.-ს რაიონის სოფელ გ-სთან, ტყეში მოწყობილ კონსპირაციულ მინურში, სადაც მ. ქ-მ, კ. თ-მ, რ. შ-მ, კ. კ-მ და დ. ჩ-მ, ზ. ა-ს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, შეუკრეს ხელფეხი და თვალებახვეული დაანვინეს იატაკზე. წამების გზით საჭირო ჩვენების მისაღებად, ჯგუფურად, დაუნყეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, მათ შორის, მ. ქ-მ ელექტროშოკის საშუალებით და მოითხოვდნენ, ეღიარებინა დანაშაული. მას შემდეგ, რაც კვლავ ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება, გააშიშვლეს და ძალადობის გამოყენებით, კ. კ-მ უკანა ტანში შეუყვანა პოლიეთილენის ბოთლი, რაშიც ენმარებოდა კ. თ. დ. ჩ. სცემდა ხის ფიცრით და მოითხოვდნენ, ეღიარებინა დანაშაული. დ. ჩ-მ უკანონოდ თავისუფლებაღკვეთილ ზ. ა-ს სადარაჯოდ დაიბარა შს სამინისტროს ს. ზ. ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკები – მ. ხ., ხოლო მისი საშუალებით – გ. ბ., გ. შ., გ. ჭ., ი. ა., რომელთაც ადგილზე მისვლის შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელებმა დაავალეს, ედარაჯათ მინურში დამწყვედი პირისათვის და არ მიეცათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება. მ. ხ., გ. ჭ., გ. შ., ი. ა. სამი დღის განმავლობაში, მონაცვლეობით ზ. ა-ს ჯგუფურად დარაჯობდნენ და არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას.

მეორე დღეს, ზემოთ მითითებულ ადგილზე კვლავ მივიდნენ ორგანიზებული ჯგუფის წევრები: მ. ქ., კ. კ. და დ. ჩ., რომლებიც უკანონოდ თავისუფლებაღკვეთილი ზ. ა-საგან მოითხოვდნენ აფხაზ თ. ა-სთან დანაშაულებრივი კავშირებისა და მასთან ერთად

ტერორისტული განზრახვით, აფეთქების მოწყობის აღიარებას, რაც ზ. ა-მ უარყო. ამით განაწყენებულმა მ. ქ-მ, კ. კ-მ, დ. რ-მ ჯგუფურად, ნამების გზით საჭირო ჩვენების მისაღებად კვლავ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, მათ შორის ელექტროშოკით დაემუქრნენ გაუპატიურებით, რამაც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით, ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა გამოიწვია. ნამების გამო ზ. ა-მ ნაწილობრივ დაიბრალა მოძალადეების მიერ მითითებული დანაშაულებრივ ქმედებასთან კავშირი, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

მესამე დღეს, ზ. ა-სთვის უფრო მეტი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტკივილის მიყენების მიზნით, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების ჩასადენად, მ. ქ-მ, კ. კ-მ და დ. რ-მ იგი გადაიყვანეს სოფ. ო-სთან მდებარე ე.წ. კონსპირაციულ კოტეჯში. მ. ქ-მ, დ. რ-მ და კ. კ-მ, ძალადობის გამოყენებით, ნებოვანი ლენტით, ე.წ. „სკორით“, დააბეს კოტეჯის გარეთ არსებულ მაგიდაზე, შეუზღუდეს მოძრაობის საშუალება და გააშიშვლეს. მ. ქ-ს დავალებით დ. რ-მ მანქანით მოიყვანა თ. უ., რის შემდეგაც ამ უკანასკნელს მისცეს საშუალება, განსაკუთრებული სისასტიკით ზ. ა-სთან არაერთხელ დაემყარებინა სექსობრივი კონტაქტი უკანა ტანში, სწორი ნაწლავის საშუალებით, რაც გადაიღეს ვიდეოკამერით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 მარტის განაჩენით:

რ. შ., – დაბადებული 19.. ნელს, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

რ. შ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გამართლებულ რ. შ-ს განემარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ.

ი. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 376-ე მუხლზე.

ი. ა., – დაბადებული 19.. ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთ-

ხედით და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 19 ივნისიდან.

თ. უ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

თ. უ., – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. თ. უ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 20 ივნისიდან.

პ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

პ. ქ., – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 19 ივნისიდან.

გ. ბ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ორი ეპიზოდი).

გ. ბ., – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა

6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2013 წლის 19 ივნისიდან.

გ. ჭ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

გ. ჭ., – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენციო 2013 წლის 19 ივნისიდან.

მ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

მ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

მ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

მ. ქ., – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა,

რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, მ. ქ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა უნდა დაენციოს დაკავების მომენტიდან და დაკავებისთანავე შესახლდეს სასჯელადსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

კ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (ორი ეპიზოდი) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-

ქტზე.

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

კ. კ., – დაბადებული 1... ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, კ. კ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდე-

ბობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწიოს დაკავების მომენტიდან და დაკავებისთანავე შე-სახლდეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწე-სებულებაში.

დ. რ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართვე-ლოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი), 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტებითა (ზ. ა-ს ეპიზოდი) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ორი ეპიზოდი).

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწი-ლის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გა-დაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტზე.

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწი-ლის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გა-დაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტზე.

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირ-და სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირ-და სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

დ. რ., – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-პუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლე-ბის აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფ-ლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამ-დებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერ-

თი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, დ. ჩ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 7 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 30 სექტემბრიდან იმავე წლის 7 ნოემბრამდე.

კ. თ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

კ. თ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ზ. ა-ს ეპიზოდი).

კ. თ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (დ. ძ-ს ეპიზოდი).

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

კ. თ., – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლე-

ბის აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა როგორც თავისუფლების აღკვეთის, ისე თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა როგორც თავისუფლების აღკვეთის, ისე თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ კ. თ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 19 ივნისიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2011 წლის 29 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა – მ. ქ-მ, კ. კ-მ, დ. ჩ-მ, პ. ქ-მ, გ. ბ-მ და სხვა პირებმა, ასევე – თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსმა კ. თ-მ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება დ. ძ-ს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი მათ მიიყვანეს ზ-ს რაიონის სოფელ გ-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწურში. უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილ დ. ძ-სგან მ. ქ., კ. თ., დ. ჩ. და კ. კ. მოითხოვდნენ ელიარებინა ტერორისტული აქტების ჩადენაში მონაწილეობა, რასაც დ. ძ. უარყოფდა, ამით განაწყენებულმა მ. ქ-მ, კ. თ-მ, დ. ჩ-მ და კ. კ-მ ჯგუფურად, წამების გზით საჭირო აღიარების მისაღებად, დ. ძ-ს დაუწყეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, კერძოდ: მ. ქ. ელექტროშოკით

დენს არტყამდა, დ. რ-მ ფიცრის ნაჭერი გადაარტყა, კ. კ-მ პლასტმასის ბოთლი მიადო უკანა ტანზე და ემუქრებოდა გაუპატიურებით, ხოლო კ. თ. სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, რამაც თავისი ხასიათიდან და ინტენსივობიდან გამომდინარე, მისი ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა გამოიწვია. მათთვის სასურველი აღიარების მისაღებად, მ. ქ-სა და კ. კ-ს დავალებით, დ. რ-მ ქ. ზ-ში მდებარე აფთიაქში შეიძინა სექსუალური პოტენციის ასამაღლებელი ნამალი და დააღვინა ქ. ზ-ში, რ-ს ქურჩა №.ში მცხოვრებ თ. უ-ს, ხოლო მ. ქ-მ და კ. კ-მ, თავის მხრივ, მას უბრძანეს დ. ძ-ს მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების განხორციელება, რა დროსაც თ. უ-მ დ. ძ-სთან უკანა ტანში სწორი ნაწლავიდან და პირის ღრუში გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა სქესობრივი კონტაქტი, ყოველივე ამას კ. კ. და დ. რ. მონაცვლეობით იღებდნენ ვიდეოკამერით. აღნიშნულის შემდეგ, მ. ქ-მ პ. ქ-ს, გ. ბ-ს და იქ მყოფ სხვა პირებს, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, დაავალა ედარაჯათ უკანონოდ თავისუფლებადაკვეთილი პირისთვის და თავისუფალი გადაადგილების საშუალება არ მიეცათ. პ. ქ., გ. ბ. და სხვები მითითების შესრულებას დათანხმდნენ და მონაცვლეობით დარაჯობდნენ დ. ძ-ს და არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას.

2011 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მ. ქ-მ, კ. კ-მ, დ. რ-მ, გ. ბ-მ, გ. ჭ-მ და სხვა პირებმა, ასევე – თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსმა კ. თ-მ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ზ. ა-ს, რის შემდეგაც მოათავსეს ზ-ს რაიონის სოფელ გ-ის ტყეში არსებულ მინურში. მ. ქ-მ, კ. კ-მ, დ. რ-მ და კ. თ-მ წამების გზით ზ. ა-სგან საჭირო აღიარების მისაღებად, ხელ-ფეხ-შეკრულს, ჯგუფურად დაუწყეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, კერძოდ, მ. ქ. ელექტროშოკს ადებდა, კ. კ. ცემდა, ასევე, პლასტმასის ბოთლი მიადო უკანა ტანზე და გაუპატიურებით ემუქრებოდა, დ. რ. ხელჯოხს ურტყამდა, ხოლო კ. თ. – ხელს, რამაც თავისი ხასიათიდან და ინტენსივობიდან გამომდინარე მისი ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა გამოიწვია. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მ. ქ-მ, კ. თ-მ და კ. კ-მ დატოვეს ტერიტორია, ხოლო გ. ბ-ს, გ. ჭ-ს, დ. რ-ს და იქ მყოფ სხვა პირებს დაევაღათ, სამი დღის განმავლობაში, მონაცვლეობით, ედარაჯად ზ. ა-სთვის და არ მიეცათ მისთვის თავისუფლად გადაადგილების საშუალება. მეორე დღეს, აღნიშნულ ადგილზე კვლავ მივიდნენ მ. ქ. და კ. კ., რომლებმაც დანაშაულის აღიარების მიზნით ისევ დაუნ-

ყეს ცემა და წამება ზ. ა-ს. მესამე დღეს, ბ. ბ-მ და მ. ხ-მ ზ. ა. გადაიყვანეს სოფელ ო-სთან არსებულ კოტეჯში და მიაბეს კოტეჯის გარეთ არსებულ მაგიდაზე. კ. კ-ს დავალებით, დ. ჩ-მ და გ. ჭ-მ მოიყვანეს თ. უ., მათ ახლდათ ი. ა-ც. კ. კ-მ უბრძანა თ. უ-ს ზ. ა-სთან, რომელიც იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში, დაემყარებინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება, რა დროსაც თ. უ-მ დაამყარა სექსობრივი კონტაქტი ზ. ა-სთან. ი. ა. იმ დროს იქ იმყოფებოდა, იცოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შესახებ, ჰქონდა გონივრული დრო და საშუალება, მაგრამ არ შეატყობინა შესაბამის ორგანოებს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის შსს ანტიკორუფციულ სააგენტოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორები – გიორგი კავსაძე და ზვიად ფხაკაძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ რ. შ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რ. შ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად შერაცხული კვალიფიკაციით დანაშაულების ჩადენაში; განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მსჯავრდებულების – გ. ბ-ს, გ. ჭ-ს, პ. ქ-ს, ი. ა-ს, კ. კ-ს, მ. ქ-ს, დ. ჩ-ს, კ. თ-სა და თ. უ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გამამართლებელი და კვალიფიკაციის შეცვლის ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასა და მსჯავრდებულებისთვის მსჯავრის დადებას ბრალად შერაცხული კვალიფიკაციით დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში.

მსჯავრდებულმა პ. ქ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გამამტყუნებელ ნაწილში გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

მსჯავრდებულებმა – ი. ა-მ, გ. ბ-მ, დ. ჩ-მ, გ. ჭ-მ და მათი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – გ. გ-მ და მ. ვ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

მსჯავრდებულმა კ. თ-მ და მისი ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ნ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს განაჩენის გამამტყუნებელ ეპიზოდებში გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

მსჯავრდებულმა თ. უ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვა სასჯელის შემსუბუქება და სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათ-

ვლა.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულებმა – გ. ბ-მ და გ. ჭ-მ ალტერნატივის სახით მოითხოვეს განაჩენით დანიშნული სასჯელის ზომის შემსუბუქება (სასჯელის მინიმუმის დანიშვნა), ხოლო მსჯავრდებულმა პ. ქ-მ – მის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება) დაკვალიფიცირება და აღნიშნულ კვალიფიკაციაში გამართლება, ვინაიდან ასრულებდა თავისი უფროსის დავალებას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

რ. შ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

გამართლებულ რ. შ-ს განემარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ.

ი. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 376-ე მუხლზე და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 19 ივნისიდან, რაც დღეის მდგომარეობით მოხდილი აქვს.

თ. უ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

თ. უ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით

(2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. თ. უ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2013 წლის 20 ივნისიდან.

პ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

პ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენციო 2013 წლის 19 ივნისიდან.

გ. ბ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ორი ეპიზოდი).

გ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2013 წლის 19 ივნისიდან.

გ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

გ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემ-

ბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 19 ივნისიდან.

მ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

მ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

მ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144'-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

მ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144'-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

მ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართვე-

ლოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, მ. ქ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან და დაკავებისთანავე შესახლდეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

კ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, ორი ეპიზოდი) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

კ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

კ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქარ-

თველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, კ. კ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწიოს დაკავების მომენტიდან და დაკავებისთანავე შესახლდეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

დ. რ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი), 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ორი ეპიზოდი).

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

დ. რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით

(დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, დ. ჩ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 7 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 30 სექტემბრიდან იმავე წლის 7 ნოემბრამდე.

კ. თ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, ორი ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი), 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, ხოლო სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით

(2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება – სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

კ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, კ. თ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 19 ივნისიდან.

5. საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, ანტიკორუფციულ სააგენტოსა და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორი – გიორგი კავსაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ:

- განაჩენის გაუქმებას რ. შ-ს მიმართ დამდგარი გამამართლებელი განაჩენის ნაწილში და ნაცვლად ამისა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას; რ. შ-ს დამნაშავედ ცნობას (ზ. ა-ს ეპიზოდი) საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით;

- განაჩენის გაუქმებას კ. თ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის ნაწილში (დ. ძ-ს ეპიზოდი) და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას; კ. თ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 144¹-ე

მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით;
განაჩენში ცვლილების შეტანას გამამართლებელი და კვალი-
ფიკაციის შეცვლის ნაწილში და გამამტყუნებელი განაჩენის გამო-
ტანას, კერძოდ:

- კ. თ-ს (ზ. ა-ს ეპიზოდში) დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით;

- პ. ქ-ს (დ. ძ-ს ეპიზოდი) დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

- ი. ა-ს (ზ. ა-ს ეპიზოდი) დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

- გ. ჭ-ს (ზ. ა-ს ეპიზოდი) დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

- გ. ბ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ორივე ეპიზოდი);

- თ. უ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ორივე ეპიზოდი).

- მ. ქ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით (ორივე ეპიზოდი).

- კ. კ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით (ორივე ეპიზოდი);

- დ. ჩ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით (ორივე ეპიზოდი).

6. მსჯავრდებული კ. თ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ნ. საკასაციო საჩივრით ითხოვენ კ. თ-ს უდანაშაულოდ

ცნობასა და საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით (ზ. ა-ს ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას.

მსჯავრდებულ პ. ქ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ო. საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებულები – გ. ბ., გ. ჭ., ი. ა., დ. ჩ. და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები – გ. გ. და მ. ვ. საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, ანტიკორუფციულ სააგენტოსა და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორის – გიორგი კავსაძის, მსჯავრდებულ კ. თ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ს, მსჯავრდებულ პ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ო-ს, მსჯავრდებულების – გ. ბ-ს, გ. ჭ-ს, ი. ა-ს, დ. ჩ-სა და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. გ-სა და მ. ვ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ დასაბუთებული გადანყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას; აღნიშნული უფლება ზედა ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევს, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე „ჰირვისაარი ფინეთის წინააღმდეგ“ (Hirvisaari v. Finland), განაცხადი №49684/99; §30; ECHR; 25.12.2001).

3. საკასაციო პალატა დაცვის მხარის მოთხოვნას მსჯავრდებულების – კ. თ-ს, პ. ქ-ს, გ. ბ-ს, გ. ჭ-ს, ი. ა-სა და დ. ჩ-ს უდანაშაულოდ ცნობისა და მათი გამართლების თაობაზე არ ეთანხმება, ვინაიდან პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებებში მათი ბრალეულობის თაობაზე სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარ-

ტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა.

4. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის – სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიციას, რომ გასაჩივრებული განაჩენი რ. შ-ს გამართლების, კ. თ-ს, პ. ქ-ს, ი. ა-ს, გ. ჭ-ს, გ. ბ-ს, თ. უ-ს, მ. ქ-ს, კ. კ-სა და დ. ჩ-ს ნაწილობრივ გამართლებისა და კვალიფიკაციის შეცვლის ნაწილში არის უკანონო. საკასაციო პალატა ბრალდებების მითითებულ ეპიზოდებთან დაკავშირებითაც სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის არგუმენტებსა და დასკვნებს, როგორც გამართლების, ისე კვალიფიკაციის შეცვლის ნაწილში.

5. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი:

- რ. შ-ს ბრალდების ეპიზოდი (საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში).

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივებს, რომ მოწმეების – ბ. ბ-სა და მ. ხ-ს ჩვენებებით უტყუარად არ დასტურდება რ. შ-ს გ-ს მინურში ყოფნის ფაქტი, ხოლო მოწმეები – რ. ლ. და გ. გ. არიან მხოლოდ მოცემულ საქმეზე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩამტარებელი პირები, ხოლო ვიდუო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნა რ. შ-სთან მიმართებით სავარაუდოა და ვერ დაედება საფუძვლად მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. რაც შეეხება საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს ბრალდებულ გ. ჭ-ს მონაწილეობით, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ჩვენების მიცემის დროს მან უარყო რ. შ-ს ყოფნის ფაქტი გ-ს მინურში, რის გამოც დაუშვებელია ბრალდებულის მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენების (შესაბამისად, მისი მონაწილეობით საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის) მტკიცებულებად მიღება. ასევე ვერ იქნება მიჩნეული რ. შ-ს ბრალეულობის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის ნომერზე განხორციელებული ზარები, რომლის მიხედვითაც, იგი 2011 წლის 2 აგვისტოდან 2011 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით იმყოფებოდა სამეგრელოს ტერიტორიაზე, ვინაიდან ამ პერიოდში რ. შ. ცხოვრობდა და მუშაობდა სამეგრელოს ტერიტორიაზე.

- ი. ა-ს ბრალდების ეპიზოდი (ზ. ა-ს ეპიზოდი, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული).

6. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასე-

ბას, რომ მითითებულ ეპიზოდში გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა ი. ა-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, ვინაიდან მოწმეების – ბ. ბ-სა და მ. ხ-ს ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ბ. ბ-ს ჩვენებით, ი. ა. გაჰყვა მანქანას, რითაც წაიყვანეს ყავარჯნიანი მამაკაცი, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ი. ა. დარაჯი იყო. მ. ხ-მ კი აჩვენა, რომ ყავარჯნიანი მამაკაცის წაყვანის შემდეგ ადგილზე სხვებთან ერთად ა-ც დარჩა. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ზემოხსენებულ მოწმეთა ჩვენებებში მხარეთა მიერ დასმული შეკითხვებით აღნიშნული წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრა, ამასთან, არც ბ. ბ-სა და არც მ. ხ-ს ჩვენებებით უტყუარად არ არის გარკვეული და დაკონკრეტებული ი. ა-ს როლი და მონაწილეობა ზ. ა-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში პირთა ჯგუფის მიერ უწყვეტად ხორციელდებოდა ჯერ გ-ს მიწურში, შემდეგ კი – ო-ს მახლობლად ტყეში არსებულ კოტეჯში.

• მ. ქ-ს, კ. კ-ს, დ. ჩ-სა და კ. თ-ს ბრალდების ეპიზოდები (საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, ორი ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდების 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირება, ხოლო საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების (ორი ეპიზოდი) ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირება, ასევე ზემოხსენებული მსჯავრდებულების საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება).

7. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ მართებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ არ დასტურდება ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. ამავე მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ მუხლის მესამე ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. ორგანიზებულ

ჯგუფში პირთა კავშირი არა მარტო წინასწარი, არამედ განსაკუთრებით მყარი უნდა იყოს, ამასთან, ორგანიზებული ჯგუფი დანაშაულის ჩადენამდე უნდა იყოს ორგანიზებული, ანუ ჯგუფის ორგანიზება დროში წინ უნდა უსწრებდეს დანაშაულის ჩადენას. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ საქმეზე შეკრებილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ჯგუფს გააჩნდა მყარი ერთობა, სტრუქტურული ფორმა, ჯგუფის წევრები წინასწარ, მყარად შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად და მ. ქ-მ მათ შორის გაანაწილა როლები, როგორც ეს ბრალდების შესახებ დადგენილებაშია გადმოცემული.

8. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (თავისუფლების უკანონო აღკვეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით) – მ. ქ-ს, კ. კ-ს, დ. ჩ-სა და კ. თ-ს გამართლებას, საკასაციო პალატა მოცემულ შემთხვევაშიც იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივებს, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული არცერთი მტკიცებულება არ ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ერთ შემთხვევაში გ.-ს რაიონის სოფელ ბ-ში დ. ძ-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ხოლო მეორე შემთხვევაში – სოფელ ო-ს სასაფლაოზე ზ. ა-ს სწორედ ზემოხსენებულმა ბრალდებულებმა პირადად ან მათი ბრძანებით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით აღუკვეთეს თავისუფლება და გადმოიყვანეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ზ-ს რაიონში. რაც შეეხება უკანონოდ თავისუფლებადკვეთილ ზ. ა-სა და დ. ძ-ს მიმართ გ-ს მიწურსა და ო-ს კოტეჯში განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს, აღნიშნულს მოიცავს საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

• მსჯავრდებულების – გ. ჭ-ს, პ. ქ-ს, გ. ბ-ს (საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რამაც დაზარალებულისთვის სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია) ბრალდების ეპიზოდები.

9. საკასაციო პალატა ბრალდების მოცემულ ეპიზოდებშიც ეთანხმება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მოტივაციას, რომ უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილ ზ. ა-სა და დ. ძ-ს მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედებები მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არა შედეგს,

არამედ ცალკე აღებულ განზრახ დანაშაულებრივ ქმედებას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედეგებისთვის გამოკვეთილი უნდა იყოს გაუფრთხილებლობა და არა – განზრახვა.

• თ. უ-ს, კ. კ-ს (საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) მ. ქ-ს, დ. ჩ-ს (საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი), კ. თ-ს (საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი)) ბრალდების ეპიზოდები.

10. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ 138-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (განსაკუთრებული სისასტიკე) ეპიზოდებში დაზარალებულებზე განხორციელებული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების დროს თ. უ-ს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, რაც განსაკუთრებულ სისასტიკედ შეიძლება შეფასდეს, არ ჩაუდენია, ხოლო კ. კ-ს, მ. ქ-ს და დ. ჩ-ს შესაბამის ეპიზოდებში დაზარალებულებზე განხორციელებულ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებამდე ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებისთვის საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლით ბრალდება აქვთ წარდგენილი და მათთვის იმავე ქმედებისთვის კიდევ სხვა მუხლით ბრალდება დაუშვებელია.

11. რაც შეეხება კ. თ-ს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), მ. ქ-სა და დ. ჩ-ს (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) გამართლების ნაწილს, ბრალდების მხარეს არც ამ შემთხვევაში წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ო-ს კოტეჯში ზ. ა-ს მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების დროს კოტეჯში კ. თ-სა და მ. ქ-ს ყოფნის ფაქტს. მართალია, დადგენილი და დადასტურებულია ო-ს კოტეჯში ზ. ა-ს გაუპატიურების დროს დ. ჩ-ს ყოფნის ფაქტი, თუმცა რა აქტიური მოქმედება განახორციელა ამ უკანასკნელმა ზ. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილი არ არის.

• კ. თ-ს (საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით) დ. ძ-ს ბრალდების ეპიზოდში გამართლების ნაწილი.

12. საკასაციო პალატა მითითებული ბრალდების ეპიზოდშიც იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივებს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს სრულად ეწინააღმდეგება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, დაცვის მხარემ წარმოადგინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მოპოვებული, 2011 წლის 25-31 მაისის პერიოდში (დ. ძ-ს მიმართ ძალადობრივი ქმედებები ჩადენილია 2011 წლის 29 მაისს) კ. თ-ს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში შესვლა-გასვლის (თითის ანაბეჭდებით) ამონაწერი, რომლის მიხედვით, კ. თ-ს სამსახურში შემოსვლა-გასვლა (სამსახურში ყოფნა) ფიქსირდება 2011 წლის 28 მაისს, დილის 10:50:11 საათიდან საღამოს 11:44:19 საათამდე პერიოდში, ხოლო 30 მაისს – დილის 9:50:49 საათიდან საღამოს 11:04:04 საათამდე პერიოდში. გარდა ამისა, მოწმე ა. რ-ს ჩვენებით დგინდება, რომ 2011 წლის 28 მაისს, დილის საათებში, მისული იყო თავდაცვის სამინისტროში თავისი მეგობრების სანახავად, სადაც ასევე ნახა სამსახურიდან საკონტროლო-გამშვები პუნქტის მეშვეობით გამოსული კ. თ, რომელიც მისი (მოწმის) ყოფილი თანამშრომელია თავდაცვის სამინისტროში. მეორე დღეს, 29 მაისს, იგი (ა. რ.) შემთხვევით კვლავ შეხვდა კ. თ-ს ქ. თ., ბ-სა და პ-ს ქუჩების კუთხეში, რადროსაც კ. თ. მართავდა სამსახურებრივ „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ მარკის ავტომანქანას. ორივე ეს შეხვედრა მოწმეს კარგად ახსოვს, ვინაიდან წინა დღეებში მისი სიმამრი იყო დაკავებული 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით და თავდაცვის სამინისტროში მეგობრებს სთხოვა, დახმარებოდნენ დაკავებულის ადგილსამყოფლის დადგენაში.

13. დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები:

- პ. ქ-ს მსჯავრდების ეპიზოდი (საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

14. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდება (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დადასტურებულია შემდეგი მტკიცებულებებით: დ. ძ-ს, ბ. ბ-ს, მ. ხ-ს ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ვიდეო ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №.. დასკვნით, რომლის სისწორე დადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – ა. მ-მ და ლ. ა-მ.

15. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას დაცვის მხარის მიერ სადავოდ გამხდარი ვიდეო ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №.. დასკვნისა და პ. ქ-ს ბრალდებულის სახით დაკავების შესახებ ოქმის კანონ-

ნიერებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც საკაცაციო პალატა ხელმეორედ აღარ იმსჯელებს, ვინაიდან სააპელაციო პალატა მითითებულ საკითხზე ამომწურავად მსჯელობს განაჩენში.

16. საკაცაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ როგორც პ. ქ-ს, ისე სხვა მსჯავრდებულების ქმედებაში გამოკვეთილია საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და არა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება) გათვალისწინებული დანაშაული, ვინაიდან დ. ძ-ს მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს (ნიღბიანი პირების შევარდნა დ. ძ-ს ოჯახში, ამ უკანასკნელის და მისი ცოლ-შვილის სკამზე დაბმა, თვალეხახვეული დ. ძ-ს იძულებით ნამოყვანა ოჯახიდან, სწრაფი ტემპით მალულად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ზ-ს რაიონში გადმოყვანა, გ-ს მიწურში მოთავსება, შიშველ მდგომარეობაში მაგიდაზე ხელ-ფეხით წებოვანი ლენტით დაბმა, მასზე ძალადობრივი მოქმედებების განხორციელება) არაფერი აქვს საერთო განზრახ უკანონო დაკავებასთან. რაც შეეხება უფროსის დავალებას, საქართველოს სსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საერთო წესით, თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოება. მოცემულ შემთხვევაში იმ ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი დ. ძ. მოთავსებული იყო კონსპირაციულ მიწურში, შიშველი დააბეს ხელ-ფეხით მაგიდაზე, დანაშაულის აღიარების მიზნით აწამებდნენ და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებდნენ, რასაც ესწრებოდნენ ნიღბიანი პირები – პ. ქ., გ. ჭ., გ. ბ. და დ. ჩ., შესაბამისად, მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ დ. ძ-სთან მიმართებით მ. ქ-ს და კ. კ-ს მიერ გაცემული ბრძანებები და განკარგულებები იყო დანაშაულებრივი.

• ი. ა-ს მსჯავრდების ეპიზოდი (საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლი)

17. სააპელაციო პალატა ასევე სწორად უთითებს, რომ ი. ა-სთან მიმართებით მოწმეების – ბ. ბ-სა და მ. ხ-ს ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდების უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნული მოწმეების ჩვენებებით უტყუარად დადასტურებულია, რომ ი. ა. იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე – ო-ს კოტეჯში, სადაც უკანონოდ თავ-

ვისუფლებადკვეთილი ზ. ა-ს მიმართ კ. კ-ს ბრძანებით თ. უ-მ ჩაიდინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, რაც ასევე დასტურდება თ. უ-ს ჩვენებითაც. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრება, რომ ი. ა-მ არ იცოდა ზ. ა-ს მიმართ ჩადენილი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. ა-ს მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება განხორციელდა არა შიგნით, კოტეჯში, არამედ – კოტეჯის გარეთ, ყველა იქ მყოფი პირის თანდასწრებით, რა დროსაც ზ. ა. კოტეჯის გარეთ არსებულ მაგიდაზე ხელ-ფეხით იყო ნებოვანი ლენტიით დაბმული.

• გ. ბ-ს, დ. ჩ-სა და გ. ჭ-ს მსჯავრდების ეპიზოდები (გ. ჭ-ს მიმართ – საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი), გ. ბ-ს მიმართ – საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორივე ეპიზოდი), ხოლო დ. ჩ-ს მიმართ – საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორივე ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, ორი ეპიზოდი) მსჯავრდების ეპიზოდები.

18. მითითებული მსჯავრდების ეპიზოდებში მათ მიერ ჩადენილი ქმედებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია შემდეგი მტკიცებულებებით: დაზარალებულებისა და მონმეების – დ. ძ-ს, ზ. ა-ს, მ. ხ-ს, გ. შ-ს, ბ. ბ-ს, თ. უ-ს ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით – ბ. ბ-ს, გ. შ-ს და მ. ხ-ს მონაწილეობით, ფოტოსურათითა და პირის ამოცნობის ოქმებით – ზ. ა-ს მონაწილეობით (ამოიცნო გ.ჭ., რომელმაც სხვებთან ერთად აღუკვეთა თავისუფლად გადაადგილების საშუალება, ტყეში დააბა ხის მაგიდაზე), ვიდეო ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნით (ვიდეოჩანაწერები ნაწილობრივ ვარგისია ხმის მიხედვით პირის იდენტიფიკაციისათვის, ვიდეოჩანაწერებზე აღინიშნება მრავლობითი წყვეტა, ხოლო წყვეტებს შორის სხვა რაიმე მონტაჟის ნიშნები არ დაფიქსირდა. მასალები ნაწილობრივ ვარგისია გამოსახულების მიხედვით პირის იდენტიფიკაციისათვის. ბრალდებულებისგან მოხდა ხმის ნიმუშების აღება და მათი ფოტოგრაფირება. ვიდეომასალებში დაფიქსირებულ საუბრებში მონაწილეობს გ. ჭ.), ექსპერტების – ლ. ა-სა და ა. მ-ს ჩვენებებით, ვიდეოგრამის (ვიდეოკასეტის) დათვალიერების ოქმით.

• კ. თ-ს მსჯავრდების ეპიზოდი (საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის შესაბამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) შერაცხული მსჯავრდება).

19. კ. თ-ს მიერ მითითებული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა უტყუარად დადასტურებულია შემდეგი მტკიცებულებებით: ბ. ბ-სა და მ. ხ-ს ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმების მიხედვით, რომლებითაც ბ. ბ-სა და მ. ხ-ს ჩვენებები შემოწმდა ადგილზე, რა დროსაც მათ დაადასტურეს თავიანთი ჩვენებების სისწორე; შპს „ჯ-დან“ და „მ-დან“ მოპოვებული ინფორმაციით, კ. თ-ს კუთვნილ მობილური ტელეფონის ნომრებზე განხორციელებული სატელეფონო ზარების შესახებ.

20. სააპელაციო პალატამ მართებულად არ გაიზიარა მსჯავრდებულ კ. თ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მოსაზრება, რომ მ. ხ. და ბ. ბ. არიან მიკერძოებული მოწმეები და მათ თვითგადარჩენის სანაცვლოდ მისცეს კ. თ-ს სანინააღმდეგო ჩვენებები. გარდა ამისა, სააპელაციო პალატა განაჩენში ამომწურავად მსჯელობს დაცვის მხარის არგუმენტების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, რომ გამოძიებამ არც მოწმისა და არც ბრალდებულის სტატუსით არ დაკითხა კ. თ. და რომ იგი დააკავეს მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე ზ. ა-ს დაკავების თარიღსა და დანაშაულის ჩადენის მომენტში – 2011 წლის 1-5 აგვისტოს კ. თ-ს ქ. თ-ში, მის სამსახურში ყოფნის ფაქტზე, რასაც საკასაციო პალატაც სრულად იზიარებს.

21. საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას კ. თ-ს მიერ ჩადენილი ქმედებების კვალიფიკაციის ნაწილში, კერძოდ: მართალია, საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომ კ. თ-მ პირადად აღუკვეთა თავისუფლება ზ. ა-ს, გადმოიყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან ზ-ს რაიონში და გ-ს მიწურში დააბა მაგიდაზე, ასევე კ. თ-ს არ გამოუყენებია არც ელექტროშოკი და არც ბოთლით უკანა ტანში გაუშუპატიურებია ზ. ა., მაგრამ მას უდავოდ გაცნობიერებული ჰქონდა იმ მართლსაწინააღმდეგო და ძალადობრივი ქმედებების შესახებ, რაც ჩაიდინეს თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ჯგუფურად, საერთო მიზნითა და პირდაპირი განზრახვით მოცული კონკლუდენტური მოქმედებებით. კ. თ-ს, მ. ქ-ს, კ. კ-სა და დ. ჩ-ს აღნიშნული მოქმედებებით, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანებისადმი მოპყრობის მორალურ და ზნეობრივ წესს, ზ. ა-მ ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა განიცადა.

22. სასჯელების სამართლიანობასთან დაკავშირებით საკასა-

ციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულებისათვის შეფარდებული სასჯელები, მსჯავრდებულ კ. თ-ს გარდა, სამართლიანია და მიიჩნევს, რომ მათთვის განსაზღვრული სასჯელების სახე და ზომა სრულად შეესაბამება როგორც მსჯავრდებულთა პიროვნულ მახასიათებლებს, ისე – მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების ხასიათსა და სიმძიმეს, იგი სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა: ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა. რაც შეეხება მსჯავრდებულ კ. თ-სთვის შეფარდებულ სასჯელს, მის მიერ ჩადენილი ქმედების სახის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, ხარისხისა და როლის გათვალისწინებით, კერძოდ, განსხვავებით მ. ქ-ს, კ. კ-სა და დ. ჩ-ს ქმედებებისგან, კ. თ. აქტიურად არ მონაწილეობდა ძალადობრივ ქმედებებში, რის გამოც საკასაციო პალატას არაპროპორციულად მიაჩნია მის მიმართ შეფარდებული სასჯელი და, ამდენად, იგი უნდა შემცირდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, ანტიკორუფციულ სააგენტოსა და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორის – გიორგი კავსაძის, მსჯავრდებულ კ. თ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ს, მსჯავრდებულ პ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ო-ს, მსჯავრდებულების – გ. ბ-ს, გ. ჭ-ს, ი. ა-ს, დ. ჩ-სა და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ.გ-სა და მ. ვ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. კ. თ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქ-

ცია, ორი ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი), 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში;

4. კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, ხოლო სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება – სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია);

5. კ. თ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 4 წლით ჩამოერთვას თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვას თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, კ. თ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით ჩამოერთვას თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2013 წლის 19 ივნისიდან;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქმედების გადაკვალიფიცირება ყაჩაღობიდან
იკულებაზე**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№99აპ-18

18 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ნ. გვენეტაძე (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზიტა ჭულუხაძის და მსჯავრდებულ მ. შ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განაჩენით მ. შ-ეს, – დაბადებულს 1..., ნასამართლობის არმქონეს, – წარდგენილი ბრალდებებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

2. ამავე დროს, მ. შ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სს „ლ-ს“ №... სერვის ცენტრზე ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

3. იმავე განაჩენით, მ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მიუქარით, ჩადენილი ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) და ამ დანაშაულისთვის მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 (ექვსი) წლით და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. მ. შ-ე ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი სხვა დანა-

შაულის დაფარვისა და სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით) (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. გარდა ამისა, მ. შ-ე აღნიშნული განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება) (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) და ამ დანაშაულისთვის მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და მსჯავრდებულ მ. შ-ეს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

7. მსჯავრდებულ მ. შ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდა და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2016 წლის 15 ივლისიდან.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 10 აპრილის განაჩენით დადგენილად მიიჩნია, რომ პისტოლეტებით შეიარაღებულმა მ. შ-ემ და გამოძიებით დაუდგენელმა ორმა პირმა, 2016 წლის 4 ივლისს, დილის საათებში, წ-ს რაიონის სოფელ გ-ი მდებარე ე.წ „ი-ს“ ტერიტორიაზე, დაზარალებულ ჯ. მ-ს ყაჩაღური თავდასხმის გზით გასტაცეს ი. მ-ს კუთვნილი, 3600 ლარად ღირებული ავტომანქანა, რომელსაც მართავდა თავად დაზარალებული. ამასთან, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, დაზარალებულ ჯ. მ-ს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, კერძოდ, მისი ნების საწინააღმდეგოდ, იგი მოათავსეს ავტომანქანის უკანა სალონში. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ავტომანქანით წაიყვანეს შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით. ავტომანქანაში მას თავზე ჩამოაფარეს სპორტული ზედა და ასეთ მდგომარეობაში ის აღნიშნულ ადგილზე გააჩერეს დაახლოებით ერთ საათზე მეტ ხანს. ამის შემდეგ, მ. შ-ე და გამოძიებით დაუდგენელი ორი პირი ავტომანქანის უკანა სავარძელზე მყოფ, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილ დაზარალებულ ჯ. მ-სთან ერთად მივიდნენ, ქ-ი, ბ-ს ქუჩა №...-ში მდებარე სს „ლ-ს“ №... სერვის ცენტრთან, ავტომანქანის

უკანა სალონის მარჯვენა მხრიდან ბრალდებული მ. შ-ე გადავიდა და ჩაამსხვრია სერვის ცენტრის 87.28 ლარად ღირებული შესასვლელი მინის კარები. შემდეგ დაზარალებული ჯ. მ. მიიყვანეს ქ-ი, ჯ-ს პირველი შესახვევი №...-ის ტერიტორიაზე და ის ავტომანქანაშივე მიატოვეს, თავად კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. 2016 წლის 13 ივლისს, მ. შ-ე, წ-ს რაიონის სოფელ ფ-ს 2-ე ქუჩაზე, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა მართლსაწინააღმდეგოდ შექენილ ცეცხლსასროლ იარაღს – თავდაცვითი დანიშნულების აირის, ხმოვანი, (ფუჭი) ტრავმატური-რეზინის ბურთულებისა და საფანტის ვაზნებისთვის განკუთვნილ „GOLD STAR 2002“ მოდელის პისტოლეტს, მჭიდით და საბრძოლო მასალას – 2 ცალ ვაზნას, რაც ამოღებული იქნა მისი პირადი ჩხრეკისას.

9. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. შ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ჩ-ა, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განაჩენის გაუქმება და მ. შ-ის წარდგენილ ბრალდებებში გამართლება.

10. განაჩენი სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზიტა ჭულუხაძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მ. შ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია), აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია). შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულების ჩადენის გამო, მისთვის კანონით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ მ. შ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ჩ-ა საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად მ. შ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. კასატორი საჩივარში აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების

ერთობლიობა, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით და-
დასტურდებოდა მ. შ-ის ბრალეულობა.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო
ნესით გაასაჩივრა აგრეთვე ბრალდების მხარემ. პროკურორმა ზი-
ტა ჭულუხაძემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის სააპე-
ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017
წლის 22 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა და მის მიმართ
წარდგენილი ყველა ბრალდების მიხედვით მ. შ-ის დამნაშავედ ცნო-
ბა. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულების ჩადენის გამო, მის-
თვის კანონით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელების განსაზ-
ღვრა.

14. კასატორი – პროკურორი ზიტა ჭულუხაძე საკასაციო საჩი-
ვარში აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენი-
ლია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა (და-
ზარალებულების: თ. ც-ს, ჯ. მ-ს, ი. მ-სა და მოწმეების ჩვენებები,
შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ადგილმდებარეობი-
სა და ავტომანქანის დათვალიერების ოქმი, ბრალდებულის დაკა-
ვებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქ-
მები, ვიდეოჩანაწერის გახსნისა და დათვალიერების ოქმები, ნი-
მუშის აღების ოქმები, სამედიცინო, ბიოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნები, ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარე-
თა ექსპერტიზის დასკვნა, ვიდეო ექსპერტიზის დასკვნა, მინის
ნამსხვრევი მასზე არსებული მ. შ-ის სისხლით, სიგარეტ „კენტის“
ორი ნამწვი, „GOLD STAR 2002“ მოდელის პისტოლეტი, მჭიდი და
საბრძოლო მასალა და სხვა მტკიცებულებები), რომლითაც გონივ-
რულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდებოდა მ. შ-ის ბრალე-
ულობა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენი არ ემყარება
სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არ
პასუხობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით
დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლომ არასწორად შეაფასა მ. შ-
ის ქმედება და არ მისცა მას სწორი კვალიფიკაცია. ამასთან, მსჯავ-
რდებულის მიმართ გამოყენებული იქნა სასჯელის ისეთი ზომა, რაც
აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და
პიროვნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა მსჯავრდებულ მ. შ-ის საქ-
მის მასალები და შეამოწმა დაცვისა და ბრალდების მხარის წარმო-
მადგენელთა საკასაციო საჩივრებში ჩამოყალიბებული მოტივების
საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკ-

მაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი პოზიცია მ. შ-ის უდანაშაულობის თაობაზე არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან და მას არ გააჩნია დასაბუთებული საფუძველი. კასატორი თავის საჩივარში მიუთითებს რამდენიმე მოტივზე, რომლებზედაც ის აფუძნებს თავის მოთხოვნას მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე და რომლებსაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვემოთ განხილული გარემოებების გამო.

3. კასატორი საჩივარში მსჯელობს იმის თაობაზე, რომ მ. შ-ეს არავითარი მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია დაზარალებულ ჯ. მ-ს მიმართ, საამისო საფუძველად უთითებს მისთვის შერაცხული ქმედების დასადასტურებლად საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების არარსებობაზე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. არასწორია კასატორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქმეში მხოლოდ ერთადერთი მტკიცებულება არსებობს დაზარალებულ ჯ. მ-ს ჩვენების სახით მსჯავრდებულის დანაშაულში მხილებისათვის, ისიც არათანმიმდევრული და საეჭვო.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საქმეში არსებული მტკიცებულებების ბაზისა და დაზარალებულის ჩვენების ამგვარ შეფასებას. დაზარალებულ ჯ. მ-ს მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება პირდაპირ უთითებს სწორედ იმ ქმედებებზე, რაც მ. შ-ემ და მასთან ერთად სხვა პირებმა განახორციელეს მის მიმართ, დაწყებული მასთან კონტაქტში შესვლიდან, გაგრძელებული მისი კუთვნილი ავტომანქანით გადაადგილებისას და დასრულებული მასთან ურთიერთობის შეწყვეტის მომენტით. დაზარალებული დეტალურად აღწერს მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებულ ყველა გარემოებასა და მოვლენათა თანმიმდევრობას, ამასთან, მას არცერთხელ არ უარყვია თავის ჩვენებაში მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. დაცვის მხარე ცდილობს ამ ჩვენებაში დაზარალებულის მიერ ნათქვამი ცალკეული, შეფასებითი შინაარსის მქონე ფრაზა გამოიყენოს მისი ჩვენების ნეგატიური შეფასებისათვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხსენებული გამონათქვამები საერთოდ არ ეხება იმ ქმედებებს, რომლებიც მსჯავრდებულმა მ. შ-ემ და მისმა თანხმლებმა სხვა პირებმა რეალურად ჩაიდინეს დაზარალებულ ჯ. მ-ს მიმართ და რომელთა შესახებ მან დანვრილებით ისაუბრა მსჯავრდებულის მამხილებელ ჩვენებაში.

5. უსაფუძვლოა აგრეთვე აღნიშნული კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მ. შ-ის საქმეში, დაზარალებულის ჩვენების გარ-

და, მისი დანაშაულების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები არ მოიპოვება. საქმეში არსებობს სხვა კანონიერი მტკიცებულებებიც, რომლებიც პირდაპირ ადასტურებენ მსჯავრდებულის მონაწილეობას განხილულ დანაშაულში. პალატას მხედველობაში აქვს დაზარალებულის ავტომანქანაში, ასევე, შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ ნივთზე აღმოჩენილი, მსჯავრდებულ მ. შ-ის მიერ დატოვებული ბიოლოგიური კვლები, რომლებსაც აქვთ პირდაპირი მტკიცებულების ხასიათი, რადგან აღნიშნულ ადგილებზე ამ კვლების არსებობა სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა იმ გარემოებების შედეგად, რომლებზედაც დაზარალებულმა ჯ. მ-მ მიუთითა თავის ჩვენებაში.

6. მხედველობაშია მისაღები იმ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმიც, რომელიც ასახავს 2016 წლის 16 ივლისს ექსპერტების მონაწილეობით მსჯავრდებულ მ. შ-ის შემთხვევის ადგილზე გაყვანისა და მისი ჩვენების ადგილზე შემონმების შედეგებს. მართალია, შემდგომში მან უარყო აღნიშნული ჩვენება, მაგრამ ამ შემთხვევაში, უდავო მტკიცებულებით მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ სწორედ მსჯავრდებულის მითითებით მოხდა ექსპერიმენტის მონაწილეთა შემთხვევის ადგილზე მისვლა. მსჯავრდებული ასეთ მითითებას ვერანაირად ვერ მისცემდა აღნიშნული ექსპერიმენტის სხვა მონაწილეებს იმ მოვლენებში მისი მონაწილეობის გარეშე, რომლებიც მიმდინარეობდა შემთხვევის ადგილზე და რომლებიც დეტალურად აღწერა დაზარალებულმა თავის ჩვენებაში.

7. გარდა პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობისა, მსჯავრდებულ მ. შ-ის მონაწილეობას დაზარალებულ ჯ. მ-ს მიმართ ჩადენილ ქმედებებში ადასტურებს ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც – მოწმეთა არაპირდაპირი ჩვენებები, ჯ. მ-ს ავტომანქანის სალონიდან ამოღებული, მიკრონაწილაკებზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, დაზარალებულ ჯ. მ-ს მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ვიდეოსა-სალაზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა და შემთხვევის ადგილისა და დაზარალებულის ავტომანქანის დათვალიერების ოქმები.

8. ამრიგად, საკასაციო პალატის დასკვნით, საქმეში არსებული პირდაპირი და სხვა მტკიცებულებების ერთობლიობის გათვალისწინებით, გასაჩივრებულ განაჩენში სასამართლოს მიერ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯავრდებულ მ. შ-ის იმ ქმედებებთან, რაც მან სხვა პირებთან ერთად ჩაიდინა დაზარალებულ ჯ. მ-ს მიმართ 2016 წლის 4 ივლისს, დადგენილია სწორად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით. ამასთან,

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამისად, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ქმედებებს სასამართლოს განაჩენში ვერ მიეცა ზუსტი სამართლებრივი შეფასება. ამ განაჩენით მ. შ-ე ბრალეულად იქნა ცნობილი: დაზარალებულ ჯ. მ-ზე ყაჩაღურ თავდასხმაში მისი ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც მან ჩაიდინა ჯგუფურად, სხვა პირებთან ერთად, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, აგრეთვე, დაზარალებულ ჯ. მ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია).

9. საკასაციო პალატის აზრით, ზემოთ განხილული მტკიცებულებებიდან არ იკვეთება, რომ მ. შ-ესა და მის თანამზრახველებს იმ დროს, როდესაც მათ მოახდინეს ცეცხლსასროლი იარაღების დემონსტრირება და ამ გზით გამოსატყუი მუქარის მეშვეობით აიძულეს დაზარალებული ჯ. მ. დამორჩილებოდა მათ მოთხოვნას, რის შემდეგაც, იგი გადასვეს ავტომანქანის უკანა სალონში, ხოლო ავტომანქანის საჭეს თვითონ დაეუფლნენ, მათ ჰქონდათ მისი ავტომანქანის მისაკუთრების მიზანი. ამ ვერსიის საფუძვლიანობას აშკარად ადასტურებს მოვლენათა შემდგომი განვითარება, კერძოდ, ამ შემთხვევაში მ. შ-ემ და სხვა პირებმა აღნიშნული ავტომანქანა გამოიყენეს როგორც დროებითი საშუალება გარკვეულ მანძილზე გადაადგილებისათვის, ამასთან, გადაადგილებოდნენ დაზარალებულთან ერთად, ბოლოს კი დაზარალებული თავისივე ავტომანქანასთან ერთად დატოვეს შემთხვევის ადგილზე. ნიშნდობლივია ის გარემოებაც, რომ მ. შ-ესა და მის თანხმლებ პირებს დაზარალებულისგან არ მოუთხოვიათ მისი კუთვნილი სხვა ქონების, თუნდაც იმ თანხის მათთვის გადაცემა, რაც მას ხელთ ჰქონდა ამ შემთხვევის დროს. ეს გარემოება ყოველგვარ დასაბუთებულ საფუძველს გამორიცხავს იმისათვის, რათა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება შეფასდეს როგორც ყაჩაღობა. მ. შ-ის მიერ სხვა პირებთან ერთად დაზარალებულის მიმართ მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოსატყუი მუქარას, ცეცხლსასროლი იარაღების დემონსტრირებითა და ავტომანქანის საჭის მათთვის დათმობის კატეგორიული მოთხოვნით, არ ახლავს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რაც ყაჩაღობის, როგორც სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელ და

აუცილებელ სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს.

10. ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. შ-ის მიერ სხვა პირებთან ერთად დაზარალებულ ჯ. მ-ს მიმართ ჩადენილი ქმედება უდავოდ შეიცავს ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემადგენლობას, როგორცაა იძულება, ჩადენილი ჯგუფურად, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია). მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული დანაშაული გამოიხატა დაზარალებულ ჯ. მ-ს თავისუფლების უკანონო შეზღუდვაში, კერძოდ, მის ფსიქიკურ იძულებაში – შეესრულებინა ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელებისგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენდა – თავისი ავტომანქანა სამართავად გადაეცა მოძალადეებისთვის, ხოლო თვითონ გადამჯდარიყო ავტომანქანის უკანა სალონში. გარდა ამისა, მისი იძულება გამოიხატა ასევე იმაშიც, რომ მან მოძალადეთა მხრიდან საკუთარ თავზე განიცადა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, რაც გამოიხატა შემდეგში: მათ დაზარალებული ჯ. მ, რომელსაც თავზე სპორტული მაისური გადააფარეს აიძულეს რამდენიმე ხნის განმავლობაში, მუდმივად თავდახრილ მდგომარეობაში მჯდარიყო ავტომანქანის უკანა სალონში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ მ. შ-ის ქმედება მოცემულ ნაწილში საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ), უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯგუფურად ჩადენილი იძულებისათვის.

11. როგორც ზემოთ განხილული მტკიცებულებების ერთობლიობიდან გამომდინარეობს, მსჯავრდებულ მ. შ-ეს ჩადენილი აქვს აგრეთვე დაზარალებულ ჯ. მ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა პირებთან ერთად – ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ამასთან, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: დაზარალებულმა ჯ. მ-მ მათ თხოვა გაეშვათ და თავი დაენებებინათ მისთვის, რადგან იყო ავადმყოფი. მიუხედავად ამისა, მ. შ-ემ და მისმა თანამზრახველებმა ის კი არ გაუშვეს, არამედ ცეცხლსასროლი იარაღების დემონსტრირებითა და კატეგორიული მოთხოვნით, რაც არაორაზროვნად შეიცავდა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის შესაძლო ხელყოფის მუქარას, ის აიძულეს, დარჩენილიყო ავტომანქანაში და მისი ნების საწინააღ-

მდეგოდ, მათთან ერთად გადაადგილებულიყო რამდენიმე ხნის განმავლობაში. მთელი ამ დროის მანძილზე ის მოკლებული იყო შესაძლებლობას თავისი სურვილისამებრ დაეტოვებინა ავტომანქანის სალონი და წასულიყო შემთხვევის ადგილიდან.

12. იმის გათვალისწინებით, რომ არ დასტურდება მსჯავრდებულ მ. შ-ის მიერ დაზარალებულ ჯ. მ-ს მიმართ ყაჩაღობის ჩადენა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მსჯავრდებიდან უნდა ამოირიცხოს მითითება საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) მ. შ-ის მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

13. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მ. შ-ის არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) და ის მსჯავრდების ამ ნაწილში უნდა გამართლდეს. მ. შ-ის საქმეში არსებობს მყარი მტკიცებულებითი ბაზა – საპროცესო კანონით გათვალისწინებული წესების სრული დაცვით მოპოვებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, სახელდობრ: 2016 წლის 15 ივლისის ჩატარებული მ. შ-ის პირადი ჩხრეკის ოქმი, რომლის მიხედვით, მისი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი – „GOLD STAR 2002“ მოდელის პისტოლეტი, მჭიდვითა და 2 საბრძოლო ვაზნით. ამ ოქმში დაფიქსირებულია გასაჩხრეკი პირისათვის უფლებების განმარტება, ჩხრეკის მიმდინარეობა და ჩხრეკის შედეგები, რომელსაც თავისი პირადი ხელმოწერით ადასტურებს თვითონ მსჯავრდებული და სადაც მას არავითარი განცხადება ან შენიშვნა არ შეუტანია მისი უფლებების შესაძლო დარღვევის თაობაზე. ამასთან, მ. შ-ის მიმართ ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება შემომწებულია სასამართლოში და ის კანონიერად არის ცნობილი. გარდა ამისა, მოცემულ ნაწილში მსჯავრდებულის ბრალეულობა დადასტურებულია ასევე ოთხი მოწმის პირდაპირი ჩვენებებით. საქმეში არსებული მასალებიდან არ იკვეთება ისეთი გარემოება, რომელიც საფუძვლიან ეჭვს წარმოშობდა პოლიციელთა მხრიდან რაიმე დაინტერესებაზე – მოეხდინათ მტკიცებულების ფალსიფიკაცია მ. შ-ის წინააღმდეგ, არარსებული დანაშაულის ჩადენაში მისთვის ბრალის დასადებად. დაცვის მხარის წარმომადგენელი კასატორის მიერ, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის მ. შ-ის მსჯავრდებასთან დაკავშირებით გა-

საჩივრებული განაჩენის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები, არ არის დადასტურებული რაიმე რეალური, არსებითი ხასიათის არგუმენტებით ან მტკიცებულებებით, რაც შეიძლება დასაბუთებული საფუძველი გამხდარიყო მისი ბრალის უარყოფისათვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი მ. შ-ის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

14. საკასაციო პალატამ ყურადღებით შეისწავლა და შეამოწმა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი და იმ მოთხოვნების საფუძვლიანობა, რომელთა მიხედვით გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის საუარესოდ და ეს უკანასკნელი, გარდა იმ შემდეგებისა, რომლებიც მას შეერაცხა ამ განაჩენით ცნობილი უნდა იქნეს ბრალეულად ასევე საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, რაშიც მას ბრალი ედებოდა მისი ბრალდების შესახებ დადგენილებით. მხედველობაშია, 2016 წლის 4 ივლისს, ქ. ქ-ი, ბ-ს ქ. №...-ში მდებარე სააქციო საზოგადოება „ლ-ს“ №... სერვის ცენტრის მიმართ მ. შ-ის მიერ ჩადენილი ქმედება, რა დროსაც მან დაამსხვრია აღნიშნული ცენტრის შესასვლელი კარის მინა, რითაც დაწესებულებას მიაყენა 87,28 ლარის ზიანი. კასატორს მიაჩნია, რომ ამ ქმედებით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, აღნიშნული სერვის ცენტრის კუთვნილი ფულადი თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

15. საკასაციო პალატის აზრით, საქმეში არ მოიპოვება ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საფუძველი იქნებოდა დასკვნისათვის განხილულ ეპიზოდში, მ. შ-ის მიერ ჯგუფური ყაჩაღობის ჩადენის შესახებ, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით. საკასაციო პალატას მ. შ-ის მიერ ხსენებული სერვის ცენტრის მინის კარის დამსხვრევა სარწმუნოდ დადგენილ ფაქტად მიაჩნია, მაგრამ ეს ქმედება არ შეიცავს ყაჩაღობის შემადგენლობას, რის გამოც მსჯავრდებულის მიერ ასეთი დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ვარაუდის სახით, დაუდასტურებელი ვერსიის დონეზე რჩება სათანადო მტკიცებულებების უქონლობის გამო. განხილულ გარემოებათა გათვალისწინებით, ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში ვერ დაკმაყოფილდება.

16. საკასაციო პალატა არ ეთანხმება აგრეთვე ბრალდების მხარის წარმომადგენელი კასატორის მოთხოვნას მ. შ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებული ისეთი ქმედების შერაცხვის თა-

ობაზე, როგორცაა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, ვინაიდან აღნიშნული პოზიცია მოკლებულია ისეთ ჯეროვან დასაბუთებას, რაც შეიძლება საფუძველი გამხდარიყო მისი გაზიარებისათვის. ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით მოქმედი მატერიალური სისხლის სამართლის ნორმების სწორი დოგმატური და სისტემური განმარტება არ იძლევა მსჯავრდებულ მ. შ-ის მიერ ჩადენილი ქმედების იმგვარი სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, რასაც ითხოვს ხსენებული კასატორი თავის საჩივარში. აღნიშნული გარემოების გამო, პროკურორის საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი მოთხოვნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა) ჩადენაში მ. შ-ის მსჯავრდების თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება.

17. ზემოაღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენი სხვა ნაწილში, რომლითაც მ. შ-ე მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებითა (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) და იმავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია), აგრეთვე, მათ საფუძველზე დანიშნული სასჯელები უნდა დარჩეს უცვლელად. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) მსჯავრდებულ მ. შ-ისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას, საკასაციო პალატას, ითვალისწინებს რა მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და თვით მსჯავრდებულის პიროვნებას, საკმარისად მიაჩნია, რომ ამ დანაშაულისათვის მას სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რომელიც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, შთანთქმულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული საბოლოო სასჯელით – 7 (შვიდი) წლით და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზიტა ჭუ-

ლუხაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ მ. შ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

4. მსჯავრდებულ მ. შ-ეს მსჯავრდებიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) და ამ ნაწილში გამართლდეს.

5. მ. შ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია).

6. მ. შ-ე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. მ. შ-ეს ბრალდებიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

8. მ. შ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სს „ლ-ს“ 24-ე სერვის ცენტრზე ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

9. მ. შ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

10. მ. შ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2015 წლის 10 ივლისის რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელები და ბრალდებულ მ. შ-ეს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

12. მ. შ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პა-

ტიმრობა

გაუქმებულია.

13. მ. შ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2016 წლის 15 ივლისიდან.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

15. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№445აპ-18

10 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან მურვანიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. მ-ს ბრალი დაედო ქურდობაში, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 26 დეკემბერს, დაახლოებით 06:00 საათზე, გ. მ. წინასწარი შეთანხმებით, გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, ქ. მდებარე ა. ც-ს სასურსათო მაღაზიიდან, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად დაეუფლა ორ ბოთლ ალკოჰოლურ სასმელს, რის შედეგადაც დაზარალებულს მიადგა 92 ლარის ქონებრივი ზიანი.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განაჩენით გ. მ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

გ. მ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 (სამი ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 იანვრის განაჩენით

ნებით გ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და გირაოს სახით გადახდილი თანხა – 3 000 (სამი ათასი) ლარი (დასტური №...) უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს – მ. ფ-ს (პირადი ნომერი ...) – განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

ნივთმტკიცება – გ. მ-ს ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ნივთმტკიცება – ა. ც-ს მიერ წარმოდგენილი ვიდეოთვალის ჩანაწერები 2 DVD დისკზე, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზურაბ კონცელიძემ. აპელანტმა ითხოვა გ. მ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ისეთი სასჯელის შეფარდება, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთასთან, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ გ. მ-მ ქურდობა ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. განაჩენში საერთოდ არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ არ გაიზიარა სასამართლომ საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებები და დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები, ასევე რჩება მთაბეჭდილება, რომ სასამართლოს დეტალურად არ დაუთვალა ვიდეოთვალის ჩანაწერები, რომლებიც უდავო იყო მოცემულ საქმეზე და მათზე ნათლად ჩანს, თუ როგორ შეთანხმებულად მოქმედებს გ. მ. გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად და ფარულად ეუფლება ნივთებს.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მაისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლევან მურვანიძემ. კასატორი საჩივრით ითხოვს გ. მ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ისეთი სასჯელის შეფარდებას, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთასთან, სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან მურვანიძის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მონმის სახით დაკითხული ა. ც-ს (დაზარალებული) ჩვენებით დადგენილია, რომ ქ., აქვს სუპერმარკეტი, სადაც მოლარე-ოპერატორებად მუშაობენ ქ. გ. და ნ. ც., 2015 წლის 26 დეკემბერს, დილით, დაურეკა ქ. გ-მ და აცნობა ალკოჰოლური სასმელების დანაკლისის თაობაზე, რის შემდეგ ჩავიდა მაღაზიაში და ნახა, რომ 2 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი „ფინლანდია“ და „ჯეკ დენიელსი“ მართლაც არ იყო ადგილზე. მეორე თუ მესამე დღეს გადაახვია ვიდეოთვალის კადრები და ნახა თუ როგორ იპარავდნენ მისთვის უცნობი პირები ალკოჰოლურ სასმელებს, რის თაობაზეც აცნობა პოლიციას. ა. ც-ს განცხადებით, გ. მ-მ ზიანი ანაზღაურა და მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

3. მონმე ქ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს მოლარე-ოპერატორად ქ. მდებარე სუპერმარკეტში. ერთ დღეს (ზუსტი თარიღი არ ახსოვს) პროდუქტების საყიდლად მაღაზიაში შევიდა სამი ახალგაზრდა. მათი წასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ადგილზე აღარ იყო 2 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი, რის თაობაზეც აცნობა ა. ც-ს. ვიდეოჩანანერის ნახვის შემდეგ ამოიცნო გ. მ.

4. მონმე კ. ფ-ს ჩვენებით (უდავო მტკიცებულება) დადგენილია, რომ 2015 წლის 26 დეკემბერს, დაახლოებით 22:00 საათისათვის, ქ. მოპირდაპირედ, შეხვდა სამ ახალგაზრდას, რომელთაგან ერთი იყო მისი ნაცნობი – ლ. ფ., მას ახლდა ორი პირი, რომლებიც ლ-მ გააცნო. ერთ-ერთ მათგანზე უთხრა, რომ იყო გ. მ., ხოლო მეორის სახელი და გვარი არ დაამახსოვრდა, რადგან იყო ნასვამი. მათ გადაწყვიტეს ერთად დალევა. ამ სამ პირს უკვე შეძენილი ჰქონდა არაყი და ლუდი. იმავე ქუჩაზე, ე.წ. „ფანჩატურში“, დასხდნენ და დაიწყეს დალევა. შემდეგ სასმელი გაუთავდათ და მან, გ. მ-მ და უცნობმა პირმა ერთ-ერთ მაღაზიაში იყიდეს ერთი ბოთლი სასმელი, თუმცა ისიც დალიეს, რის შემდეგაც დაახლოებით ღამის პირველ საათზე შევიდნენ ა. მდებარე მაღაზიაში და შეიძინეს სხვადასხვა დასახელების პროდუქტი. მივიდნენ ისევ „ფანჩატურში“, სადაც ელოდებოდათ ლ. ფ., მაგიდაზე დააწყვეს ნაყიდი საჭმელი და ერთი ბოთლი დასალევინეს. უცნობმა პირმა, კიდევ ერთი ვისკი – 0.5-ლიტრიანი ბოთლი „ჯეკ დენიელსი“ დადო მაგიდაზე და თქვა, რომ ის მისგან იყო. გააგრძელეს დალევა. კვლავ გაუთავდათ ალკოჰოლური სასმელი. გადაწყვიტეს ისევ იმ მაღაზიაში შესვლა, სადაც მანამდე იყვნენ და დაახლოებით ღამის 6 საათზე გ. მ., ლ. ფ. და მათთან ერთად მყოფი მესამე პირი წავიდნენ მაღაზიაში, ზუსტად რომელში, მისთვის უცნობია. ისინი მალევე დაბრუნდნენ და

მოიტანეს ერთი 1.0-ლიტრიანი ვისკი – „ჯექ დენიელსი“ და 0.5- ლიტრიანი – „ფინლანდია“, ასევე – 1 ბოთლი ლიმონათი. მან იცოდა, რომ ეს ნივთები მათ შეიძინეს მაღაზიაში, ქურდობის ფაქტის შესახებ შეიტყო მხოლოდ გამომძიებლისგან.

5. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა საქმეზე მონმის სახით დაკითხულმა ლ. ფ-მ (უდავო მტკიცებულება). მან დამატებით განმარტა, რომ „ფანჩატურში“ ქეიფისას, როდესაც დაახლოებით ღამის 6 საათზე გადაწყვიტეს სასმლის კიდე შექენა, თვითონ, გ. მ. და მესამე – უცნობი პირი, მივიდნენ ბ. მდებარე სასურსათო მაღაზიაში. გ. მ. და მესამე პირი წავიდნენ სასმელების მხარეს, ხოლო იგი არჩევდა ძეხვს. ბიჭებმა წამოიღეს ალკოჰოლური სასმელები, კერძოდ – ერთი ბოთლი 1.0-ლიტრიანი ვისკი „ჯექ დენიელსი“ და 0.5-ლიტრიანი „ფინლანდია“, ასევე – 1 ბოთლი ლიმონათი. მან იცოდა, რომ ეს ნივთები მათ შეიძინეს მაღაზიაში და ქურდობის ფაქტის შესახებ შეიტყო მხოლოდ გამომძიებლისგან.

6. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დავალიერების ოქმების თანახმად, ქ. მდებარე სასურსათო მაღაზიის ვიდეოკამერის შიდა და გარე პერიმეტრების 2015 წლის 26 დეკემბრის ვიდეოჩანაწერში ჩანს ქ. მდებარე სასურსათო მაღაზიის შესასვლელი, სადაც შედის სამი პირი, შემდეგი აღწერილობით: პირს, რომელსაც აცვია ნაცრისფერი ზედა კაპიუშონით, ლურჯი შარვალი, მარჯვენა ხელზე გადაკიდებული აქვს შავი ქურთუკი, ფეხზე აცვია თეთრი სპორტული ფეხსაცმელი (დაუდგენელი პირი). მეორე პირი – აღნაგობით საშუალოზე მაღალი, მოშვებული წვერით, რომელსაც აცვია ლურჯი და ყავისფერი ფერებით განყოფილი ქურთუკი, ქურთუკის შიგნით აცვია ნაცრისფერი ზედა კაპიუშონით, ლურჯი შარვალი და შავი ფეხსაცმელი – არის გ. მ., მესამე პირი – საშუალო აღნაგობის მოშვებული წვერით, რომელსაც ახურავს შავი ნაქსოვი ქუდი, ქუდს წინ აქვს თეთრი წარწერა, აცვია შავი ქურთუკი, შავი ნაქსოვი სვიტერი, შავი შარვალი და შავი ფეხსაცმელი – არის ლ. ფ., აღნიშნული პირები ათვალეირებენ მაღაზიას, ხოლო ლ. ფ. რჩება შესასვლელში არსებულ დახლმაცივართან. მასთან მიდის გამყიდველი და ისინი საუბრობენ პროდუქტთან დაკავშირებით. გამყიდველი მას აჩვენებს სხვადასხვა პროდუქტს, ხოლო დაუდგენელი პირი და გ. მ. მიდიან სასმელების რიგში. გ. მ. დახლიდან იღებს ალკოჰოლურ სასმელს და აწვდის დაუდგენელ პირს, რომელიც მას მაღავს ქურთუკის უკან. რამდენიმე წამის შემდეგ გ. მ. კვლავ იღებს ალკოჰოლურ სასმელს და იღებს წელის არეში. შემდეგ მიდის ლიმონათის მაცივართან, საიდანაც იღებს ერთ ბოთლ ლიმონათს, ეძახის გამყიდველს, რათა მივიდეს სალაროსთან. აღნიშნული პირები ყიდულო-

ბენ სხვადასხვა დასახელების პროდუქტს, იხდიან ფულს ისე, რომ არ აჩვენებენ ალკოჰოლურ სასმელებს და გადიან მალაზიდან.

7. გ. მ-მ აღიარა ქურდობის ჩადენის ფაქტი, თუმცა მან უარყო დანაშაულის ჩადენა სხვა პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით.

8. წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვიდეოჩანაწერები (2 DVD დისკი) მხარეებმა ცნეს უდავო მტკიცებულებად. როგორც პირველ, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლო სხდომაზე უშუალოდ ჩანაწერის დემონსტრირება არ მომხდარა და ორივე ინსტანციის სასამართლომ შეაფასა დათვალიერების ოქმში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, რის საფუძველზეც განმარტეს შემდეგი: სათვალთვალო კამერიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერით ნამდვილად დადგენილია, რომ გ. მ. გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, ერთობლივად ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, თუმცა ხსენებული მტკიცებულებით სრულიად გაურკვეველია ამ პირებს შორის წინასწარი შეკავშირების არსებობა. მართალია, წინასწარ შეთანხმებაში აუცილებელი არ არის ქმედებას წინ უძღოდეს ხანგრძლივი პერიოდი თანამონაწილეთა მოლაპარაკებისათვის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად გაურკვეველია, დაუდგენელი ვინაობის პირმა იცის თუ არა იმის შესახებ, თუ რა თანხას იხდის მ. სასმელში.

9. საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს: ის ფაქტი, რომ ვიდეოჩანაწერი მხარეებმა უდავო მტკიცებულებად ცნეს, სასამართლოს არ ზღუდავს და არ ართმევს იმის უფლებას, რომ გამოიკვლიოს უშუალოდ ვიდეოჩანაწერი და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მისი დათვალიერების ოქმის გამოკვლევით. ამდენად, საკასაციო პალატამ დაათვალიერა ვიდეოჩანაწერები, რის შემდეგაც საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილად მიაჩნია, რომ გ. მ-მ ქურდობა ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

11. საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია (იხ. გადაწყვეტილება №618აპ-15 საქმეზე), რომ წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმე-

ბის არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – შესტებსა და მიმიკებში – გამოიხატოს.

12. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის მიერ გამოკვლეული ვიდეოჩანაწერებითა და საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება ის ფაქტი, რომ გ. მ. გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ახორციელებს ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას, კერძოდ:

13. ვიდეოჩანაწერებიდან დგინდება, რომ გ. მ., ლ. ფ. და დაუდგენელი პირი დაახლოებით დილის 6 საათზე ერთად შედიან ქ. მდებარე სასურსათო მაღაზიაში. ლ. ფ. რჩება შესასვლელში არსებულ დახლმაცივართან. მასთან მიდის გამყიდველი და ისინი საუბრობენ პროდუქტთან დაკავშირებით. გამყიდველი მას აჩვენებს სხვადასხვა პროდუქტს, ხოლო დაუდგენელი პირი გადის სასმელების რიგისკენ. რამდენიმე წამში მას უკან მიჰყვება გ. მ., ისინი ერთად მიდიან სასმელების რიგში და ერთად ჩერდებიან დახლთან, სანტიმეტრების დაშორებით. გ. მ. დგას მასზე ოდნავ წინ, სახით სასმელების დახლისკენ. შემდეგ ოდნავ შორდება სიღრმეში, უყურებს დაუდგენელ პირს და თან დახლიდან იღებს ბოთლს. დაუდგენელი პირი, რომელიც დგას გამყიდველისგან ზურგით, იყურება გ. მ-ს მიმართულებით. გ. მ. ბოთლით ხელში მოდის მასთან და ხელში აწვდის სასმელს. დაუდგენელი პირი ართმევს ბოთლს და მაღავს ქურთუკის უკან, რომელიც ხელში უჭირავს. შემდეგ გ. მ. კვლავ ბრუნდება სასმელების დახლისკენ, იხედება დაუდგენელი პირის მიმართულებით, იღებს ალკოჰოლურ სასმელს, მოდის ამ პირისკენ, ამავე დროულად მაღლა იწევს ნაცრისფერ კაპიუშონიან ზედას და ბოთლს მაღავს სამოსის ქვეშ – მუცლის არეში. ამ დროს უცნობი პირი ისევ იქ დგას და პირდაპირ უყურებს გ. მ-ს., გ. მ. მიდის ალკოჰოლური სასმელების მოპირდაპირე მხარეს, აღებს გამაგრილებელი სასმელების მაცივრის კარს და იღებს სასმელს (ლიმონათს). დაუდგენელი პირი მიჰყვება მას და დგება მის უკან. შემდეგ ისინი მიდიან სალაროსთან, დაუდგენელი პირი ქურთუკს აფარებს ბოთლს. ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან და თან ესაუბრებიან გამყიდველ გოგონას. გ. მ. და დაუდგენელი პირი რამდენიმე წამი დგანან სალაროსთან, ელაპარაკებიან გამყიდველ გოგონას, გ. მ. ამ დროს იხდის ლიმონათის საფასურს და ისე, რომ არ აჩენენ დახლიდან აღებულ ალკოჰოლურ სასმელებს, ერთად ტოვებენ მაღაზიას.

14. საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: გარდა იმისა, რომ ვიდეოჩანაწერებით აშკარად დასტურდება გ. მ-სა და დაუდგენელი პირის წინასწარ შეთანხმებული და ერთობლივი მოქმედება, რაც სრულიად გამორიცხავს მსჯავ-

რდებულის ვერსიას, რომ მან მარტომ მოიპარა ალკოჰოლური სასმელი, პალატა დამატებით ხაზს უსვამს მონმეების – ლ. და კ. ფების ჩვენებებს (უდავო მტკიცებულებები), რომლებითაც, დადგენილია, რომ გ. მ., ლ. ფ., კ. ფ. და გამოძიებით დაუდგენელი პირი ერთად სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს. მათ რამდენჯერმე გაუთავდათ სასმელი და ამ მიზნით, თავდაპირველად, სასმლის შესაძენად კ. ფ., გ. მ. და გამოძიებით დაუდგენელი პირი დაახლოებით ლამის პირველ საათზე წავიდნენ ა. მდებარე მაღაზიაში, ხოლო მოგვიანებით, 06:00 საათისკენ, იმავე მაღაზიაში წავიდნენ – ლ. ფ., გ. მ. და დაუდგენელი პირი. ორივე მონმის ჩვენებით დადასტურებულია, რომ გ. მ-მ და მესამე პირმა სუფრაზე მიიტანეს 1.0-ლიტრიანი ვისკი – „ჯექი დენიელსი“, 0.5-ლიტრიანი არაყი „ფინლანდია“ და აგრძელებს დალევას.

15. შესაბამისად, დადასტურებულია, რომ გ. მ. და დაუდგენელი პირი მთელი საღამო ერთად სვამდნენ და რამდენჯერმე ერთად წავიდნენ სასმლის მოსატანად. ისინი ერთად შედიან მაღაზიაში, გადიან ალკოჰოლური სასმელების დახლისკენ და შეთანხმებულად იწყებენ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას. მთელი ამ პროცესის განმავლობაში დაუდგენელი პირი პირდაპირ უყურებს, თუ როგორ იღებს დახლიდან ბოთლს გ. მ., აწვდის მას და მაღაზს ქურთუკის ქვეშ, შემდეგ ისევ უყურებს, თუ როგორ იღებს მეორე ბოთლს გ. მ. და მაღაზს სამოსის ქვეშ, რის შემდეგაც მიდიან სალაროსთან, გ. მ. იხდის ლიმონათის ფულს და გადიან მაღაზიიდან. შემდეგ ფანჩატურში აგრძელებენ დალევას. ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ გ. მ. და გამოძიებით დაუდგენელი პირი მოქმედებდნენ ერთობლივად, წინასწარი შეთანხმებით.

16. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საქმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ელ მასრი მაკედონიის წინააღმდეგ“ (El-Masri v the Former Yugoslav Republic of Macedonia, (GC), 13.12.2012) და „ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Hassan v the UK, ECtHR, (GC), 16.09.2014). საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო

მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს და-არწმუნებდა პირის ბრალეულობაში. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

17. ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის არგუმენტებს და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, მითითებული ვიდეოჩანაწერებითა და მოწმეთა ჩვენებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დასტურდება, რომ გ. მ-მ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

18. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა სასჯელის შეფარდებისას ითვალისწინებს დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, მსჯავრდებულის პიროვნებას, აგრეთვე იმ გარემოებებს, რომ მან აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, აანაზღაურა მიყენებული ზიანი და დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია და მიაჩნია, რომ მას უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან მურვანიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული გ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. მსჯავრდებულ გ. მ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაენციოს დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან;

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 იანვრის განჩინებით გ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდეს და გირაოს სახით გადახდილი თანხა – 3 000 (სამი ათასი) ლარი (დასტური №...) დაუბრუნდეს მის შემტანს – მ. ფ-ს (პირადი ნომერი ...) – განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში;

6. ნივთმტკიცება – გ. მ-ს ტანსაცმელი დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს საქმეზე საბოლოო გადანაცვტილების მიღების შემდეგ;

7. ნივთმტკიცება – ა. ც-ს მიერ წარმოდგენილი ვიდეოთვალის ჩანაწერები 2 DVD დისკზე, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით;

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

ხულიბნოვა, ჩადენილი იარაღად სხვა საგნის გამოყენებით

განაჩენი საქართველოს სახელით

№435აპ-18

15 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ირაკლი ქარდავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. ა-ს ბრალი დაედო ხულიგნობაში, ე.ი. ქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 6 დეკემბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, ქ. მდებარე საბილიარდო „პ-ში“, ნასვამმა გ. ა-მ წინასწარი შეთანხმებით ს. ხ-თან, შ. ჯ-სთან, ზ. ბ-სა და ი. პ-სთან ერთად, უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რომლის დროსაც მათ გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს საბილიარდოში მყოფ პირებს და ფიზიკურად გაუსწორდნენ კ. ა-ს. ამის გამო საბილიარდომ შეწყვიტა ფუნქციონირება და დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი. გ. ა-სა და მისი თანამონაწილე პირების ქმედებით კ. ა-ს მიადგა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით.

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ს. ხ-ს

ბრალი დაედო ხულიგნობაში, ე.ი. ქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 6 დეკემბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, ქ. მდებარე საბილიარდო „პ-ში“, ნასვამმა ს. ხ-მ ბილიარდის ჯოხის – კიის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით გ. ა-სთან, შ.ჯ-სთან, ზ. ბ-სა და ი. პ-სთან ერთად, უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რომლის დროსაც მათ გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს საბილიარდოში მყოფ პირებს და ფიზიკურად გაუსწორდნენ კ. ა-ს. ამის გამო საბილიარდომ შეწყვიტა ფუნქციონირება და დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი. ს. ხ-ისა და მისი თანამონაწილე პირების ქმედებით კ. ა-ს მიაღდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით გ. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

გ. ა., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 (ოთხი ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გ. ა-ს შეფარდებული სასჯელი დაკავების ვადის გათვალისწინებით 2015 წლის 7 დეკემბრიდან – 2015 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, შეუმცირდა 200 (ორასი) ლარით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3800 (სამი ათას რვაასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ს. ხ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ს. ხ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი

დი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 6000 (ექვსი ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ს. ხ-ს შეფარდებული სასჯელი დაკავების ვადის გათვალისწინებით, 2015 წლის 7 დეკემბრიდან – 2015 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით, შეუმცირდა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 5750 (ხუთი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ირაკლი ქარდავამ და მსჯავრდებულ ს. ხ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. წ-მ.

ბრალდების მხარემ საჩივრით ითხოვა გ. ა-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ს. ხ-ს – საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირება და კანონით გათვალისწინებული უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრა შემდეგი საფუძველებით: გ. ა-სა და ს. ხ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით; გამოკვლეული მტკიცებულებებით აშკარაა, რომ გ. ა. და ს. ხ. მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად; მათ დანაშაული ჩაიდინეს იარაღად სხვა საგნის, კერძოდ, ბილიარდის ჯოხის – კიის გამოყენებით და დაზარალებულ კ. ა-ს მიაყენეს დაზიანებები; დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბილიარდის ჯოხის ფრაგმენტის გამოყენებით დაზარალებული ვერ მიიღებდა იმაზე მეტ ზიანს, ვიდრე მიიღო მუშტით ან/და წიხლით; ქმედების საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით კვალიფიკაციისთვის არ არის აუცილებელი თუ ჯანმრთელობის რომელი ხარისხის დაზიანება არის გამოკვეთილი, მთავარია, რომ პირი იარაღად სხვა საგნის გამოყენებით ახორციელებდეს ქმედების შემადგენლობას. საკმარისია იარაღად სხვა საგნის გამოყენებით განხორციელებული ძალადობის მუქარაც, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, რათა ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენით ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ირაკლი ქარდავას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; მსჯავრდებულ ს.

ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. წ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ასევე არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტომბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

გ. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

გ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 (ოთხი ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გ. ა-ს შეფარდებული სასჯელი დაკავების ვადის გათვალისწინებით, 2015 წლის 7 დეკემბრიდან – 2015 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, შეუმცირდა 200 (ორასი) ლარით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3800 (სამი ათას რვაასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ა-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს სახით შეტანილი თანხა სრულად უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს კანონით დადგენილი წესით და ვადებში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ს. ხ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ს. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად.

ს. ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს სახით შეტანილი თანხა სრულად უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს კანონით დადგენილი წესით და ვადებში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქმეზე დართული საგნები და ნივთები: დაქტილობარათები 1 პაკეტად, რომლებიც ინახება ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-2 განყოფილებაში, უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით; ბილიარდის სათამაშო ფოხის ფრაგმენტები, რომლებიც ინახება ქ. უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით; ს. ხ-ს და გ. ა-ს ტანსაცმელი, რომელიც ინახება ქ. უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს ან სათანადო ნდობით აღჭურვილ პირებს; ე. ფ-სგან ამოღებული ვიდეოჩანაწერი, 1 დივიდი დისკზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად მისი შენახვის ვადით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ირაკლი ქარდავამ. კასატორი საჩივრით ითხოვს გ. ა-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ს. ხ-ის – საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირებას და კანონით გათვალისწინებული უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრას სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ირაკლი ქარდავას საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტაციას, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართალია, გ. ა. და ს. ხ. ერთობლივად ახორციელებდნენ ხულიგნურ ქმედებას, მაგრამ წინასწარი შეთანხმება მათ შორის დანაშაულის ჩადენის დაწყებამდე არ არსებობდა.

3. საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

4. საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია (იხ. გადანყვეტილება №618აპ.-15 საქმეზე), რომ წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – შესტებსა და მიმიკებში – გამოიხატოს.

5. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაცვის მხარემ სადავოდ არ გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რის გამოც სასამართლომ ისინი საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის საფუძველზე, გამოკვლევის გარეშე მიიღო მტკიცებულებად და მათ მიენიჭა პრეიუდიციული ძალა, მაგ-

რამ აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით, არცერთი მოწმის, მათ შორის – დაზარალებულ კ. ა-ს ჩვენებით, საბილიარდოს სათვალთვალო ჩანაწერებითა და ამ ჩანაწერების დათვალთვალის ოქმებით არ დგინდება, რომ გ. ა. და ს. ხ., აგრეთვე მათი თანმხლები პირები მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით.

6. შესაბამისად, ამ ნაწილში უსაფუძვლოა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, ხოლო რაც შეეხება პროკურორის არგუმენტებს, რომ ს. ხ-მ ხულიგნობა ჩაიდინა, მაკვალიფიცირებელ გარემოებაში, კერძოდ, იარაღად სხვა საგნის – ბილიარდის ჯოხის – კიის ფრაგმენტის გამოყენებით, მითითებულ ნაწილში საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას და არ ეთანხმება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ბილიარდის ჯოხის – კიის ფრაგმენტი, რომლითაც ს. ხ. გაუსწორდა კ. ა-ს, ვერ იქნება მიჩნეული ხულიგნური ქმედების ჩასადენად სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ იარაღად გამოყენებულ სხვა საგნად, ვინაიდან დაზარალებული ბილიარდის ჯოხის ფრაგმენტით ვერ მიიღებდა იმაზე მეტ ზიანს, ვიდრე მიიღო მუშტით ან/და წიხლით, მითუფრო იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტიზის დასკვნითაც არ დასტურდება, რომ რომელიმე (უფრო მძიმე) დაზიანება დაზარალებულმა მიიღო ბილიარდის ჯოხის ფრაგმენტის გამოყენებით.

7. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ამავე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ხულიგნობის ჩამდენი ძალადობას ან ძალადობის მუქარას სჩადის ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით. იარაღად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ საგანი, რითაც შეიძლება ადამიანი ან ქონება დაზიანდეს, მაგალითად: ცივი იარაღი, რკინის ჯოხი, დიდი ქვა და სხვა, ბუნებრივია, მათ შორის – ბილიარდის ჯოხიც. წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია და უდავოა, რომ მსჯავრდებულმა ს. ხ-მ დაზარალებულს რამდენჯერმე დაარტა ბილიარდის ჯოხის ფრაგმენტი. საკასაციო პალატა განმარტავს: ამ დანაშაულის მითითებული მაკვალიფიცირებელი გარემოების შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ პირი ძალადობის ჩადენისას (ან ძალადობის მუქარისას) იყენებდეს ცეცხლსასროლ იარაღს ან იარაღად სხვა საგანს და მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, თუ რა სახის დაზიანება მიიღო, ან საერთოდ მიიღო თუ არა პირმა დაზიანება ამ ქმედების შედეგად.

შესაბამისად, დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე ძალადობას ან ძალადობის მუქარას სჩადის ცეცხლსასროლი იარაღისა თუ სხვა საგნის გამოყენებით.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ა-ს მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო მსჯავრდებულ ს. ხ-ს მიმართ უნდა შეიცვალოს, კერძოდ: იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად ადგენს იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაიცვალა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მსჯავრდებული ს. ხ. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე გარდაიცვალა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ირაკლი ქარდავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ს. ხ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის მე-3 ნაწილზე;

4. მსჯავრდებული ს. ხ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამნაშაულის ჩადენაში სასჯელის დაუნიშნავად;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ნარკოტიკული დანაშაული

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობა

განაჩენი საქართველოს სახელით

№407აპ-18

28 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს ინ-ტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ქ-ს და ჯ. ქ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ა. მ. ბ-ს ბრალი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნასა და შენახვაში; ასევე – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობაში.

ნ-ს მოქალაქე ა. მ. ბ-ს თავის სახელზე რეგისტრირებული ჰქონდა გადამზიდავი კომპანია – შპს „A.“, რომელსაც 2016 წლის ივნისში ი-დან ჰ-ში უნდა გადაეზიდა ბრინჯი. ტვირთის გადაზიდვა უნდა მომხდარიყო ა. მ. ბ-ს საკუთრებაში არსებული სანეგარას (ნ-ს სახ. №...) მისაბმელით (სახ. №...), რომელშიც მოწყობილი იყო სპეციალური სამალავი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ს. სატრანზიტო გზით ნ-ს სამეფოში შენიღბულად გადაზიდვის მიზნით.

2016 წლის 10 ივნისს ა. მ. ბ-მ თ-სთან მდებარე სატვირთო ავტომანქანების ავტოსადგომიდან წამოიყვანა თავის საკუთრებაში არსებული ხსენებული სანეგარა, რომლის მისაბმელის იატაკში სპეციალურად მოწყობილ სამალავში მოთავსებული იყო 356 (სამას ორმოცდათექვსმეტი) ცალ ბრიკეტად დაფასოებული ფხვნილი – კუსტარული ნესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჭერი-

ნი“, რომელიც მას უნდა გადაეზიდა ს. სატრანზიტო გზით ნ-ს სამეფოში.

2016 წლის 13 ივნისს, საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბ-ს პ-ს საბაჟო კონტროლის ზონიდან ამოიღეს ა. მ. ბ-ს საკუთრებასა და მისი მართვის ქვეშ მყოფი საწვავარას (ნ-ს სახ. №...) მისაბმელიდან (სახ. №..) საბაჟო ინსპექტირების დროს, აღმოაჩინეს 356 (სამას ორმოცდათექვსმეტი) ცალ ბრიკეტად დაფასოებული ფხვნილი, რომელიც წარმოადგენს კუსტარული წესით დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალებას „ჰეროინის“ შემცველ ნარევეს, საერთო წონით – 177 750.8 გრ (177 კგ 750.8 გრ), რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ წონაა – 96 598.67 გრ (96 კგ 598.67 გრ).

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენით ა. მ. ბ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

ა. მ. ბ., – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. მ. ბ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 (ხუთი) წლით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო, 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

ა. მ. ბ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2016 წლის 13 ივნისიდან.

ნივთიერი მტკიცებულებები:

ნარკოტიკული საშუალებები, ნარკოტესტი, ტვირთის გადაზიდვის დოკუმენტები და პნევმატური მექანიზმის მქონე რკინის ხუფი უნდა განადგურდეს;

ა. მ. ბ-ს საკუთრებაში არსებული საწვევარა (ნ-ს სახ. №...), მისაბმელი (სახ. №...), მასში მოთავსებული ტვირთი – 9 (ცხრა) ტონა ბრინჯი, ფულადი თანხა – საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, უნდა ჩამოერთვას და უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს;

ა. მ. ბ-ს მობილური ტელეფონი და პასპორტი უნდა გადაეცეს მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ჩათვალა შემდეგი: ნ-ს მოქალაქეს – ა. მ. ბ-ს თავის სახელზე რეგისტრირებული ჰქონდა გადამზიდავი კომპანია – შპს „A.“, რომელსაც 2016 წლის ივნისში ი-დან ჰ-ში უნდა გადაეზიდა ბრინჯი. ტვირთის გადაზიდვა უნდა მომხდარიყო ა. მ. ბ-ს საკუთრებაში არსებული საწვევარას (ნ-ს სახ. №...) მისაბმელით (სახ. №...), რომელშიც მონყობილი იყო სპეციალური სამალავი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ს. სატრანზიტო გზით ნ-ს სამეფოში შენიღბულად გადაზიდვის მიზნით. 2016 წლის 13 ივნისს, ბ-ს პორტის საბაჟო კონტროლის ზონაში, საბაჟო ინსპექტირების დროს, აღმოაჩინეს საწვევარას მისაბმელის იატაკში სპეციალურად მონყობილი სამალავი და მასში მოთავსებული, 356 (სამას ორმოცდათექვსმეტი) ცალ ბრიკეტად დაფასოებული ფხვნილი – კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ნარევი, საერთო წონით – 177 750.8 გრ (177 კგ 750.8 გრ), რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ წონაა – 96 598.67 გრ (96 კგ 598.67 გრ).

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – მ. ქ-მ და ჯ. ქ-მ. აპელანტებმა საჩივრით ითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უტყუარად არ დასტურდება მსჯავრდებულის მიერ ნარკოტიკული საშუალებების საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობის ფაქტი. სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა – მ. ლ-მ, ი. ს-მ, ბ. ნ-მ, უ. დ-მ და რ. ბ-მ სასამართლოს მისცეს ჩვენებები მათ მიერ ჩატარებული შემონმების შესახებ, მაგრამ ამოღებული ნარკოტიკული საშუალების წარმომავლობასთან დაკავშირებით და მსჯავრდებულის მასთან კავშირის შესახებ ვერაფერს განმარტავენ. მსჯავრდებულის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის დროს ამოღებული დოკუმენტაციით, ტელეფონისა და „ნოუტბუქის“ დათვალიერებით არ დგინდება მსჯავრდებულის კავშირი ჩადენილ დანაშაულთან. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მისი მანქანიდან ამოღებული იყო ნარკოტიკული საშუალება, არ ადასტურებს, რომ ნარკოტიკი ეკუთვნის მსჯავრდებულს, მითუფრო მაშინ, რო-

დესაც ავტომანქანას დაახლოებით ერთი თვის მანძილზე განკარგავდნენ სხვა პირები. კერძოდ, მოწმე ს. ე-ს და მსჯავრდებულის ჩვენებებით დადგენილია, რომ კომპანიის წარმომადგენელი ა. ო. იმყოფებოდა ი-ში, აკონტროლებდა მანქანის გადაადგილებას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის განკარგავდა მსჯავრდებულის საკუთრებაში არსებულ მანქანას. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ სამალავის აღმოჩენა მისაბმელზე ვიზუალური დათვალიერებით შეუძლებელი იყო.

ამასთანავე, განაჩენი ემყარება კანონის უხეში დარღვევით მოპოვებულ ერთადერთ მტკიცებულებას – ამოღების ოქმს, რითაც ასევე არ დასტურდება ამოღებული ნარკოტიკის მსჯავრდებულთან კავშირი. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების ამოღების დროს უხეშად დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნები. აპელანტები მიუთითებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელშიც განმარტებულია, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ბინის თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრის და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – მ. ქ-მ და ჯ. ქ-მ. კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვენ მსჯავრდებულის გამართლებას შერაცხულ ბარლებებში სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ქ-ს და ჯ. ქ-ს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოწმე მ. ლ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2016 წლის 10 ივნისს მისმა სამსახურმა დააფიქსირა საეჭვო გადაზიდვა, კერძოდ, ავტომანქანა (სახ. №...) მისაბმელით (სახ. №...), რომელიც, მძღოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით, დატვირთული იყო დაახლოებით ცხრა ტონამდე ბრინჯითა და ი-დან ა-ს გავლით მოდიოდა საქართველოში, უ-ს გავლით ჰ-ში გადასასვლელად. ასეთი მარშრუ-

ტი პირველად იყო დაფიქსირებული, საექვო იყო ტვირთის სახეობაც, ვინაიდან მისი ასეთ დიდ მანძილზე ტრანსპორტირება აჭარბებდა ტვირთის თვითღირებულებას. საექვო მანქანისა და ტვირთის შემონმების მიზნით წავიდა ბ-ს პორტში, რადგან მისთვის ცნობილი იყო, რომ ავტომანქანა ტვირთით უნდა გასულიყო ბ-ს პ-დან საზღვაო ბორნით. 2016 წლის 12 ივნისს, საღამოს საათებში, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ბ-ს პ-ში“ მართლაც შევიდა ნ-ს მოქალაქე ა. მ. ბ., რომელიც მართავდა ავტომანქანას, სახ. №..., მისაბმელით, სახ. №... მას პ-ში მიჰქონდა 8 985 კგ ბრინჯი. ვინაიდან ავტომანქანა და ტვირთი მიიჩნეის საექვოდ, საბაჟო გამშვები პუნქტის „ბ-ს პ-ს“ თანამშრომლებმა მანქანა და მასში არსებული ტვირთი დასკანერების მიზნით გადაიყვანეს ადლიის სტაციონარულ სკანერზე. დასკანერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მისაბმელის ძარის ქვედა ნაწილში იყო სამალავი, რის გამოც იგი დაათვალიერეს. სამალავი, რომელსაც ჰქონდა ლითონის ხუფი პნევმატური მექანიზმით, გაიხსნა ელექტროხერხის გამოყენებით, რის შედეგადაც მასში აღმოჩნდა 356 ცალი ვერცხლისფერი ბრიკეტი. ერთ-ერთი ბრიკეტიდან ამოღებული ნიმუშის სპეციალური ტესტით შემონმებისას დადინდა, რომ აღმოჩენილი ნივთიერება შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალებას „ჰეროინს“.

3. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მოწმის სახით დაკითხვისას ი. ს-მ. მანვე განმარტა, რომ ერთ-ერთი ბრიკეტიდან ამოღებული ნიმუშის სპეციალური ტესტით შემონმების შედეგად დადგინდა ბრიკეტებში მოთავსებულ ნივთიერებაში ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ არსებობა. 356 ცალი ბრიკეტი, სამალავის ხუფი და ჩატარებული ტესტი შეიფუთა და დაილუქა საბაჟო ლუქით, რაც შემდეგ გადაეცა გამომძიებელს.

4. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ბ. ნ-მ, უ. დ-მ და რ. ბ-მ.

5. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ავტომანქანაზე საბაჟო კონტროლის პროცედურები ჩატარდა ა. მ. ბ-ს თანდასწრებით, რომელსაც წინააღმდეგობა არაფერზე გაუწევია, არც მათი მიმდინარეობისას გაუპროტესტებია და არც შედეგზე განუცხადებია რაიმე.

6. სატრანსპორტო საშუალებების შემონმების ოქმით, დადგენილია, რომ 2016 წლის 13 ივნისს ქ. ბ-ში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო რისკების სამმართველოს მთავარმა ანალიტიკოსმა მ. ლ-მ, ს.გ.პ. „ბ-ს პ-ს“ უფროსმა ი. ს-მ, ცვლის უფროსმა ბ. ნ-მ, მებაჟე-ოფიცრებმა – რ. ბ-მ და უ. დ-მ შეამოწმეს „ივეცო-ს“ მარკის ნახევრადმისაბმელიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება – სახ. №... – და მასში არსებული ტვირთი, რომელსაც მართავდა პ-ს მოქალაქე ა. მ. ბ., რის შედეგა-

დაც გამოვლინდა შემდეგი: ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც დატვირთული იყო 8 985 კგ ბრინჯით და გადაადგილდებოდა ი-დან ჰ-ის მიმართულებით, ა-სა და საქართველოს გავლით, ს.გ.პ. „ბ-ს პ-ში“ შევიდა 2016 წლის 12 ივნისს, 19:11 საათზე, ბორან „გ-თ“ ქვეყნის დატოვების მიზნით. საფუძვლიანი ეჭვის ნიადაგზე, ა/სატრანსპორტო საშუალება გადაიყვანეს სატვირთო რენტგენ-სკანერზე, სადაც აღმოჩნდა, რომ მისაბმელის ძარაში, გამწვევთან ბმის ადგილზე, სავარაუდოდ, მოწყობილი იყო სამალავი. აღნიშნულ ადგილის დეტალური ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ძარის ნაწილი შედგებოდა ორმაგი კედლებისგან, რომლის ხუფზე დამონტაჟებული იყო სპეციალური (სავარაუდოდ, პნევმატური), საკეტიანი სამალავი. ხუფის ელექტრომჭრელით გაჭრის შემდეგ სამალავიდან ამოიღეს დაახლოებით 530-გრამიანი, 356 ბრიკეტად დაფასოებული, ფხვნილისებრი ნივთიერება, რომლებიც დაინომრა 1-დან 356-ის ჩათვლით. აქედან №356 ბრიკეტი გაიხსნა, აიღეს სინჯი და შემოწმდა ნარკოტესტზე, რის შედეგადაც გაირკვა, რომ აღნიშნული ნივთიერება, სავარაუდოდ, იყო ნარკოტიკული საშუალება („ჰეროინი“). №356 და სხვა ბრიკეტები, ნარკოტესტი და სამალავის პნევმატური ხუფი დაილუქა საბაჟო ლუქით პოლიეთილენის პარკებში. ოქმის სისწორე დაადასტურეს შემოწმებაში მონაწილე ზემოაღნიშნულმა პირებმა და თვითონ მ. ბ-მ, რომელსაც ოქმი უთარგმნა თარჯიმანმა.

7. ამოღების ოქმით დადგენილია, რომ 2016 წლის 13 ივნისს, 15:15 დან – 16:30 სთ-მდე პერიოდში გამოძიებულმა ი. ს-მ ქ. ბ-ში, ბ-ში არსებული ს.გ.პ. „ბ-ს პ-ს“ საბაჟო კონტროლის ზონაში, ცვლის უფროს ბ. ნ-საგან, ექსპერტ ბ. ა-ს მონაწილეობით, ამოიღო ბ. ნ-ს მიერ შედგენილი სატრანსპორტო საშუალების შემოწმების ოქმის ასლი – 3 (სამ) ფურცლად; დოკუმენტაცია ტვირთის შესახებ – 27 (ოცდაშვიდ) ფურცლად; ასევე – საბაჟო ლუქებით დალუქული, ავტომანქანის, სახ. №..., მისაბმელის, სახ. №..., საბაჟო ინსპექტირების დროს აღმოჩენილი 356 ცალი ე. წ. „ბრიკეტის“ შემცველი 4 (ოთხი) ტომარა, გამოყენებული ნარკოტესტი და სამალავის პნევმატური მოწყობილობის მქონე ხუფი. ამოღებული ნივთები, გარდა დოკუმენტაციისა, შეიფუთა და დაილუქა შსს №19 ლუქებით კანონით დადგენილი წესით. ოქმს თვალსაჩინოებისათვის ერთვის საგამოძიებო მოქმედებისას ფოტოაპარატით გადაღებული 45 (ორმოცდახუთი) ფოტოსურათი და ფოტოკადრების შემცველი CD დისკი.

8. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადასტურებულია, რომ 2016 წლის 13 ივნისს ა. მ. ბ-ს მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანის მისაბმელის (სახ. №...) საბაჟო ინსპექტირების დროს აღ-

მოჩენილი: 356 ცალი ბრიკეტის შიგთავსი, მოყვითალო-მოყავისფრო, „ოპიუმისათვის“ დამახასიათებელი, მძაფრი სპეციფიკური სუნის მქონე ფხვნილისებური ნივთიერება, დაპრესილი სახით, საერთო წონით 177 750,8 გრამი (177 კგ, 750,8 გრ), წარმოადგენს კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჭერიონის“ შემცველ ნარევს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჭერიონის“ წონა შეადგენს – 96 598,67 გრამს (96 კგ, 598,67 გრ). აღნიშნული დასკვნის სისწორე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა ნ. ნ-მ, ა. დ-მ, გ. ქ-მ და თ. უ-მ.

9. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ავტომანქანის (სახ. №...) მისაბმელზე (სახ. №...) არსებულ სათავსს აღენიშნება კუსტარული წესით დამზადება-გადაკეთების კვალი; სათავსი დამზადებულია კუსტარული წესით. აღნიშნული დასკვნის სისწორე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ლ. შ-მ.

10. მოწმე ს. ე-ს გამოკითხვის ოქმით დადგენილია, რომ იგი არის თ-ს მოქალაქე და მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ქ. ბ-ში. მუშაობს მძლოლად, იღებს კერძო შეკვეთებს და სხვისი სატვირთო მანქანით გადააქვს ტვირთი, ძირითადად, აზიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. 2016 წლის 12 მაისს თ-ს შემოვლით გზაზე მდებარე ე. ნ. „ტირპარკში“ გაიცნო ეროვნებით თურქი, ვინმე ა., რომელმაც 500 აშშ დოლარის სანაცვლოდ შესთავაზა იქვე მდგარი, „ივეკოს“ მარკის, ჰ. სარეგისტრაციო ნომრების მქონე ავტომანქანით თ-სიდან ი-ს ქ. თ-ში ტვირთის ჩატანა. მანქანა დალუქული იყო, მისაბმელს საბაჟო ლუქი ედო. როგორც ა-სგან შეიტყო, ი-ში კარები უნდა გადაეტანათ, რასაც დასთანხმდა და მასთან ერთად, ზემოაღნიშნული ავტომანქანით, ჯერ ს.გ.პ. „ნ. ხ-ს“ გავლით – ა-ში, შემდეგ კი ს.გ.პ. „ა-ს“ გავლით ი-ში გადავიდა. 19 მაისს ჩავიდნენ ქ. თ-ში, სადაც ტვირთის, კარების, ჩამოცლის შემდეგ ტირპარკში მანქანა ა-ს დაუტოვა. მოწმემ ასევე აღნიშნა: მას ა-თან საუბრისას საეჭვოდ ეჩვენა ის გარემოებები, რომ იგი ი-ში. ქ. უ-ში, რომელიც ცნობილია, როგორც საშიში და ნარკოტიკებით მოვაჭრე ქალაქი, ხურმის ყიდვას აპირებდა ჰ-ში ჩასატანად. ამასთან, ი-ში შესვლისას დანიშნულების ადგილად, ქ. თ-ს ნაცვლად, ქ. უ-ს მითითებას სთხოვდა, რასაც არ დასთანხმდა, რადგან იქ ჩასვლაზე წინასწარ არ შეთანხმებულან.

11. საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის სამმართველოდან მოპოვებული ინფორმაციით დასტურდება, რომ 2016 წლის 11 მაისს ა. მ. ბ. შემოვიდა საქართველოში თავის საკუთრებაში არსებული ავტომანქანითა (სახ. №...) და

მისაბმელით (სახ. №...). 2016 წლის 13 მაისს ა. მ. ბ-ს ზემოაღნიშნულმა ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა ს. ე. დატოვა საქართველოს ტერიტორია ს.გ.პ. „ნ. ხ-ს“ გავლით. 2016 წლის 10 ივნისს ა. მ. ბ-ს ზემოაღნიშნულმა ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა ს. ო., ს.გ.პ. „ნ. ხ-ს“ გავლით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი.

12. მსჯავრდებულმა ა. მ. ბ-მ სააპელაციო სასამართლოში განმარტა, რომ თავს არ ცნობს დამნაშავედ, გამოძიების დროს აღიარებითი ჩვენება მისცა პოლიციის თანამშრომელ „მ-ს“ რჩევით, პასუხიმგებლობის შემსუბუქების მიზნით. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მანქანა და მისაბმელი მის სახელზეა გაფორმებული, არ უარყოფს, თუმცა მისაბმელი არის დ-ს და მის სახელზე დარეგისტრირდა იმიტომ, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო გადაზიდვა. ამასთან, ვიზა ი-ში ვერ აიღო იმ მიზეზით, რომ მას დ-მ არ მისცა გადმოტვირთვის მისამართი ი-ში, რაც სპეციალურად გააკეთა, ვინაიდან არ სურდა, რომ ის ი-ში წასულიყო. შემდეგ კი დ-მ შესთავაზა თავისი ბიძაშვილი ა., რადგან თ-ს მოქალაქეებს ი-ში ვიზა არ სჭირდებათ. ა. ი. იყო ცუდი მძღოლი, ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ა. გადაზიდავდა თ-იდან ტ-ში და უკან, დანარჩენ გზას თვითონ გაივლიდა. ამ მიზნით იყო საქართველოში. მსჯავრდებულმა ასევე აღნიშნა, რომ თავდაპირველად ეს მარშრუტი უ-ს გავლით იყო დაგეგმილი, თუმცა უ-ში მიმდინარე საომარი ვითარების გამო გადაწყდა ჰ-ში საქართველოს გავლით წასვლა. მსჯავრდებულის განმარტებით, მისთვის უნდა გადაეხადათ ფიქსირებული თანხა, ამიტომ მანქანა დატვირთული იქნებოდა თუ არა, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამასთან, უკანა გზაზე მარშრუტი არანაკლებ მომგებიანია.

13. საკასაციო პალატა, მართალია, სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომელმაც არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ ა. მ. ბ-მ არაფერი იცოდა მის სატრანსპორტო საშუალებაში არსებული სამალავისა და მისი შემცველობის შესახებ, თუმცა არ ეთანხმება შერაცხული ბრალდების კვალიფიკაციას შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატას, ისევე როგორც სააპელაციო პალატას, წარმოდგენილი საქმის მასალებით დადასტურებულად მიაჩნია ის, რომ მსჯავრდებულმა ნამდვილად იცოდა მისსავე ავტომანქანაში არსებული სამალავისა და მასში ნარკოტიკული ნივთიერებების მოთავსების შესახებ, კერძოდ:

14. საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით დასჯადია ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა. საერთაშორისო ტრანზიტში იგულისხმება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ფიზიკურ პირთა, ტვირთის ან სატრანსპორტო საშუალებათა მსვლელობა. საერთაშორისო ტრანზიტით არის გზის ნაწილი, რომელიც იწყება და მთავრდება ამ სახელ-

მნიფოს ფარგლებს გარეთ. „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს კონვენციის პირველი მუხლის (u) ქვეპუნქტის თანახმად, „სატრანზიტო სახელმწიფო“ ნიშნავს სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიის გავლითაც გადააქვთ უკანონო ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები და რომელიც არც მათი წარმომავლობის ადგილია და არც მათი საბოლოო დანიშნულების ადგილი“, ხოლო ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვა (გადატანა) „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჩ“ პუნქტის თანახმად, არის „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება ნებისმიერი საშუალებით, მისი განმკარგავის ან მფლობელის მიერ“.

15. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს თავის სახელზე რეგისტრირებული ჰქონდა გადამზიდავი კომპანია – შპს „A.“, რომელსაც 2016 წლის ივნისში ი-დან ჰ-ში უნდა გადაეზიდა ბრინჯი. ტვირთი უნდა გადაზიდულიყო ა. მ. ბ-ს საკუთრებაში არსებულ სატვირთო ავტომანქანით (სახ. №...) და მისაბმელით (სახ. №...), რომელშიც მოწყობილი იყო სამალავი ნარკოტიკის შენიღბულად გადაზიდვის მიზნით.

- 2016 წლის 11 მაისს ა. მ. ბ. შემოვიდა საქართველოში მითითებული ავტომანქანითა და მისაბმელით. 2016 წლის 13 მაისს ა. მ. ბ-ს ზემოაღნიშნულმა ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა ს. ე. დატოვა საქართველოს ტერიტორია ს.გ.პ. „წ. ხ-ს“ გავლით, ხოლო ა. მ. ბ. გაემგზავრა ნიდერლანდებში.

- 2016 წლის 8 ივნისს ა. მ. ბ. დაბრუნდა საქართველოში, ხოლო იმავე წლის 10 ივნისს მისმა კუთვნილმა სატვირთო ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა ს. ო., ს.გ.პ. „წ. ხ-ს“ გავლით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ავტომანქანა გააჩერა ავტოსადგომზე.

- 2016 წლის 12 ივნისს ა. მ. ბ. ამ ავტომანქანით გაემართა ბ-ს პ-სკენ, ხოლო იმავე წლის 13 ივნისს, ბ-ს პ-ს საბაჟო კონტროლის ზონაში, საბაჟო ინსპექტირების დროს, მეზაჟე-ოფიცრებმა მისაბმელის იატაკში აღმოაჩინეს სამალავი და მასში მოთავსებული, 356 ცალიად დაფასოებული ფხვნილი – კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ნარევი.

16. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, დოკუმენტურად დადასტურებულ იმ ფაქტს პალატაც დადგენილად მიიჩნევს, რომ 2016 წლის ივნისში ი-დან ჰ-ში ა. მ. ბ-ს საკუთრებაში არსებული საწვავ-

რას (ნ-ს სახ. №...) მისაბმელით (სახ. №...) უნდა გადაეზიდა ბრინჯი მისსავე სახელზე რეგისტრირებული კომპანიის – შპს „A.“ მეშვეობით, თუმცა იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ტვირთის (ბრინჯის) წამოსაღებად ა. მ. ბ. ფიზიკურად ვერ ჩავიდა ი-ში (უარი ეთქვა ი-ს ვიზაზე) და საქართველოში ჩამოვიდა 2016 წლის 8 ივნისს, მანამ, სანამ მისი კუთვნილი საწვავარა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს გადმოკვეთდა; შემდეგ, იმავე წლის 10 ივნისს, მისმა ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა არა ა. მ. ბ., არამედ – ს. ო., უპრობლემოდ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი ს.გ.პ. „ნ. ხ-ს“ გავლით; საწვავარა 2016 წლის 10 ივნისიდან – იმავე წლის 12 ივნისის შუალედში განთავსებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ავტოსადგომზე – არ არსებობს არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, თუ სად, რომელ ქვეყანაში და როდის განთავსდა ავტომანქანის სამალავში ნარკოტიკული ნივთიერება.

17. რაც შეეხება ა. მ. ბ-ს მიერ გამოძიებაში მიცემულ აღიარებით ჩვენებას, როდესაც მან წარდგინებულ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ და განმარტა ტვირთის გადაზიდვის დეტალები, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვერ იმსჯელებს და შეაფასებს მას, რადგან 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ა. მ. ბ. დაიკითხა და მან თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგინებულ ბრალდებაში. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს სსსკ-ის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული წინააღმდეგია, საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაცია სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაიკითხონ, მისი მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. ამასთან, სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 74-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. მოცემულ შემთხვევაში, გარდა ა. მ. ბ-ს მიერ გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენებისა, რომელსაც საკასაციო პალატა ვერ დაეყრდნობა, არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მან ნარკოტიკული საშუალება საწვავარას სამალავში განათავსა ი-ს რესპუბლიკაში და, შესაბამისად, ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობა.

18. აქვე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. მ. ბ-ს ქმედებაში გამოკვეთილია საქართველოს სსსკ-ის 19, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნები, თუმცა, როგორც

უკვე აღინიშნა, არა ბრალად შერაცხული კვალიფიკაციით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიქტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობა), არამედ – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობის შემადგენლობა, რაც პალატას დადასტურებულად მიაჩნია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ:

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოდან „უკანონო გატანაში“ იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანა, ე.ი. როდესაც ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გატანა მოხდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრიდან მისი გატანით. დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მოახერხებს ამ ნივთიერების გატანას საქართველოდან, ე.ი. გადალახავს საზღვარს და ნარკოტიკულ საშუალებას გადაიტანს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

20. მოცემულ შემთხვევაში მოწმე მ. ლ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო რისკების მართვის სამმართველომ მოახდინა საექვო გადაზიდვის იდენტიფიცირება, ვინაიდან ასეთი მარშრუტი პირველად იყო დაფიქსირებული, ამასთან, ტვირთის ტრანსპორტირება აჭარბებდა თვითღირებულებას. საექვო მანქანისა და ტვირთის შემომწმების მიზნით, იგი ნავიდა ბ-ს პ-ში, რადგან მისთვის ცნობილი იყო, რომ ავტომანქანა ტვირთით უნდა გასულიყო ბ-ს პ-დან საზღვაო ბორნით. 2016 წლის 12 ივნისს, საღამოს საათებში, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ბ-ს პ-ში“ შევიდა ნ-ს მოქალაქე ა. მ. ბ., რომელიც მართავდა ავტომანქანას, სახ. №..., მისაბმელით, სახ. №... მას პ-ში მიჰქონდა 8 985 კგ ბრინჯი. აღნიშნული ავტომანქანა დასკანერების მიზნით გადაიყვანეს ადლიის სტაციონარულ სკანერზე, რის შედეგადაც მისაბმელის ძარის ქვედა ნაწილში აღმოჩენილი სამალავიდან ამოიღეს 356 ცალი ვერცხლისფერი ბრიკეტი. ერთ-ერთი ბრიკეტიდან ამოღებული ნიმუშის სპეციალური ტესტით შემოწმებისას დადგინდა, რომ აღმოჩენილი ნივთიერება შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა – ი. ს-მ, ბ. ნ-მ, უ. დ-მ და რ. ბ-მ. მითითებულ მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ ავტომანქანაზე საბაჟო კონტროლის პროცედურები შესრულდა ა. მ. ბ-ს თანდასწრებით, რომელსაც წინააღმდეგობა არ გაუწევია არც მათი მიმდინარეობისას და არც დასრულების შემდეგ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია. გარდა ამისა, მოწმეთა ჩვენებების სისწორე დადასტურებულია და სრულად შეესაბამება როგორც სატრანსპორ-

ტო საშუალების შემოწმების, ასევე – ამოღების ოქმებითა და ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ამდენად, დადგენილია, რომ მებაჟე-ოფიცრებმა ნარკოტიკული საშუალება აღმოაჩინეს საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე, შესაბამისად, გამოკვეთილია ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან გატანის მცდელობა.

21. უსაფუძვლოა დაცვის მხარის მოსაზრება, რომ ა. მ. ბ-მ არაფერი იცოდა მის ავტომანქანაში არსებული სამალავისა და მასში მოთავსებული ნივთიერების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული ვერსია სრულად ეწინააღმდეგება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ამასთან, ალოგიკურია და მოგონილია პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით.

22. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის შემდეგ არგუმენტებს: იმ სატრანსპორტო საშუალების (სახ. №...) მისაბმელის (სახ. №...) დათვალიერება, რომელსაც მართავდა ა. მ. ბ., ჩატარდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 01 აგვისტოს №... ბრძანებით დამტკიცებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის III თავის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის თანახმად, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება ტარდება საგადასახადო ორგანოს (საბაჟო დეპარტამენტის) უფლებამოსილ თანამშრომელთა მიერ და შეიძლება განხორციელდეს სკანირებით ან სხვა საშუალების გამოყენებით. სკანირების შედეგების ამსახველი სურათის ან სამართალდამცავი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საგადასახადო კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ან ასეთი დარღვევის მცდელობისას შესაძლებელია საქონლის ნებისმიერი შეფუთვის (შეკვრის) გახსნა ან/და სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერი სათავსის (განყოფილების) შემოწმება, მასში საქონლის სამალავების ან/და საბაჟო კონტროლისგან მალულად გადაადგილებული საქონლის აღმოჩენის მიზნით. სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები აისახება შემოწმების ოქმში, რომლის ასლიც, საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მასალებსა და ნივთმტკიცებულებებთან ერთად, გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს, რაც მოცემულ შემთხვევაშიც შესრულდა.

23. ასევე უსაფუძვლოა დაცვის მხარის მოსაზრება, რომ ამოღებისას დაირღვა საქართველოს სსკ-ის 112-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან გამოძიებელმა ი. ს-მ ს.გ.პ. „ბ-ს პ-ს“ თანამშრომლებისგან, მათივე თანხმობით, ამოიღო მათ მიერ კანონის სრული

დაცვით მოპოვებული და დალუქული მტკიცებულებები, რასაც სასამართლოს განჩინება არ სჭირდება, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამომძიებელს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად (სასამართლოს ნებართვის გარეშე) ჩაატაროს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან; ხოლო საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება სასამართლოს განჩინებით.

24. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებასა და ქმედების კვალიფიკაციაზე, რომელიც სააპელაციო პალატამაც გაიზიარა, კერძოდ: პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ა. მ. ბ-ს ბრალდებიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა) თავისთავად მოიცავს 260-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა) გათვალისწინებულ დანაშაულებსაც, რადგან ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვა ამ ნივთიერების შექმნისა და შენახვის გარეშე შეუძლებელია. პირველი ინსტანციის სასამართლო ასევე აპელირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №937აპ-09) დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად: „თუ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას საქართველოში წინ უსწრებდა ამ ნივთიერების შექმნა-შენახვა, სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით, საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით“ და განმარტავს, რომ სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით, კოდექსის იმდროინდელი რედაქცია არ იძლეოდა საკითხის სხვაგვარად გადანყვეტის შესაძლებლობას, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება წარმოადგენდა სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაზე მსუბუქ დანაშაულს, რის გამოც ვერაფრით მოიცავდა მის შემადგენლობას.

25. საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას და მიუთითებს, რომ ა. მ. ბ-ს არასწორად ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, თუმცა აღნიშნავს, რომ ვინაიდან ბრალდების მხარეს არ აქვს წარმოდგენილი საკასაციო სა-

ჩივარი, პალატა კანონისმიერად არ არის უფლებამოსილი, დაამძიმოს მსჯავრდებულის მდგომარეობა და ამდენად, შემოიფარგლება მხოლოდ განმარტებით, კერძოდ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებაში (საქმე №937აპ-09) ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლი თავისთავად არ მოიცავს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასაც, ვინაიდან საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა (მოცემულ შემთხვევაში გატანა) უცხო ქვეყნიდან წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წინ უსწრებდა მსჯავრდებულის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენა – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა; ამიტომ თუ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას (მოცემულ შემთხვევაში გატანას) საქართველოში წინ უსწრებდა ამ ნივთიერების შექმნა-შენახვა, სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით – საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით. შესაბამისად, არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ კოდექსის იმჟამინდელი რედაქცია არ იძლეოდა საკითხის სხვაგვარად გადანყვეტის შესაძლებლობას, მითითებული დანაშაულების სიმძიმიდან გამომდინარე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არც სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლების იმჟამად და არც ამჟამად მოქმედი რედაქციით მითითებული მუხლებით ქმედების კვალიფიკაციისათვის არარელევანტურია, თუ რომელი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული წარმოადგენს უფრო მსუბუქსა, თუ მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ვინაიდან, როგორც საკასაციო პალატამ უკვე განმარტა, 262-ე მუხლი თავისთავად არ მოიცავს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და ისინი წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა დამოუკიდებელ დანაშაულს.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმედება – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობა, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა შეიცვალოს და მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 19, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონო გატანის მცდე-

ლობად. რაც შეეხება სასჯელს, მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, მითითებულ ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ქ-ს და ჯ. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ა. მ. ბ-ს ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობა), გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 19, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონო გატანის მცდელობა);

4. მსჯავრდებული ა. მ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონო გატანის მცდელობა) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ა. მ. ბ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2016 წლის 13 ივნისიდან;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 მაისის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სამოსახლო დანაშაული

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება,
ჩადენილი ძალადობით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№231აპ.-18

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენით განიხილა თბილისის პროკურატურის პროკურორ ლაშა კოტრიკაძისა და მსჯავრდებულ ლ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ბ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ლ. კ-ს, – ... ბრალი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 8 ნოემბერს საქართველოს შს სამინისტროს ქ. თ-ის მთავარი სამმართველოს ვ. სამმართველოს მ-... განყოფილების უფროსს – ლ. კ-ს შეკამათება მოუვიდა თ-ში, კ-ას ქურჩა №...-ში მდებარე, ამავე განყოფილებაში მისულ ადვოკატ გ. მ-სთან, მისი დაცვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვან დ. ბ-ისთვის განუული იურიდიული კონსულტაციის – ბრალდებულის მიერ დუმის უფლების არჩევის გამო. ლ. კ-მ ძალადობით გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და გ. მ-ს მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით ლ. კ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ლ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 12 000

ლარი. სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმცირდა დაკისრებული ჯარიმა და გათავისუფლდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სასჯელის მოხდისგან.

საბოლოოდ ლ. კ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. კ-მ ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა ლ. კ-ს მხრიდან ადვოკატ გ. მ-ის ადმინისტრაციული წესით დაკავების ბრძანების გაცემაში.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

6. პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვს ლ. კ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას, ხოლო დაცვის მხარე – გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და ლ. კ-ს უდანაშაულოდ ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა მსჯავრდებულ ლ. კ-ს სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა მხარეების მიერ შემოტანილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდების მხარის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაცვის მხარის წარმომადგენელი კასატორი, ადვოკატი ზ. ბ. საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულის გამართლებას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. კასატორი თავის მოთხოვნას აფუძნებს შემდეგ არგუმენტებზე: პოლიციის უფროსის – ლ. კ-ს მიერ დაზარალებულის, ადვოკატ გ. მ-ის დაკავების შესახებ განკარგულების გაცემა განპირობებული იყო ამ უკანასკნელის მეტისმეტად თავშეუკავებელი და აგრესიული საქციელით, რითაც ის მოქმედებდა ჯერ გამომძიებლების – ნ. ზ-სა და დ. გ-ის, ხოლო შემდეგ პოლიციის უფროსის – ლ. კ-ს მიმართ. ეს ქმედება გამოიხატა ამ პირების სიტ-

ყვიერ შეურაცხყოფასა და მუქარაში, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც, კერძოდ, მან გამოძიებულ დ. გ-სა და პოლიციის უფროსს – ლ. კ-ს ყური აუწია, რის გამოც გადაწყდა მისი დაკავება ადმინისტრაციული წესით. მაგრამ მისი დაკავების პროცესში გ. მ-მ ფიზიკური დაზიანებები მიაყენა პოლიციის ორ თანამშრომელს, რომლებსაც ის აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა. ეს ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია არა მარტო მოწმე პოლიციელების ჩვენებებით, არამედ ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით.

3. გარდა ამისა, დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ გ. მ-მ დაზიანებები მიიღო იმის გამო, რომ დაკავებისას ის ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევდა პოლიციის თანამშრომლებს, რის გამოც ჯერ დაეცა და იატაკს თავი დაარტყა, ხოლო შემდეგ, ერთ-ერთ ოთახში შეყვანისას, კარის ჩარჩოს შეეჯახა. ამასთან, კასატორის აზრით, აშკარა წინააღმდეგობა არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენებს შორის იმ საკითხზე – არსებობდა თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე გ. მ-ის მიერ პოლიციის შენობაში ჩადენილ ადმინისტრაციულ გადაცდომასთან დაკავშირებით, კერძოდ, პირველი მათგანის მიხედვით, არ არსებობდა, ხოლო მეორის მიხედვით, ასეთი საქმე, მართალია, არსებობდა, მაგრამ მასში არ მოიპოვებოდა საკმარისი მასალები გ. მ-ის ადმინისტრაციული წესით დაკავებისთვის, რაშიც გამოიხატა სწორედ ლ. კ-ს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. მას სხვა, უფრო მსუბუქი ზომები უნდა გამოეყენებინა გ. მ-ის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების აღსაკვეთად, თუმცა სასამართლო გასაჩივრებულ განაჩენში არ აზუსტებს – კონკრეტულად რას გულისხმობდა მსუბუქი ზომეები.

4. საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, დაცვის მხარე ასკვნის, რომ გ. მ-ის დაკავებისას პოლიციის უფროსს – ლ. კ-ს არ გადაუმეტებია თავისი უფლებამოსილებისთვის, რის გამოც ის არის უდანაშაულო.

5. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განაჩენში დაუშვა გარკვეული უზუსტობები საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ დაეთანხმება მის პოზიციას მსჯავრდებულ ლ. კ-ს უდანაშაულობის თაობაზე. საქმის მასალებში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მის მიმართ წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვე-

პუნქტით: მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით.

6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ფაქტობრივად გასცდა ლ. კ-სთვის წარდგენილი ბრალის ფარგლებს, როდესაც დაასკვნა, რომ მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება გამოიხატა გ. მ-ის ადმინისტრაციული წესით დაკავებაში, რომლის საფუძველი არ არსებობდა. თუკი სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულის მიმართ მსჯავრდებულს ძალადობა არ გამოუყენებია, ლოგიკური იქნებოდა ემსჯელა მისი შესაძლო უდანაშაულობის თაობაზე, რასაც ითხოვდა კიდევ დაცვის მხარე თავისი სააპელაციო საჩივრით.

7. თუმცა საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებობს კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დასტურდება ლ. კ-ს მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ:

8. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მონმედ დაკითხული პოლიციელების ჩვენებებსა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებზე და აღნიშნავს, რომ პოლიციელთა ჩვენებებს შორის არ არსებობს არსებითი წინააღმდეგობები, ამასთან, მათი საეჭვოდ მიჩნევა და არმილება მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მსჯავრდებულის თანამშრომლები იყვნენ, გაუმართლებელია. საკასაციო პალატის აზრით კი, აღნიშნულ მონმეთა ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობებია, მათ შორის – დაზარალებულ გ. მ-ის მიერ პოლიციის შენობაში მიღებული დაზიანებების წარმომავლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, საქმეზე მონმედ დაკითხული პოლიციის თანამშრომლის, ზ. გ-ს განმარტებით, დაკავების პროცესში გ. მ. პოლიციელებს უწევდა წინააღმდეგობას, იქნედა ხელ-ფეხს, რა დროსაც კარის ერთ-ერთ ჩარჩოს მიარტყა სახე, დაეჯახა მაგიდას და წაიქცა იქვე, ს-ის კაბინეტის შესასვლელთან. აღნიშნული ჩვენების საწინააღმდეგოდ, მონმე ნ. ზ. (პოლიციის გამომძიებელი) ჩვენებაში უთითებს, რომ დაკავებისა და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის განწევისას გ. მ-მ შემთხვევით კი არ მიარტყა თავი კარის ჩარჩოს, არამედ მან თავი მიზანმიმართულად დაარტყა. მონმე დ. გ-ი (გამომძიებელი) კი მათგან განსხვავებულად აღწერს იმავე გარემოებას, კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ ს-ის კაბინეტში მისი შეყვანის მცდელობისას გ. მ. სახით მიეჯახა კარის ჩარჩოს, თან ცდილობდა კარს არ მოშორებოდა და სახეს აჭერდა ჩარჩოს, შემდეგ დავარდა ძირს მასთან ერთად. ამის შემდეგ პოლიციელებმა მოახერხეს მისთვის უკანა მხარეს ხელბორკილის

დადება და სკამზე დასვეს. მონმე პოლიციელის, გ. ნ-ის ჩვენების მიხედვით, ის და დ. გ-ი აკავებდნენ გ. მ-ს, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევდა, ხოლო კაბინეტში მისი შეყვანის დროს გ. მ. ცდილობდა მიახლოებოდა კარის ჩარჩოს, რასაც სახით აწვებოდა, რა დროსაც მიიღო დაზიანებები. ამის შემდეგ ისინი (გ. ნ. და დ. გ-ი) გ. მ-სთან ერთად წაიქცნენ იატაკზე, თუმცა მაინც შეძლეს მისთვის ბორკილების დადება. მონმედ დაკითხულმა ინსპექტორ-გამომძიებელმა გ. კ-მა ჩვენებაში განმარტა, რომ გ. მ. ცდილობდა დასხლტომოდა დამკავებლებს, ოთახში შეყვანისას დაეჯახა კარის ჩარჩოს და წაიქცა. გ. ნ-მ და დ. გ-მა ის ნამოაყენეს, შეიყვანეს კაბინეტში და მოხურეს კარი. ამის შემდეგ ხმაური აღარ გაუგია და არც ხელბორკილები დაუნახავს. მონმედ დაკითხულმა პოლიციის თანამშრომელმა გ. ს-ემ განმარტა, რომ თავის კაბინეტში შესულმა დაინახა, რომ გ. ნ. და დ. გ-ი ეჭიდავებოდნენ გ. მ-ს, რომელიც ძირს იწვია, ყვიროდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციის თანამშრომლებს. სხვებისგან შეიტყო, რომ მის კაბინეტში შეყვანისას გ. მ. მიეჯახა კაბინეტის კარს. აღნიშნული მოწმისგან განსხვავებით, მონმე პოლიციელები – მ. ნ., ო. მ. და ნ. ს. ჩვენებებში აღნიშნავენ: მათ სხვა თანამშრომლებისგან შეიტყვეს, რომ დაკავებისას გ. მ. მათ უწევდა წინააღმდეგობას, რა დროსაც მან მიიყენა თვითდაზიანება.

9. ამრიგად, მონმე პოლიციელთა ჩვენებებს შორის (იგულისხმება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ჩვენებები) ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით – როგორ მიიღო დაზიანებები გ. მ-მ პოლიციის შენობაში – არსებობს აშკარა და არსებითი წინააღმდეგობა: ერთნი მიუთითებენ, რომ გ. მ-მ აღნიშნული დაზიანებები მიიღო კარის ჩარჩოზე სახის შემთხვევით მიჯახების შედეგად, მისი დაკავებისას, ხოლო მეორენი კი, ამის საპირისპიროდ აღნიშნავენ, რომ გ. მ-მ თვითდაზიანებები მიიყენა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები არ უნდა იქნეს გაზიარებული არა მარტო მითითებული წინააღმდეგობების გამო, არამედ იმის გამოც, რომ ამ მოწმეთა ჩვენებებს აბათილებს საქმეში არსებული სხვა ობიექტური მტკიცებულებები. მხედველობაშია 2015 წლის 11 ნოემბერს შემთხვევის ადგილზე ჩატარებული საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმი და ამ დროს აღებულ ნიმუშებზე ჩატარებული ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის №... დასკვნა, რომელთა მიხედვით, არც ზემოხსენებულ კარის ჩარჩოსა და არც კაბინეტის იატაკზე გ. მ-ის სისხლის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა, ეს მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული მოწმეების ჩვენებების მიხედვით, გ. მ-მ თავი თვითონ დაარტყა, თუ შემთხვევით მიარტყა გ. ს-ის კაბინეტის კარის ჩარჩოს, თანაც ისე ძლიერ, რომ

სახე სერიოზულად დაუზიანდა სისხლნაყოფენთების სახით (იხ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სარწმუნო მტკიცებულებად ვერ მიიღებს ზემოდასახელებულ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებიდან თუნდაც ერთს მაინც.

10. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებსა და თვით ექსპერტების მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით, რომლებითაც სასამართლოს აზრით, დასტურდება ის, რომ დაზარალებულ გ. მ-ს სხეულის დაზიანებები შეიძლება მიეღო მოწმე პოლიციელების ჩვენებებში აღწერილ გარემოებებში, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, გაურკვეველია, სასამართლო რომელ ვერსიას იზიარებს – იმას, რომლის მიხედვით, გ. მ-მ სხეულის მრავლობითი დაზიანებები, ტვინის შერყევის ჩათვლით, თვითონ განზრახ მიაყენა საკუთარ თავს, თუ იმ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, მან ეს დაზიანებები მიიღო შემთხვევით, მისი დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებთან შეხლა-შემოხლის დროს; მეორე, სასამართლოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები და ექსპერტთა ჩვენებები, რომლებიც ძირითადად ეყრდნობა მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს, მიუხედავად მათ შორის არსებული ამკარა და არსებითი წინააღმდეგობებისა, არ აქვს კრიტიკულად შეფასებული. რა თქმა უნდა, ექსპერტს არ მოეთხოვება და არც უფლებამოსილია, თვითონ შეაფასოს მოწმეთა ჩვენებების სანდოობა, მაგრამ სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნებისა და ექსპერტთა ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების, შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს – რამდენად სანდო წანამძღვრებს ეყრდნობა ისინი; და ბოლოს, ბრალდების მხარე თავის საკასაციო საჩივარში სწორად შენიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო განაჩენის დასაბუთებისას ექსპერტთა ხსენებულ დასკვნებსა და ჩვენებებს იყენებს ფრაგმენტულად, ამ მტკიცებულებათა შინაარსის სრული კონტექსტის გაუთვალისწინებლად, რაც ქმნის მათი არაზუსტი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, როგორც წესი, კატეგორიული ხასიათისაა მხოლოდ დაზიანებათა ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრის საკითხში, ხოლო რაც შეეხება ამ დაზიანებათა მიყენების დროს, მის მექანიზმს, ხერხს, იარაღსა თუ სხვა საშუალებას, ამ ნაწილში დასკვნა ძირითადად სავარაუდო ხასიათისაა, რის გამოც მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებულად მიჩნევა შეუძლებელია, სხვა, დამატებით, სარწმუნო მტკიცებულებებთან შეჯერების გარეშე.

11. მას შემდეგ, რაც მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და ობიექტური ანალიზით პრაქტიკულად ბათილდება ვერსიები იმის თაობაზე, რომ პოლიციის შენობაში გ. მ-მ სხეულის მრავლობითი დაზიანებები შემთხვევით მიიღო ან თავად მიიყენა თვითდაზიანება, გასაჩივრებული განაჩენის შეფასებისას ძირითად საკითხად რჩება – დაზარალებულ გ. მ-ს დაზიანებები ნამდვილად მსჯავრდებულმა ლ. კ-მ მიაყენა თუ არა, რაც მტკიცების მთავარ საგანს წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა სასამართლოში მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დონეზე დაადასტურებდა, რომ სწორედ მსჯავრდებულმა ლ. კ-მ მიაყენა სხეულებრივი დაზიანებები დაზარალებულ გ. მ-ს, რის გამოც მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს, კერძოდ: მას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში დამამძიმებელი გარემოების გარეშე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ამგვარ დასკვნას, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს შორის არსებული, მნიშვნელოვანი და ამკარა წინააღმდეგობები არაარსებითი ხასიათის საკითხებად მიიჩნია. ამავ დროს, სასამართლო აღნიშნულ ჩვენებათა გაზიარებისას მოიხსენიებს სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და ექსპერტის ჩვენებას, მაშინ, როდესაც სხვა ობიექტური მტკიცებულებები, საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს მათ სანდოობას. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოები ზოგჯერ საკითხს იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ინფორმაცია ან საქმეში არსებული რაიმე ფაქტობრივი მონაცემი პირდაპირ თუ ირიბ ჩვენებას, ან სხვა პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მტკიცებულებას, წყვეტენ ამ მტკიცებულების წარმოშობის წყაროს, მისი ფორმირების პირობების, მომხდარი შემთხვევის განვითარებისა და დანაშაულის ჩადენის ვითარების თავისებურებებისა და სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული სტანდარტი, რომელთან მისადაგებითაც განვსაზღვრავთ – საქმეში წარმოადგენილი მტკიცებულება, მათ შორის – მოწმის ჩვენება, პირდაპირია თუ ირიბი. ცალკეულ შემთხვევაში საამისოდ შესაძლოა, საჭირო გახდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრული ანალიზი მცდარი სამართლებრივი დასკვნების თავიდან ასაცილებლად.

12. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ყურად-

ლებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ლ. კ-ს საქმეში პროკურატურის მიერ მისთვის წარდგენილი ბრალის დასადასტურებლად მხოლოდ ერთადერთი პირდაპირი ჩვენება არსებობს, რომელიც ეკუთვნის დაზარალებულ გ. მ-ს, ხოლო სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა გ. მ-ის ჩვენების სისწორე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია, ამასთან, აღნიშნული ჩვენება არ არის თანხვედრილი სხვა მტკიცებულებებთან. საკასაციო პალატა ისეთ დასკვნას ვერ გაიზიარებს, რომელიც ემყარება იმ არასწორ წანამძღვარს, რომ მოწმე დ. ბ-ის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პირდაპირი ჩვენება, ვინაიდან მას არ დაუხანავეს ოთახში (იგულისხმება პოლიციის თანამშრომლის – გ. ს-ის სამუშაო კაბინეტი) განვითარებული მოვლენები. საქმე ისაა, რომ აღნიშნული მოწმე უშუალოდ შეესწრო ლ. კ-ს მხრივ გ. მ-ის მიმართ დაწყებულ ძალადობას, კერძოდ, ის ამბობს, რომ ურთიერთშელაპარაკების შემდეგ ლ. კ-მ ხელი ჰკრა გ. მ-ს სახესა თუ მკერდში, შეათრია ოთახში, რა დროსაც დაიყვირეს – „ხელბორკილები მოიტანეთ“. ვინაიდან ოთახის კარი ოდნავ ღია იყო, ესმოდა ხელის დარტყმის ხმა და გ. მ-ის ხმა – „ადვოკატი ვარ, ნუ მირტყამთ“. ამ ჩვენებით ირკვევა, რომ ლ. კ-ს უკანონო ძალადობა გ. მ-ის მიმართ ჯერ კიდევ გ. ს-ის კაბინეტის გარეთ დაიწყო, რაც უწყვეტად გაგრძელდა ჯერ კაბინეტის კარებამდე, ხოლო შემდეგ – კაბინეტში, საიდანაც მოწმეს მოესმა დაზარალებულის ყვირილი – „ნუ მირტყამთ“. თუ რა გაგრძელება ჰქონდა კაბინეტში ლ. კ-ს ძალადობას, ამას უკვე აზუსტებს თვით დაზარალებულ გ. მ-ის თანმიმდევრული და დეტალური ჩვენება, რომელშიც აღნიშნავს, რომ კაბინეტში ძალის გამოყენებით შეთრევის შემდეგ, მას წაართვეს მობილური ტელეფონი, რომლითაც ის ცდილობდა თავის მეუღლესთან დარეკვას. მას შემდეგ, რაც ხელებზე ბორკილები დაადეს და სკამზე დასვეს, ლ. კ-მ, რომელიც მის მიმართ იყო აგრესიული, სახეში ჯერ თავი ჩაარტყა, ხოლო შემდეგ ხელი, რის გამოც ცხვირიდან სისხლი წამოუყვია. ამის შემდეგ კვლავ გამეტებით დაარტყა სახეში ხელი, რის გამოც მან თავი გაიქნია და სისხლი კედელს შეესხა.

13. განხილული ორი ჩვენებიდან მოწმე დ. ბ-ის ნაამბობი წარმოადგენს პირდაპირ ჩვენებას ლ. კ-ს მიერ ჯერ კიდევ კაბინეტის გარეთ გ. მ-ის მიმართ დაწყებული ძალადობის წაწილში, რომელიც სრულად შეესაბამება დაზარალებულის პირდაპირ ჩვენებას, რომელშიც წარმოდგენილია უკვე კაბინეტში მის მიმართ მსჯავრდებულის მხრიდან კიდევ უფრო მძიმე ფორმით გაგრძელებული ძალადობის სურათი. ორივე ჩვენება, რომლებიც ერთმანეთს ავსე-

ბენ და შესაფასებელი ფაქტის სრულ, დამაჯერებელ სურათს წარმოგვიდგინენ, ერთობლივად იძლევა სრულიად არაორაზროვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მომხდარის თაობაზე, კერძოდ: ნამდვილად ლ. კ. ახორციელებდა უკანონო ძალადობას გ. მ-ის მიმართ, რაც მის ცემაში გადაიზარდა და სწორედ ამაში გამოიხატებოდა მსჯავრდებულის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რითაც არსებითად დაირღვა დაზარალებულის პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. დაზარალებულ გ. მ-ისა და მონმე დ. ბ-ის ურთიერთთავსებადი პირდაპირი ჩვენებების სისწორეს ადასტურებს სხვა არაპირდაპირი ჩვენებებიც, რომლებიც ეკუთვნის მონმეებს – ზ. ბ-ეს, დაზარალებულის მეუღლეს, ს. ჭ-სა და იურიდიული დახმარების სამსახურის თ-ის ბიუროს უფროსს, ს. კ-ეს. პირველი მათგანი თავის ჩვენებაში უთითებს, როგორ დაიწყო კონფლიქტი უშუალოდ მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის, რომლის გაგრძელება მას აღარ უნახავს. მონმე ს. ჭ. თავის ჩვენებაში უთითებს, რომ გვიან ღამით მობილური ტელეფონით დაურეკა თავის მეუღლეს, გ. მ-ს, რა დროსაც მან მოასწრო გაეგონა ამ უკანასკნელის ყვირილი: „ხელი განიეთ, ნუ მირტყამთ“, რომელიც თანხვედრილია მონმე დ. ბ-ის პირდაპირ ჩვენებასთან. რაც შეეხება მონმე ს. კ-ის ჩვენებას, იგი აღნიშნავს, რომ ის გვიან დაემით პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა ადვოკატ გ. მ-ის მეუღლის თხოვნით მისი მდგომარეობის გასარკვევად, სადაც ნახა ძლიერ ნაცემი დაზარალებული. როდესაც მან ჰკითხა პოლიციის თანამშრომლებს, თუ რა მოხდა, მათ უპასუხეს: „ჩვენს უფროსს ცოტა მეტი მოუვიდაო“. ამ ფრაზასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ დაუზუსტებიათ, მისი შინაარსი რას გულისხმობდაო. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იმ ვითარების კონტექსტიდან გამომდინარე, რომელშიც ის ითქვა, რაიმეს დაზუსტების საჭიროება ნამდვილად აღარ არსებობდა – მონმე ს. კ-მ პოლიციის განყოფილებაში ნახა ძლიერ ნაცემი კოლეგა, რომელსაც, მისი განმარტებით, „სახის ცალი მხარე არ ჰქონდა“. სწორედ ამასთან დაკავშირებით დაუსვა მან კითხვა პოლიციის თანამშრომლებს, რომლებისთვისაც სრულიად გასაგები იყო, რის თაობაზე ეკითხებოდნენ და პასუხიც შესაბამისი გასცეს. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ დაზარალებულ გ. მ-ის პირდაპირ ჩვენებას – ლ. კ-ს მიერ კაბინეტში მისი ცემის, ამის შედეგად ცხვირიდან სისხლის წამოსვლისა და ამ სისხლის კაბინეტის კედელზე მისხმის შესახებ – ადასტურებს საქმეში არსებული სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებები: აღნიშნულ კაბინეტში ჩატარებული იმ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, რომლის დროსაც კედლიდან მართლაც იქნა ამოღებული ბიოლოგიური მასალა და ასევე – ბიოლოგიური

ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება ამოღებული მასალისა და დაზარალებულის გენეტიკური პროფილის იდენტურობა.

14. ამრიგად, აქ განხილული პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც ერთმანეთთან სრულ თანხვედრაშია, არავითარ საფუძველს არ ტოვებს ობიექტური დამკვირვებლისათვის, რომ გააჩნდეს გონივრული ეჭვი მაღალი სტანდარტით დადასტურებული ფაქტის მიმართ, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულმა ლ. კ-მ დაზარალებულ გ. მ-ის მიმართ ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედება – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულისათვის საუარესოდ, კერძოდ: ლ. კ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

15. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ლ. კ-ს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედება, ვერ იქნება გაზიარებული უსაფუძვლობის გამო, ამიტომ მისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ ლ. კ-ს გამართლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

16. მსჯავრდებულ ლ. კ-ს მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითებებით, რომლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს: წარსული საქმიანობის მიხედვით, ის ხასიათდება დადებითად, რომლის თაობაზეც საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტი, შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი, დაჯილდოებულია შინაგან საქმეთა მინისტრის მადლობის სიგელით; მომხდარი შემთხვევის შემდეგ ნებაყოფლობით გადადგა თანამდებობიდან, რათა ამით ხელი შეეწყოს საქმეზე ობიექტური გამოძიების ჩატარებისათვის; კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ხოლო მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ არსებობს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის საკმარისი იქნება მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მი-

ნიმალური ზომა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, მას 1 წლით უნდა ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ლ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. პროკურორ ლაშა კოტრიკაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება.

4. მსჯავრდებულ ლ. კ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

5. ლ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

6. მსჯავრდებულ ლ. კ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 13 ნოემბრიდან 2015 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 მარტის განაჩენი გირაოსა და ყადაღის გაუქმების, ასევე – ნივთმტკიცებების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.